ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2011

№289 (13586) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ნახა ხომ კარგი ნახა, ვერა და დაიჯეროს: ეს იყო ფეხბურთი, რომელსაც სულ ველით, მაგრამ იშვიათად ვხედავთ

ქება ზესტაფონს და ქება ტორპედოსაც: მატჩი იყო, ქართულ ფეხბურთს რომ ეკადრება

2:1 ზესტაფონი ნახევარფინალშია

საქართველოს თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები 2-3

კალათბურთი. ევროლიგა

2 ნამში განაღდებული TOP16

GRANDE შერმადინი, FANTASTICO ბაზილე!

გიორგი შერმადინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრია. „ბილბაო"-„კანტუს" მატჩის ბოლო წუთზე თანაგუნდელებმა ორი შეტევის დასრულება სწორედ გიორგის მიანდეს. სირენამდე 51 წამით ადრე მან ისე ჩატენა, კინალამ კალათი ჩამოტეხა, ხოლო 14 წამით ადრე მეტოქის ფარისკენ დაიძრა, მაგრამ მის წინააღმდეგ **დორ ფიშერმა** ძალიან უხეშად ითამაშა. შერმადინმა ერთი ჯარიმა ჩააგდო და „კანტუ" 64:62 დააწინაურა.

საპასუხო შეტევაში, მატჩის დასრულებამდე 2 წამით ადრე, **ვასილიადისმა** ანგარიში შორეული ტყორცნით გაათანაბრა. კანტუელთა მწვრთნელს ისღა დარჩენოდა წუთშესვენება აეღო. მოედანზე დაბრუნებულმა იტალიელებმა გვერდითი ხაზიდან ბურთი გამოცდილ **ჯანლუკა ბაზილეს** ანდეს, რომელმაც უხერხული სიტუაციიდან სამქულიანი სტყორცნა და ჩააგდო - 67:64. უნდა მოგესმინათ, კალათბურთელებთან ერთად როგორ ხარობდა „სპორტ იტალიას" კომენტატორი - გაიძახოდა: „Grande შერმადინი, Fantastico ბაზილე".

ამ მოგებით „კანტუმ" ევროლიგის ტოპ-16-ში თამაში გაინაღდა.

შერმადინმა 23 წუთში 11 ქულა (4/4 ორქულიანი, 3/4 საჯარიმო), 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

მანუჩარ მარკოიშვილიც კარგად გაისარჯა, თუმცა მწვრთნელმა იგი მეოთხე პერიოდის ბოლოს მოედანზე აღარ გამოიყვანა. მანუს მონაგარი ასეთი იყო: 16 წუთი, 9 ქულა (3/5 ორქულიანი, 1/1 სამიანი), 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 მოხსნა.

■ ■ ■

ევროჩელენჯზე „არმიას" კონკურენტმა „ლეიდენმა" გუშინ ღამით „გოტინგენი" დაამარცხა (80:71) და ჩვენი გუნდის ჯგუფიდან ერთი ტურით ადრე გასვლის იმედს ცივი შხაპი გადაასხა. ასე რომ, გადამწყვეტი მატჩი „არმიასა" და „ლეიდენს" შორის 13 დეკემბერს ჰოლანდიაში შედგება.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩემპიონთა ლიგა

ჯადოსნური ღამე

მანჩესტერში გლოვაა, ლიონში ზეიმი

ბაიერნი	ჩელსი
ნაპოლი	ლევერკუზენი
ინტერი	არსენალი
ცსკა	მარსელი
ბენფიკა	აპოელ
ბაზელი	ზენიტი
რეალი	ბარსელონა
ლიონი	მილანი

ევროპის ლიგაზე გადადიან: მანჩესტერ სიტი, ტრაბზონი, მანჩესტერ იუნაიტედი, აიაქსი, ვალენსია, ოლიმპიაკოსი, პორტუ, ვიქტორია.

8

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ

ლაშა დვალიშვილი: ფედერაციიდან დინამოში

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა **ლაშა დვალიშვილმა** პრესკონფერენცია გამართა – როგორც გაირკვა, ამ თანამდებობაზე უკანასკნელი.

"დიდ მადლობას გიხდით იმ წელიწადნახევრისთვის, რომლის განმავლობაში ერთად საკმაოდ ნაყოფიერად ვითანამშრომლეთ. ამიერიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღარ ვიმუშავებ და საქმიანობას თბილისის "დინამოში" განვაგრძობ. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთთან შემდგომშიც თბილი და საქმიანი ურთიერთობა გვექნება", - გვითხრა დვალიშვილმა.

მას არ დაუკონკრეტებია, რა პოზიცია შესთავაზეს "დინამოში". დვალიშვილის თქმით, უახლოეს პერიოდში კლუბის სტრუქტურები ახლებურად ჩამოყალიბდება და მისი საქმიანობის სფეროსაც მალე შევიტყობთ. ჯერ ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ დვალიშვილი "დინამოს" პრესატაშე არ გახდება.

დვალიშვილმა ისიც თქვა, რომ "დინამოს" პარალელურად, ტელეკომპანია "მზეშიც" იმუშავებს, სადაც თავის ძველ პროექტს აღადგენს ქართული ფეხბურთისა და, ზოგადად, სპორტის თემატიკით.

დვალიშვილმა გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის საქმიანობა ძირითადად ეროვნული ნაკრების წარმატებით იზომება და რაკი ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის მთავარმა საფეხბურთო გუნდმა სახარბიელო შედეგები ვერ აჩვენა, დაიჩრდილა სფფ-ის აქტივობები ინფრასტრუქტურის მიმართულებით – ეროვნული ნაკრების ბაზისა და "მიხეილ მესხის" სტადიონის სრული რეკონსტრუქცია, რეგიონებში სტადიონებზე ახალი გაზონების დაგება და სხვა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესსამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობას.

ლევან ჯანეზაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს თასი

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

დერბი იმერეთ-ბიჭვინთიერ

სანახაობა ამერ-იმერული

07.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 4000 მაყურებელი

ზესტაფონი	2
ტორპედო	1

პირველი მატჩი 1:1

0:1 გოცირიძე (62.დოლიძის პასით), 1:1 გორგიაშვილი (90), 2:1 ბენაშვილი (90+4)

ზესტაფონი 4-4-2	ტორპედო 4-5-1
რ. კვასხვაძე	ო. მიგინეიშვილი
ლონღლაძე	ფოფხაძე
სავჯარა	ს. თოდუა
ონიანი	გამეზარდაშვილი
ელიავა	გურული
აფციაური	დოლიძე
გორგიაშვილი	დიღმელაშვილი
ძარია	დათუნაიშვილი
ბაბუნაშვილი	ბოლქვაძე
ს. ლომია	თარხნიშვილი
დვალი	გოცირიძე
მწვრთნელი	მწვრთნელი
გ. გეგუჩაძე	გ. ჭიაბრიშვილი

ზესტაფონი

66. ბაბუნაშვილი - **ბენაშვილი**
78 . ელიავა - **ალადაშვილი**
86. ძარია - **სარდალიშვილი**

სათადარიგოელები: მამალაძე, კობახიძე, ჭანკოტაძე, ფიფია

ტორპედო

56. ბოლქვაძე - **საბანაძე**
63. გოცირიძე - **მეგრელაძე**
74. დიღმელაშვილი - **კუხიანიძე**

სათადარიგოელები: ქვილითაია, ფარულავა, იოსელიანი, ჯანელიძე

გაფრთხილება: ლონღლაძე (50), ძარია (54), თოდუა (77)

არბიტრი: ლ.კვარაცხელია

კარგა ხანია, საქართველოს ჩემპიონატსა თუ თასზე ასეთი დრამატული მატჩი არ გვინახავს! ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის გამოირჩეოდა სანახაობრიობით და დაძაბულობით, მაგრამ გუშინდელმა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იმერული დერბი წლევანდელი სეზონის მშვენება აღმოჩნდა. ამ მატჩში იყო ყველაფერი ის, რისთვისაც გულშემატკივარს უყვარს ფეხბურთი. ჟინიანი თამაში, უსაზღვრო ემოცია, ლამაზი გოლები და საოცარი დასასრული, რომელმაც გუშინდელი მატჩი საფეხბურთო თრილერად აქცია... 90-ე წუთი მიმდინარეობდა, **გოცირიძის** გოლით სტუმრები 1:0-ს იგებდნენ და შეხვედრა ასე რომ დამთავრებულიყო, ნახევარფინალში „ტორპედო" გავიდოდა, მაგრამ... ის იყო, მსაჯმა შეხვედრას 4 წუთი დაამატა, რომ **გორგიაშვილმა** 30 მეტრიდან ძლიერად გაისროლა და მანამდე ბრწყინვალედ მოთამაშე **ომარ მიგინეიშვილმა** მცველისგან ასხლეტილ ბურთს ვეღარაფერი მოუხერხა - 1:1 ამ გოლმა შინ წასასვლელად გამზადებული ზესტაფონელი გულშემატკივრები სკამებზე დააბრუნა. არენაზე თუ ტელეეკრანთან მაყურებელი, ალბათ, დამატებითი დროის საყურებლად მოემზადა, როცა ზესტაფონელთა ბოლო შეტევა **ბენაშვილის** უძლიერესი დარტყმით და გამარჯვების მომასწავებელი გოლით დასრულდა - 2:1, რასაც **კვარაცხელიას** საფინალო სასტვენიც დაერთო. ზესტაფონელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისინი მომხდარს ვერც კი იჯერებდნენ, ტორპედოელები, ალბათ, გუშინდელი შოკიდან კარგა ხანს ვერ გამოვლენ - მათ ხომ ნახევარფინალის საგზური ბოლო 4 წუთში დაკარგეს.

ყოველივე ეს მატჩის უკანასკნელ წუთებზე მოხდა. მანამდე კი მოვლენები არანაკლებ საინტერესოდ ვითარდებოდა...

პირველი მეოთხედფინალური მატჩის 1:1 დასრულების შემდეგ საპასუხოში ფავორიტად მასპინძელი „ზესტაფონი" მიიჩნეოდა, მაგრამ ფავორიტობა მოგების გარანტიას არ იძლევა, მით უმეტეს, რომ **გეგუჩაძის** გაწვრთნილი „ტორპედო" კარგ ფორმაშია და ამას წინათ ჩემპიონატში „ზესტაფონს" სტუმრადაც სძლია. თანაც, მასპინძლებს **ნიკოლოზ გელაშვილი** და **შოთა გრიგალაშვილი** აკლდათ, რაც სერიოზული დანაკლისია. როგორც გვითხრეს, გრიგალაშვილმა ვარჯიშზე ტვინის შერყევა მიიღო, გელაშვილი კი უშუალოდ მატჩის წინ მოწამლულა. მწვრთნელებს ერთმანეთისთვის განსაკუთრებული ტაქტიკური სიურპრიზები არ შეუთავაზებიათ, გეგუჩაძეცაც და მისმა ყოფილმა თანაშემწე **ჭიაბრიშვილმაც** ნაცადი სათამაშო სქემები გამოიყენეს. საწყის წუთებში გუნდები ფრთხილობდნენ და ერთმანეთის სისუსტეების ძიებაში იყვნენ, შემდე კი მასპინძელთა მცირე უპირატესობა გამოიკვეთა. განსაკუთრებით **ჯაბა დვალი** და გელაშვილის არყოფნაში მეორე ფორვარდად გამწესებული **საბა ლომია** აქტიურობდნენ. გამოსარჩევია ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი მომენტი, როცა ახალგაზრდა თავდამსხმელი მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე კარგად გასცდა მცველს და მახვილი კუთხიდან სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ოდნავ ააცილა. ზესტაფონელები ბურთის ფლობაში სტუმრებს კი სჯობდნენ, მაგრამ საგოლე მომენტებით „ტორპედოს" ჰქონდა უპირატესობა და რომ არა ბედის სიმუხთლე, ქუთათურები ანგარიშსაც გახსნიდნენ. ასპროცენტიანი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან რევაზ გოცირიძემ: მას შემდეგ, რაც **კვასხვაძემ** უხერხულად მოიგერია ბურთი, იგი კარიდან ხუთიოდე მეტრში მარტო აღმოჩნდა და გატანაში ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ სასწაულებრივ ააცილა. რამდენიმე წუთში გოცირიძემ კვასხვაძის კარი კი დალაშქრა, მაგრამ კვარაცხელიამ მანამდე წესების დარღვევა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. აქვე ვთქვათ, რომ გუშინდელ შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** ესწრებოდა, რომელმაც შესვენებისას საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" აკადემიას საჩუქრად 100 ბურთი გადასცა.

მეორე ნახევარი სანახაობრივად უკეთესი გამოდგა. ზესტაფონელთაგან ლომიას ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ მისი თავური მიზანს ოდნავ ასცდა. საპასუხო შეტევისას კი სტუმრებმა მიზანს მიაღწიეს: მარჯვენა ფლანგზე გაჭრილმა **დოლიძემ** საჯარიმოში გოცირიძე მოძებნა, რომელმაც კარგად ითამაშა დასწრებაზე, გაიტანა კიდეც და „ტორპედოს" ისედაც აქტიური ფანკლუბი ემოციებისგან ბოლომდე დაცალა. გაშვებულმა გოლმა ზესტაფონელებს ნირი წაუხდინა, მათ შეცდომებს უხშირეს, განსაკუთრებით მარცხენა ფრთა მოიკოჭლებდა, რის გამოც დოლიძეს მოქმედებისთვის დიდი სივრცე ეძლეოდა. 70-ე წუთზე, ერთ-ერთი კონტრშეტევისას დოლიძეს თავადაც შეეძლო კარში დარტყმა, მაგრამ შეცვლაზე შესული **საბანაძე** მოძებნა, რომელსაც დარტყმა ბენაშვილმა არ დაანება. ზესტაფონელებმა მარცხის საშიშროება იგრძნეს და უფრო გააქტიურდნენ, ქუთათურები კი უკვე აშკარად ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ. ძალზე რთული ბურთების მოგერიება მოუხდა პირველი მატჩის გმირ მიგინეიშვილს, მან ერთმანეთის მიყოლებით დვალის, ბენაშვილის და **აფციაურის** ძლიერი დარტყმები გააუვნებლა. ზესტაფონელებმა ბოლოს შორეულ დარტმებზე გააკეთეს აქცენტი, გორგიაშვილმა ორჯერ უხეიროდ გაისროლა, მაგრამ, სამაგიეროდ, მის მესამე მცდელობას ულამაზესი გოლი მოჰყვა. შემდეგ როგორც განვითარდა მოვლენები, ამაზე დასაწყისში ვთქვით. ფინალისდარ შეხვედრაში „ზესტაფონმა" შარშანდელ ნახევარფინალში „ტორპედოსთან" მარცხისთვის რევანში აიღო და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

მაჯის შემლეგ

გია გეგუჩაძე: *„ძალიან დრამატული შეხვედრა გამოდგა. რადგანაც ვერ მოვახერხეთ, ალბათ, არც ვიმსახურებდით გამარჯვებას და შემდეგ ეტაპზე გასვლას. ამისთვის ჯერ მზად არ ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ თამაში 90- წუთიანია და ყურადღების მოდუნება არ შეიძლება."*

გიორგი ჭიაბრიშვილი: *„ძალიან რთული მატჩი იყო. „ტორპედო" ძლიერი, დისციპლინიანი გუნდია, კარგ ფეხბურთს თამაშობს და ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ იღბალი დღეს ჩვენსკენ იყო — ბოლო ოთხ წუთში რომ ორ გოლს გაიტან, ეს დიდი გამარჯვებაა..."*

დავით კოხრეიძე

ზესტაფონიდან

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმონერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჩაგელიშვილის (№10) გოლი

დავით ასპანიძის ფოტო

ყინულმჭრელმა დილამ ნახევარფინალი გაჭრა

დარია თუ ავდარია, გორი თასზე მაგარია

07.12. გორი. ქართლი.
400 მაყურებელი

დილა	5
ბაია	2

პირველი მატჩი 2:2

1:0. რაჟამაშვილი (14), 2:0 დ. ჩაგელიშვილი (20. რაჟამაშვილის პასით), 3:0. ახალკაცი (27), 3:1. პაჭკორია (54), 4:1. ახალკაცი (60. ჩაგელიშვილის პასით), 5:1. პ. ხორგუაშვილი (72), 5:2. ეხვაია (90).

დილა 4–5–1	ბაია 4–5–1
შეყრილაძე	ჯუმიდავა
ი. ლუმიძე	რეგვა
ბაქრაძე	აუფაძე
ქარქუზაშვილი	მგელაძე
ვ. ხორგუაშვილი	აკოკი
რაჟამაშვილი	გუგუჩია
ჯოჯუა	სიხარულია
პ. ხორგუაშვილი	შონია
დ. ჩაგელიშვილი	ტყემალაძე
გოგინაშვილი	სამუშია
ახალკაცი	ეხვაია
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
თ. მახარაძე	ე. ძოფეთიანი

დილა

46. რაჟამაშვილი — **ნემსაძე**
70. ახალკაცი — **სალალაშვილი**
80. ლომიძე — **ჭითანავა**
სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, გველესიანი, ნოზაძე, გ. თოდუა

ბაია

17. მგელაძე — **პაჭკორია**
სათადარიგოები: სომხიშვილი, ვეკუა, ქვარცხავა, ქობალია, კ. ახალაია, ფარჯიკია
არბიტრი: ო. ხეცაძე

ზუგდიდში 2:2-ზე დაზავება გორელ ქომაგს პრინციპულ მატჩს ჰპირდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა — თასზე შესანიშნავად მოასპარეზე „დილამ“ მეტოქეს დიდი ანგარიშით, პირწმინდად მოუგო. დაძაბული (ისიც პირობითად) უფრო მატჩამდელ წუთებს ეთქმოდა, როდესაც მოედნის საფრთ უკმაყოფილო ზუგდიდელები სათამაშოდ გასვლას უარობდნენ, თუმცა სფფ-ის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებით, თამაში მაინც დაიწყო, ოღონდ ნახევარი საათის დაგვიანებით. დათოვლილი არენა წინა დღეს კი გაიწმინდა, მაგრამ, ზუგდიდელთა აზრით, იგი იმ მდგომარეობაში მაინც არ იყო, რომ ფეხბურთელებს ბურთი რიგიანად გაეგორებინათ. სხვათა შორის, მერვედფინალის შემდეგ „დინამოს“ ფეხბურთელებმა დაიჩივლეს, „დილამ“ ყანაში მოგვიგოო, ახლა კი ზუგდიდელებმა ყინული ახსენეს. ისე, „დილამ“ გუშინ მართლაც „ყინული გაჭრა“ — თასის ნახევარფინალში პირველად გავიდა.

მოედნის მოვამზადებლებთან, პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, გუნდებმა მატჩი ფრთხილად დაიწყეს, თუმცა **თემურ მახარაძეს** მოედანზე მეტი შემტევი ჰყავდა და მეტოქის კარს თავიდანვე მასპინძლები უფრო მიეძალნენ. მიუხედავად ამისა, პირველი საგოლე მომენტი მე-5 წუთზე **შეყრილაძის** კართან დაფიქსირდა, მაგრამ **სიხარულიამ** ვერ ივარგა. ცხრა წუთში **ქარქუზაშვილ-გოგინაშვილის** კომბინაცია ამ უკანასკნელის სახიფათო დარტყმით დასრულდა, ბურთი მეკარემ მოიგერია, დამატებულზე კი **დავით რაჟამაშვილმა** ანგარიში გახსნა. სტუმრებმა მეტოქეს სახიფათოდ ჩაწოდებული სტანდარტულით უპასუხეს და, საერთოდაც, ამ დღეს საჯარიმოში ასეთ ჩაწოდებებს თუ შორეულ დარტყმებს ბევრი ხიფათი მოჰქონდა, რადგან მეკარეებისთვის ძალიან ჭირდა ბურთის ფრენის ტრაექტორიის გამოცნობა და მისი მოხელთება. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ შვიდი გაშვებული გოლის მიუხედავად, მეკარეების სუსტ თამაშზე აქცენტს არ გავაკეთებთ. პირველი გოლიდან მალევე, **დავით ჩაგელიშვილმა** და **რომან ახალკაცმა** ზუსტი დარტყმებით ჯერ კიდევ ფარხმალდაუყრელ „ბაიას“ კიდევ ორჯერ გაუტანეს. 3:0-ზე ზუგდიდელები გატყდნენ და ბოლო ორი გოლის ავტორებს თითოჯერაც გადაურჩნენ. სტუმრებს მხოლოდ **გუგუჩიას** ახლოდან დარტყმისას შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ შეყრილაძემ საიმედოდ ითამაშა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ზუგდიდელებმა მაინც მოახერხეს გატანა — „დილას“ საჯარიმოში შექმნილი არეულობით **პაჭკორიამ** იხეირა. სტუმართა გულშემატკივრებმა ალბათ იფიქრეს, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო, მაგრამ მასპინძლები, განსაკუთრებით მათი გამოცდილი ფორვარდი ახალკაცი ასე არ ფიქრობდნენ. მე-60 წუთზე სწორედ მან გაიფორმა დუბლი: ჩაგელიშვილისგან მიღებული ბურთი საჯარიმოსთან დაამუშავა, გასცადა მცველებსა და — 4:1. ცოტა ხანში **პავლე ხორგუაშვილმაც** თითქმის ასევე გააბითურა მეტოქე მცველები და მეკარე და ანგარიშში სხვაობა ოთხამდე გაიზარდა. „დილას“ კიდევ რამდენჯერმე ერომანეთს, როცა ჩემპიონატის მატჩში (რუსთავში რომ ჩატარდა) ნულოვანი ფრე დაფიქსირდა. იმ შეხვედრასთან შედარებით, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელს **ზურაბ ბერიძეს** ძირითად შემადგენლობაში არც ერთი ცვლილება არ განუხორციელებია, აი, მის კოლეგა **კობა ყორყიკაშვილს** კი ორი იძულებითი გადაადგილების გაკეთება მოუხდა: **გიორგი სეთურიძე** გუშინდელ მატჩს ტრავმის გამო ტოვებდა, **გიორგი მიქაბერიძე** კი დისკვალიფიცირებული იყო. ამას გარდა, „მეტალურგში“ სხვა ცვლილებაც იყო, უფრო ზუსტად, სახეშეცვლილი გვეჩვენა გუნდის ტაქტიკური განლაგება: სტუმართა თავკაცმა ამჯერად ორფორვარდიანი სქემა არჩია და **დიმიტრი ტატანაშვილს** თავდასხმის ხაზში **ირაკლი მოდებაძე** შეუწყვილა, ყოველივე ეს კი იმის წინაპირობა უნდა ყოფილიყო, რომ სტუმრები პირველ მატჩში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაზე არ იფიქრებდნენ. ასეც მოხდა: „მეტალურგმა“ პირველსავე წუთზე სახიფათოდ შეუტია, მაგრამ მასპინძლთა მცველებმა მდგომარეობის განმუხტვა შეძლეს. ამის მერე თამაში შედარებით დაწყნარდა და ვიდრე შეხვედრის პირველ გოლს ვნახავდით, მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. არ დავმალავთ და მართლაც გაუსაძლისი ყინვასიცივის მიუხედავად, „მცხეთა-პარკზე“ 200-მდე გულშემატკივარმა მართლაც გმირულად გაძლო მატჩის ბოლომდე. ალბათ, არც ინანეს - შეხვედრაში გატანილი სამივე გოლი ერთიმეორეზე ეფექტური იყო! განსაკუთრებით კი სტუმართა პირველი გოლი უნდა აღვნიშნოთ: შეტევა ირაკლი მოდებაძემ წამოიწყო, ვისგანაც ბურთი **გიორგი ქავთარაძეს** მიუვიდა და „მეტალურგის“ ნახევარმცველმაც, დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით მასპინძელთა მეკარე **გიორგი ძაძამია** უშანსოდ დატოვა. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები არ დააბნია და სულ მალე სწრაფი კონტრშეტევაც ვიხილეთ, რომელშიც **ბექა ზაქრაძე** და **რევაზ ღანიაშვილი** მონანილეობდნენ, დამაგვირგვინებელ დარტყმას კი **ბესიკ ჩიმაკაძე** ასრულებდა, მაგრამ „ვეტერინართა“ ცენტრფორვარდს მიზანმა მცირედით უმტყუნა. მონდომებულმა მასპინძლებმა პირველ ტაიმში მაინც შეძლეს საპასუხო გოლის გატანა: ჯერ იყო და, **გიორგი ვაჩაძის** შორეული დარტყმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** კუთხურზე მოიგერია, ამ სტანდარტულის შემდეგ კი შეტევაში ჩართულმა **გურამ ადამაძემ** ზუსტი „თავურით“ თავის გუნდს მატჩის „შემობრუნების“ შანსი დაუტოვა. ანუ, ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად „ვიტ ჯორჯიას“ ორი ბურთის გატანა სჭირდებოდა, თუმცა შესვენების შემდეგ უფრო მწვავედ სტუმრები უტევდნენ; ჯერ იყო და, **ლაშა ჯაფარიძის** ფლანგური პასის მერე დიმიტრი ტატანაშვილს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ რუსთაველთა გუნდის საუკეთესო ბომბარდირის თავით დარტყმული ბურთი „ვეტერინართა“ კარის ხარიხას მოხვდა. ამ ეპიზოდიდან ათი წუთი იქნებოდა გასული, სტუმართა მორიგი გააზრებული შეტევა შედეგიანი რომ აღმოჩნდა: ირაკლი მოდებაძემ მარცხენა ფლანგიდან ჩინებული პასით დიმიტრი ტატანაშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და ამ უკანასკნელმაც ჯერ მოხდენილი ფინტით მეურვე ჩამოიცილა, მერე კი ზუსტადაც დაარტყა. თამაშიც, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა: ალბათ, არავის ექნებოდა იმის ილუზია, „ვიტ ჯორჯია“ მეტოქის კარში სამი ბურთის გატანას რომ შეძლებდა; ამიტომაც იყო, ორივე გუნდის მწვრთნელმა... წამყვანი ფეხბურთელების დასვენება რომ გადაწყვიტა: „ვიტ ჯორჯიასაც“ და „მეტალურგსაც“ ხომ ჩემპიონატში არანაკლებ მნიშვნელოვანი თამაშები ელოდებათ; თუმცა, გუშინ იმის ალბათობაც იყო, მატჩი ოდნავ განსხვავებული ანგარიშით დამთავრებულიყო, მაგრამ დიმიტრი ტატანაშვილსა და **რევაზ ღანიაშვილს** მცირედით არ გაუმართლათ.

გია ტუხაშვილი

გამარჯვების გოლი
დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა

საგნლიანი პაუზის მერე...

07.12. მცხეთა. მცხეთა-პარკი.
200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია	1
მეტალურგი	2

პირველი მატჩი 0:1

0:1 ქავთარაძე (28), 1:1 ადამაძე (40, ღვინიაშვილის პასით), 1:2 ტატანაშვილი (69, მოდებაძის პასით)

ვიტ ჯორჯია (4–2–3–1)	მეტალურგი (4–4–2)
ძაძამია	გელდიაშვილი
ხურცილავა	მახვილაძე
გოგიაშვილი	კვახაძე
ადამაძე	კვარაცხელია
ღანიაშვილი	ჯაფარიძე
ვასაძე	ქავთარაძე
გურ. გურეშიძე	რაზმაძე
კორიფაძე	დოგროვოლსკი
გიორგ. გურეშიძე	ი. მაისურაძე
ზაქრაძე	მოდებაძე
ჩიმაკაძე	ტატანაშვილი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ზ. ბერიძე	კ. ყორყიკაშვილი

ვიტ ჯორჯია

60. კორიფაძე — **სიხარულიძე**
64. ვასაძე — **მაისაშვილი**
72. ადამაძე — **გელდიაშვილი**
სათადარიგოები: რეჭია, ჯუღელი, კუხალეიშვილი, ხუჭუა

მეტალურგი

74. ქავთარაძე — **გენაძე**
74. ი. მაისურაძე — **ჭედია**
80. რაზმაძე — **გავაშელიშვილი**
სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჩადუნელი, პავლიაშვილი, წენგუაშვილი

გაფრთხილება: კვახაძე (16), მოდებაძე (67), გურ. გურეშიძე (89)
არბიტრი დ. ხარიტონაშვილი

სენსაცია არ მოხდა: „მეტალურგმა“ მეორე მატჩიც მოუგო „ვიტ ჯორჯიას“ და სამნლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც იასპარეზებს საქართველოს თასის ნახევარფინალში. შეგახსენებთ, რომ გუშინდელი მეტოქეები ოთხი დღის წინაც შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ ეს ოფიციალური მატჩი იყო, ეს კი - ფინალური. ამ ორ გუნდს ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი ერთ-ერთ ბოძზე ერ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

სჯობს გვიან: თარგამაძეს გოლი დაუფასდა

დავით თარგამაძე

უკრაინის ჩემპიონატში მე-19 ტურის მატჩები გაიმართა, მაგრამ ინტერნეტგაზეთმა "უა-ფუტბოლ-მა" მე-18 ტურის სამი საუკეთესო გოლის ავტორი მოგვიანებით დაასახელა.

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ გულშემატკივრები, რომლებმაც საუკეთესოდ **ჰენრიხ მხითარიანის** გოლი დაასახელეს - დონეცკის "შახტარის" ნახევარმცველმა ლვოვის "კარპატის" ძალზე ეფექტურად გაუტანა.

მეორე ადგილზე კი **დავით თარგამაძის** გოლია ლუგანსკის "ზარიას" კარში, მესამეზე — დონეცკის "მეტალურგის" ფორვარდ **დრამან ტრაორესი** "ვორსკლასთან".

შოთა მახარაძე

წასვლა-წამოსვლები ლატვიიდან

საკონტრაქტო კვანტი კანუს დაუგავასგან

ლატვიური "დაუგავა" წლის დამდეგს ქართველების გუნდად მონათლეს: მთავარი მწვრთნელი თამაზ პერტია იყო, საფეხბურთო აკადემიაში შოთა მახარაძე საქმიანობდა, გუნდში კი ოთხი ქართველი ირიცხებოდა: მცველები გიორგი ჩიხრაძე და ბიძინა ცინცაძე, ნახევარმცველი ჯემალ ჯალიაშვილი და თავდამსხმელი მამუკა ღონღაძე. ინტერნეტგაზეთ Sportacentr.com-ის გამოკითხვაში გულშემატკივრებმა 2011 წლის უმაღლესი ლიგის სიმბოლურ ნაკრებში ჩიხრაძე და ღონღაძე დაასახელეს, პერტია კი საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

მაგრამ კლუბი ნელ-ნელა ქართველებისგან დაიცალა და, შესაძლოა, 2012 წელს ჩვენებურები თითქმის აღარ დარჩნენ „დაუგავაში". ზაფხულში გუნდი პერტიამ დატოვა, ახლა კი დანარჩენებიც მის გზას ადგანან.

გმადლობთ და ნახვამდის, შოთა!

"დაუგავას" ვებგვერდმა ასეთი სათაურით გამოაქვეყნა წერილი, რომელიც დუბლშემადგენლობის მწვრთნელს და საფეხბურთო აკადემიის კურატორს, **შოთა მახარაძეს** მიეძღვნა.

"ამოინურა შრომითი ხელშეკრულების ვადა მწვრთნელ შოთა მახარაძესთან. შოთა "დაუგავადან" მიდის. კლუბის, მოთამაშეთა და მშობელთა სახელით, ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტს მადლობას ვუხდით კეთილსინდისიერი საქმიანობისთვის. თქვენი ვარჯიშები ბავშვებს სპორტულ ზრდაში ეხმარებოდა. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს და წინსვლას კარიერაში".

მამუკა ღონღაძე

32 წლის ქართველმა სპეციალისტმა "დაუგავას" საფეხბურთო აკადემიაში ორი წელინადი იმუშავა. გუნდში **თამაზ პერტიამ** მიიყვანა, იქ მუშაობას კი მისი წასვლის შემდეგაც აგრძელებდა.

გამოცდილ მწვრთნელ **თემურ მახარაძის** ვაჟს სამწვრთნელო კარიერა მამის დახმარებით არ აუწყვია, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ამ საქმეს უკვე მეცხრე წელია, მისდევს. ლატვიაში 2009 წლის ბოლოს ჩავიდა და მისი ხელმძღვანელობით "დაუგავას" ბავშვებმა ჯერ ქვეყანაში, შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირებზე მიაღწიეს წარმატებას, რამდენიმე მოთამაშე კი ლატვიის ასაკობრივ ნაკრებებს გაუზარდა.

როგორც შევიტყვეთ, მახარაძეს აღარც კლუბში გაჩერება სურდა, აღარც ლატვიაში და მუშაობის საქართველოში გაგრძელებას აპირებს.

ღონღაძე: ნაბიჯი წინ, ორი უკან

ახლახან ვწერდით, რომ "დაუგავას" თავდამსხმელი **მამუკა ღონღაძე** კარიერას უკრაინაში გააგრძელებდა. 26 წლის თავდამსხმელმა ლატვიის ვირსლიგაში 21 გოლი გაიტანა (პლუს 5 გოლი თასზე) და ბომბარდირს, „სკონტოს" ბრაზილიელ თავდამსხმელ **ნათან ჟუნიორს** მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩა.

ლატვიის ჩემპიონატში წარმატებულ ფეხბურთელებს უკრაინის, პოლონეთისა და რუსეთის კლუბები აკვირდებიან და გამონაკლისი არც ღონღაძეა – მამუკას აყვანით რამდენიმე უკრაინული კლუბი დაინტერესდა.

იყო ინფორმაცია, რომ ქართველ ფორვარდს სამი კლუბი ინვევდა — კრივოი როგის "კრივბასი", ლუგანსკის "ზარია" და ლვოვის „კარპატი". მეტიც, ლვოველებს (რომელთაც იანვრიდან „ზესტაფონის" ნახევარმცველი **ბუბა დაუშვილიც** შეუერთდება) მამუკა ყოველგვარი გასინჯვის გარეშე, პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებასა და პირადი ხელშეკრულების პირობებზეც შეუთანხმდა, ანუ კარიერაში ერთი ნაბიჯი წინ უნდა გადაედგა, მაგრამ ორი ნაბიჯი უკან გამოუვიდა.

ბოლო მომენტში "კანუს" სატრანსფერო საქმე თავდაყირა დადგა. როგორც გავარკვიეთ, სეზონის დასაწყისში ღონღაძეს „დაუგავაში" ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერინეს ხელი, მაგრამ საბოლოოდ ტექსტში ხელშეკრულების ვადად ორი წელი ჩაინერა. მართალია, ამის გამო უკრაინულ კლუბებთან მოლაპარაკება არ ჩაშლილა, მაგრამ, ცხადია, შეფერხდა და ამიტომაა, ღონღაძე დღემდე ახალ კლუბში რომ ვერ ჩაირიცხა. საკონტრაქტო „უცნაურობანი" კი ამჟამად გარკვევა-განხილვის სტადიაშია.

მოლოდინი

„დაუგავას" მცველი **ბიძინა ცინცაძე** ამბობს, რომ კლუბის დატოვება სურს: *"ჯერ კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი, კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, რომ ჩემით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მაგრამ არაფერი დაუკონკრეტებია. ხშირად მომხდარა, ფეხბურთელს ბევრს ჰპირდებიან, საბოლოოდ კი არაფერი გამოდის. ასე რომ, როდესაც ტრანსფერი შედგება, ახალი კლუბის სახელს არ დავმალავ. მაგრამ გუნდის დატოვება რომ მინდა, ეს დასამალი არ არის".*

ნლის სიმბოლურ ნაკრებში დასახელებული მარცხენა მცველი **გიორგი ჩიხრაძეც** მოლოდინშია. მას გუნდთან კონტრაქტი უკვე დაუსრულდა და დარჩენას აღარ აპირებს. წინადადებები უკრაინული კლუბებიდან აქვს, მაგრამ ჯერ საკითხი არ გადაწყვეტილა.

24 წლის მცველის მენეჯერმა **გიორგი ნიკურაძემ** გვითხრა, რომ უახლოეს პერიოდში მოთამაშეს უკეთეს კლუბში მოაწყობს.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ლიგა

ზამთარმა ფიქრი და კითხვის ნიშნები იცის

დინამო: ვინ მოვა? ვინ წავა?

გოგიტა გოგუა

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე თბილისის "დინამომ" მყარად გალიდერება ვერა და ვერ შეძლო. გუნდს რომ გაძლიერება სჭირდება, ეს, ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელებს კარგად ესმით.

მთავარმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ** მარცხენა ფლანგზე **ლევან ხმალაძის** ტრავმის გამო წარმოქმნილი პრობლემის მოგვარება მოლდოვასა და სლოვაკეთში ნათამაშები **მამუკა ლომიძის** დამატებით სცადა – "დინამომ" 26 წლის მცველთან ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბულგარულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ "დინამოს" "ბნეი სახნინის" ბულგარელი ფორვარდის, **კოსტადინ ხაზუროვის** გადაბირებაც სურს. მას ბულგარეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია და ერთხელ ეროვნული გუნდის ფორმაც მოურგია, ამჟამად კი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს – ისრაელის ლეუმით ლიგის 13 მატჩში 7 გოლი გაიტანა.

ცნობილია ისიც, რომ თბილისელებს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას** გადაბირებაც სურთ და მისგან წინასწარი თანხმობაც მიიღეს.

თუმცა, ეს „დინამოსთვის" სასურველი მოთამაშეების არასრული ჩამონათვალია: შევიტყვეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა კიდევ რამდენიმე ქართველ მოთამაშესთან დაიწყეს მოლაპარაკება.

„დინამოს" ჯერაც არ განელებია ინტერესი დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" თავდამსხმელ **ბექა გოცირიძის** მიმართ, რომელიც ამჟამად ფორმის აღდგენას ამ უკრაინული კლუბის დუბლშემადგენლობაში ცდილობს.

დიღომში რამდენჯერმე ივარჯიშა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებმა **რევაზ ბარაბაძემ**, მაგრამ ძველი ტრავმებით განვალებულმა 23 წლის თავდამსხმელმა თავის დასაზღვევად მოცდა ამჯობინა - "დინამოში" ვარჯიშს იანვარში განაახლებს და იმ დროისთვის გადაწყდება, ჩაირიცხება თუ არა გუნდში.

"დინამოში" ხშირი ტრავმიანობით დატანჯული **ლევან ყენიას** აყვანაზეც დაფიქრდნენ. ლევანმა ვარჯიში განაახლა და, შესაძლოა, თბილისელებმა გელზენკირხენის "შალკეს" მისი იჯარით მოწვევა სთხოვონ.

ცხადია, ცვლილებები მხოლოდ შემატებას არ გულისხმობს – "დინამოს" რამდენიმე მოთამაშის დათხოვნაც მოუწევს. ჯერ არ ადასტურებენ, მაგრამ გაშვების კანდიდატები ესპანელი თავდამსხმელი **ალბერტ იაგუე** და ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი **რობერტინიო ლინდო** არიან. ცხადია, მათ რამდენიმე ქართველიც მიჰყვება.

ლევან ყენია

თუმცა, ეს ჯერ მხოლოდ გეგმებია და ამათგან რა განხორციელდება, მალე შევიტყობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ სიტი

კიბამ კიო



როგორც ჩანს არგენტინელი თავდამსხმელი, 27 ნლის **კარლოს ტევესი** იანვარში „მანჩესტერ სიტის“ უეჭველად დატოვებს და, თან, სერია A-ში გადავა. ამის შესახებ მისმა აგენტმა, **კია ჯურაბჩიანმა** ილაპარაკა. ისტლენდელთა მწვრთნელი, **რობერტო მანჩინიც** იმედოვნებს, რომ ტევესსა და რომელიმე იტალიურ გიგანტს, სავარაუდოდ „მილანს“ შორის გარიგება შედგება და ტევესს „ეტიჰედ სთედიუმიდან“ ერთხელ და საბოლოოდ მოიშორებს.

შეგახსენებთ, რომ „როსონერის“ ტევესის ყიდვა ჯერ კიდევ ზაფხულში უნდოდა, მაგრამ მაშინ მხარეებმა მოლაპარაკება ვერ მოასწრეს — ფეხბურთელთა საზაფხულო ბაზარი დაიხურა. შემდეგ დაირხა ხმები, რომ თავისი ყოფილი ფეხბურთელის დაბრუნებას ბრაზილიური „კორინთიანსი“ შეეცდებოდა, თუმცა არც ეს გამოდგა საქმიანი ვარიანტი. და აი, დღეს, ჯურაბჩიანი, რომლის გარეშეც არგენტინელი, როგორც ჩანს, ნაბიჯს ვერ დგამს, აცხადებს, რომ მის კლიენტს მომავალშიც დიდ გეგმებში უნდა თამაში, ანუ ის კვლავ ევროპის კონტინენტზე დარჩება.

„ბრაზილიაში დაბრუნება? — იკითხა თავად ბრაზილიელმა — ზოგადად ეს, რასაკვირველია, შესაძლო ვარიანტია, მაგრამ ჯერჯერობით ტევესს კვლავ ევროპაში სურს თამაში. ის ძალიან ბევრს ვარჯიშობს და ემზადება, რომ იანვრიდან რომელიმე დიდი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. „მილანი“ დიდი კლუბია, მაგრამ არ იფიქროთ, რომ იტალიიდან ტევესის გადაბირება მარტო „შავ-წითლებს“ აინტერესებდეთ. ინფორმაცია სხვა კლუბებმაც მოიძიეს“.

მოგეხსენებათ, ორშაბათს, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, **ადრიანო გალიანინმ** საჯაროდ განაცხადა, რომ კარლოს ტევესთან მოლაპარაკების უფლება მისმა ახლანდელმა კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“ მისცა. როგორც ცნობილია, ტევესი „მანჩესტერ სიტიდან“ „შატალოზე“ წავიდა და აღარც დაბრუნებულა. განრისხებული ისტლენდელები მის თავიდან მოცილებას აპირებენ, ოღონდ, სავარაუდოდ, იაფად არ გაყიდიან. „სიტის“ მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** არგენტინელ თავდამსხმელს „შტერი“ უწოდა. მისი აზრით, ის აურზაური, რომელიც ტევესმა „ეტიჰედ სთედიუმზე“ ატეხა, არაფრისგან იყო ნარმოშობილი. მანჩომ თქვა:

„ნამდვილად არ ვიცი კარლოსთან დაკავშირებით ამწუთას რა ხდება. ვფიქრობ, ჩვენთვის მთავარია, ის გავყიდოთ. მისი აქედან წასვლა ძალიან მნიშვნელოვანი როგორც ჩვენთვის, ასევე მისთვის. ამბობენ, რომ ტევესს იტალიაში გადასვლის ვარიანტი აქვს. თუ ასეა, ძალიან მიხარია“.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში არგენტინელის პრობლემები „შატალოთი“ არ დანყებულა. გაუგებრობა მაშინ დაიწყო (თუმცა, არც ადრე აკლდა), როდესაც მიუნხენში, „ბაიერნის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, ფორვარდმა სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომასა და მოედანზე შესვლაზე უარი თქვა. მანჩინიმ არ დამალა, რომ ტევესის ამ საქციელმა ის ერთი, რომ გააოგნა და მეორე — გულნატკენი დატოვა.

„ტევესი შტერულად მოიქცა. ასე არავინ უნდა იქცეოდეს, განსაკუთრებით დიდი ფეხბურთელი. მისგან ასეთი რამეს არ ველოდი და მეტისმეტად გავბრაზდი. მანამდე ხომ მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ცხოვრებაში პირველად ვნახე ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში, როდესაც თამაშის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ფეხბურთელს მოედანზე შესვლაზე უარი ეთქვას“.

გეხსომებათ, რომ დაძაბულობის განმუხტვისათვის მანჩინიმ ფეხბურთელს ერთადერთი რამ, ბოდიშის მოხდა სთხოვა, მაგრამ არგენტინელმა იუკადრისა.

„მიუნხენის ამბიდან ათი დღის შემდეგ კარლოსი ჩემთან დავპატიჟე, მოდი, დავილაპარაკოთ-მეთქი - განაგრძო მწვრთნელმა - მე მას ვუთხარი, რომ თუ მე, კლუბს და თანაგუნდელებს ბოდიშს მოგვიხდიდა, ჩვეულებრივად გააგრძელებდა პირველ გუნდში თამაშს. გულწრფელად გეუბნებით, ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ კარლოსმა მითხრა, რომ არავისთან აქვს ბოდიში მოსახდელი“.

● სკანდალი

შეთქმულება

კოლო ტურესა და აფრიკელების წინააღმდეგ

„სიტის“ თავკაცმა, **რობერტო მანჩინიმ** თავისი გუნდის 30 ნლის კოტდივუარელი მცველი, **კოლო ტურე** დაიცვა. იმ ციტატების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც ფრანგულ ჟურნალ So Foot-ში ეწერა, ტურემ ცალკე „მანჩესტერ სიტი“ გააკრიტიკა და ცალკე პრემიერლიგა. თან, რისთვის არ გაინტერესებთ? აფრიკელი ფეხბურთელებისადმი დამოკიდებულებისთვის. კოტდივუარელს თანაგუნდელი, 20 ნლის ჩერნოგორიელი მცველი, **სტეფან სავიჩიც** შემოელანძღა.

„ბაიერნთან“ წუხანდელი თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისტლენდელთა თავკაცმა თქვა:

„კოლოს ამ სტატიის შესახებ ველაპარაკე და მან მითხრა, რომ მსგავსი არაფერი უთქვამს. ტურემ ყველაფერი ამიხსნა და პრობლემაც ამოინურა“.

ასეთი კომენტარის შემდეგ ჟურნალისტებს გაუჩნდათ ბუნებრივი კითხვა, ენდობა თუ არა მანჩინი ტურეს. მანჩომ უპასუხა:

„რასაკვირველია, ვენდობი. სტატია არ წამიკითხავს და ნამდვილად ვერ გეტყვით, რა წერია ჟურნალში, მაგრამ გუშინ ვარჯიშის დროს კოლო ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ ასეთი ინტერვიუ არსებობს. კერძოდ, მან საქმის კურსში ჩამაყენა, რომ არსებობს გამოცემა, სადაც წერია, რომ მან ეს, ეს და ეს თქვა, სინამდვილეში კი არც ერთი ამ სიტყვათაგანი მას არ ეკუთვნის. ჩემთვის ჩემი ფეხბურთელის სიტყვები საკმარისია“.

შემდეგ ისტლენდელების იტალიელმა მწვრთნელმა დასძინა: *„კოლო ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ის „მანჩესტერ სიტის“ სჭირდება. ის ძალიან კარგი ადამიანია და იმ ფაქტმა, რომ ყოველ შეხვედრაში მოედანზე არ არის, არ უნდა დაგვაეჭვოს. „სიტიში“ ბევრი ძლიერი ფეხბურთელია და ყველანი ყოველ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ. მთავარი ამ შემთხვევაში ჩემი, მწვრთნელის სიტყვაა, მე კი ვამბობ: კოლო ტურე გუნდში მჭირდება“.*

მოგეხსენებათ, იანვარში „აფრიკის თასის“ გათამაშება იწყება და კოლო ტურე კოტ დივუარის ნაკრების შემადგენლობაში ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაემართება. სხვა სიტყვებით ის პრემიერლიგის მნიშვნელოვან შეხვედრებს გამოტოვებს.

„ჩვენთვის, აფრიკელებისთვის, სულ უფრო და უფრო რთულდება მდგომარეობა - მოჰყავს ჟურნალ So Foot-ს ტურეს ციტატა - „აფრიკის თასზე“ მონაწილეობა კოშმარად გვექცა. ევროპული გუნდების მწვრთნელებს ამ შეჯიბრების გამო აფრიკელ ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაფორმება აღარ უნდათ. დარწმუნებული ვარ, ამ ბოლო დროს „სიტის“ შემადგენლობაში რომ ვერ ვხვდები, მარტო ფორმაში ყოფნა-არ ყოფნის გამო კი არ არის, არამედ, მიზეზები გაცილებით ღრმაა. აბა, მარტო კარგ ფორმაში ყოფნაზე რომ იყოს, ყოველ ტურში მოედანზე ვიქნებოდი. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ მიზეზი „აფრიკის თასის“ მოახლოებული გათამაშებაა“.

იმავე ინტერვიუში (თუ ეს მართლა მისი სიტყვებია) **იაია ტურეს** ძმა (რომელსაც მანჩინი აფრიკელობის მიუხედავად რეგულარულად ათამაშებს) ამბობს, რომ „მანჩესტერ სიტი“ მას „აფრიკის თასის“ 2010 ნლის გათამაშებაში მონაწილეობას ვერასოდეს აპატიებს და სწორედ ამის გამო ჩამოართვეს მას კაპიტნის სამკლავური:

„2010 ნელს „მანჩესტერ სიტიმ“ საგანგებოდ ჩემთვის იქირავა თვითმფრინავი, რათა ანგოლიდან დროულად დავბრუნებულიყავი და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში მიმეღო მონაწილეობა. მე დროულად მაინც ვერ დავბრუნდი და ჩვენ „ქარლინგის თასის“ ის შეხვედრა წავაგეთ. დარწმუნებული ვარ, რომ კლუბს ეს არ დავიწყებია და ახლა მაშინდელ „ვალებს“ ვიხდი“.

ახლა, რაც შეეხება ზემოხსენებულ ციტატას სტეფან სავიჩის შესახებ:

„როდესაც უყურებ, როგორ თამაშობს სავიჩი, მაგალითად „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“, რასაკვირველია, მშვიდები და ხვდები, რომ ადგილს ვერავინ შეგეცილება“.

სავიჩი „მანჩესტერ სიტიმ“ ბელგრადის „პარტიზანისგან“ ნლეულს 7 მილიონ ევროდ იყიდა. „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ მისი სადებიუტო მატჩი გაიმართა.

ცნობისათვის: 2010 ნლის ოქტომბერში, ჟურნალმა So Foot-მა ინგლისელ მოდელსა და მომღერალს, **ლილი ალენს** გვარიანი (თუმცა, უცნობი) თანხა გადაუხადა იმის გამო, რომ გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელშიც ალენი, თითქოსდა, **შერილ კოულსა** და **ვიქტორია ბექჰემს** ლანძღავდა. მოგვიანებით ჟურნალი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ალენს საერთოდ არ დალაპარაკეია.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● ბოლტონი

კეჰილის საქმე კლუბმა მოიგო

გასულ უქმეებზე, პრემიერლიგის მე-14 ტურში, „ბოლტონისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შეხვედრაში, ბოლტონელი მცველი, 25 ნლის **გარი კეჰილი** „დეზების“ ნახევარმცველ **სკოტ პარკერის** წაქცევის გამო მოედნიდან გააძევეს. „ბოლტონმა“ მსაჯის გადაწყვეტილება უსამართლობად მიიჩნია და იჩივლა. და აი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სააპელაციო კომიტეტიდან მოვიდა ცნობა, რომ კეჰილი გამართლდა — 188 სანტიმეტრი სიმაღლის ათლეტი დისკვალიფიცირებული არ არის და შაბათს, „რიბოკ სთედიუმზე“ „ასტონ ვილასთან“ თამაშის უფლება აქვს.

არადა, „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში მსაჯმა, **სტიუარტ ეტუელმა** ბოლტონელთა მცველი ძალიან ადრე, მე-17 წუთზევე გაუყენა გასახდელის გზას, რამაც გუნდზე, რასაკვირველია, იმოქმედა. „სფურზმა“ შეხვედრა 3:0 მოიგო. რა იყო გაძევების მიზეზი? პარკერი ბოლტონელებს მოედნის ცენტრში დაუსხლტა და კარისკენ დაიძრა. გზად კეჰილი ნამოწია და გადათელა. არბიტრმა ეპიზოდი „ბოლო იმედის“ ჯარიმად აღიქვა, სტუმრები კი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს გადამეტებული შეფასება იყო.

„ბოლტონის“ მწვრთნელმა, **ოუენ კოლმა**, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მეხუთე ფეხბურთელი გაუძევეს მოედნიდან, მაშინვე თქვა: *„მსაჯის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ გავაპროტესტებ. ეს სრულიად აღმაშფოთებელი გადაწყვეტილება იყო“.*

„ბოლტონის“ კიდევ ერთმა მცველმა, 31 ნლის **ზეტ ნაითმა** მწვრთნელის განწყობილება გაიზიარა: *„მსაჯმა გადაწყვეტილება მეტისმეტად ჩქარა მიიღო. ორთაბრძოლა დასრულებულიც არ იყო, ხელი უკვე ჯიბეში რომ ჰქონდა. გაცილებით სწორი იქნებოდა, ჯერ მიმეხედა და შეემოწმებინა, სად იყვნენ დანარჩენი ფეხბურთელები. ამით ის გაარკვევდა იყო თუ არა კეჰილისა და პარკერის ეპიზოდში „ბოლო იმედის“ ჯარიმა.*

გერი პარკერს ცენტრალურ ხაზს ოდნავ გადაღმა შეებრძოლა, რისთვისაც არბიტრმა გააძევა. ვფიქრობ ეს გადაჭარბებული სიმკაცრე იყო. მე მოედანზე ვიყავი და ვხედავდი, რომ ეპიზოდი ყვითელ ბარათზე მეტს არ იმსახურებდა. როდესაც მსაჯმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, ასეც ვიფიქრე, ყვითელს ამოიღებს-მეთქი. პირველი ტაიმი რომ დამთავრდა ეტუელთან მივედი და ჩემი აზრი ვუთხარი. მან მიპასუხა, რომ თამაშის შემდეგ აუცილებლად ნახავდა ვიდეოჩანაწერს. ჩვენთვის ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან თამაშის სადავეები მთლიანად „ტოტენჰემის“ ხელში იყო. კი ბატონო, კეჰილის გაგდების მომენტისთვის „სფურზი“ უკვე 1:0-ს იგებდა, მაგრამ, ვფიქრობ, გარი რომ მოედანზე ყოფილიყო ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებდით“.

ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ მომდევნო ტურში სტიუარტ ეტუელი შეხვედრას არ გაუძღვება, ის მეოთხე მსაჯი იქნება.

● სახალისო

ბალოგელის მორიგი თავგადასავალი

„მანჩესტერ სიტისა“ და იტალიის ნაკრების 21 ნლის ვარსკვლავი, **მარიო ბალოტელი** გაოცებისგან პირდაღებული დარჩა, როდესაც ერთი დღის ნაყიდი „მაზერატი“, რომელშიც არც მეტი-არც ნაკლები 100 000 ფუნტი ანუ 156 371 დოლარი გადაიხადა, პოლიციელებმა კინაღამ „დაუპატიმრეს“.

კერძოდ აი, რა მოხდა: ბალო ტრასაზე, მსუბუქად რომ ვთქვათ, ნებადართულ სიჩქარეზე სწრაფად, ეგრეთ წოდებული გადაჭარბებით მიქროდა (პოლიციელმა 187 მილი, ანუ 299,2 კილომეტრი საათში დააფიქსირა), რის გამოც ის გააჩერეს და, რატომღაც ეჭვი გაუჩნდათ, რომ საბუთები წესრიგში არ ექნებოდა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, — „სიტის“ ვარსკვლავს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲞᲐᲡᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

● ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ. ᲐᲠᲢᲔᲠᲢᲘᲠᲐ. XVII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ

ასე აღნიშნეს ბოკას ფეხბურთელებმა ჩემპიონობა

ᲙᲐᲛᲞᲔᲝᲜ, ᲙᲐᲛᲞᲔᲝᲜ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ

ᲔᲡᲢᲣᲓᲘᲐᲜᲢᲔᲡᲘ-ᲝᲚ ᲑᲝᲘᲡᲘ	3:0

გოლები: 1:0 მ. გონსალესი (31), 2:0 გ. ფერნანდესი (33), 3:0 ბოსელი (62)

ᲐᲠᲮᲔᲜᲢᲘᲜᲝᲡᲘ-ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ	2:1

გოლები: 0:1 ა. გონსალესი (18), 1:1 სალსედო (30), 2:1 სალსედო (90)
გაძევება: პისტონე (66. არხენტინოსი), ლ. ლოპესი (88. არსენალი)

ᲚᲐᲜᲣᲡᲘ-ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐ	0:0

ᲙᲝᲚᲝᲜᲘ-ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ	0:2

გოლები: 0:1 იაკობი (30), 0:2 ვიოლა (56)
გაძევება: ჩევანტონი (63. კოლონი), იაკობი (77. რასინგი), მ. მარტინესი (83. რასინგი)

ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ-ᲕᲔᲚᲔᲡᲘ	2:0

გოლები: 1:0 ა. კასტრო (2), 2:0 კარერა (86)
გაძევება: ს. დომინგესი (18. ველესი), პაპა (79. ველესი)

ᲡᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘ-ᲡᲐᲜᲢᲐ ᲤᲔ	2:0

გოლები: 1:0 პენკო (44), 2:0 ბოგადო (58)

ᲘᲜᲓᲔᲞᲔᲜᲓᲘᲔᲜᲢᲘ-ᲜᲘᲣᲔᲚᲡᲘ	1:1

გოლები: 0:1 პ. პერესი (17), 1:1 მ. ბენიტესი (51)

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲜᲝ-ᲒᲝᲚᲝᲜᲘ ᲙᲠᲣᲡᲘ	1:1

გოლები: 1:0 მანსანელი (54), 1:1 რ. რამირესი (58)
გაძევება: ოლმედო (23. გოდოი კრუსი)

ᲑᲝᲙᲐ-ᲑᲐᲜᲤᲘᲚᲓᲘ	3:0

გოლები: 1:0 ცვიტანიჩი (9), 2:0 ცვიტანიჩი (43), 3:0 რივერო (46)

ᲡᲐᲜ ᲚᲝᲠᲔᲜᲡᲝ-ᲗᲘᲒᲠᲔ	1:0

გოლი: 1:0 ბიანჩი არსე (1)

XVIII ᲢᲣᲠᲘ

ᲝᲚ ᲑᲝᲘᲡᲘ-ᲐᲠᲮᲔᲜᲢᲘᲜᲝᲡᲘ	1:0

გოლი: 1:0 სპატა (12)
გაძევება: ბერარდო (69. არხენტინოსი)

ᲝᲚᲘᲛ�პᲝ-ᲔᲡᲢᲣᲓᲘᲐᲜᲢᲔᲡᲘ	0:0

ᲡᲐᲜᲢᲐ ᲤᲔ-ᲚᲐᲜᲣᲡᲘ	0:1

გოლი: 0:1 ფრიცლერი (17)
გაძევება: ბარალესი (47. სანტა ფე)

ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ-ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ	1:0

გოლი: 1:0 გუტიერესი (49)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ᲑᲝᲙᲐ	17	11	6	0	22-4	39
2. ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ	18	7	10	1	16-7	31
3. ᲚᲐᲜᲣᲡᲘ	18	7	7	4	18-12	28
4. ᲗᲘᲒᲠᲔ	17	7	6	4	20-14	27
5. ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ	18	8	2	8	22-24	26
6. ᲕᲔᲚᲔᲡᲘ	17	7	4	6	18-16	25
7. ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲜᲝ	17	6	7	4	18-16	25
8. ᲙᲝᲚᲝᲜᲘ	17	6	7	4	14-14	25
9. ᲡᲐᲜᲢᲐ ᲤᲔ	18	6	7	5	14-16	25
10. ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ	17	6	5	6	19-17	23
11. ᲡᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘ	17	5	7	5	16-14	22
12. ᲒᲝᲚᲝᲜᲘ ᲙᲠᲣᲡᲘ	17	5	6	6	26-23	21
13. ᲘᲜᲓᲔᲞᲔᲜᲓᲘᲔᲜ.	17	5	6	6	15-16	21
14. ᲝᲚ ᲑᲝᲘᲡᲘ	18	4	9	5	15-22	21
15. ᲡᲐᲜ ᲚᲝᲠᲔᲜᲡᲝ	17	5	4	8	13-17	19
16. ᲐᲠᲮᲔᲜᲢᲘᲜᲝᲡᲘ	18	4	7	7	17-24	19
17. ᲔᲡᲢᲣᲓᲘᲐᲜᲢ.	17	4	5	8	20-23	17
18. ᲝᲚᲘᲛᲪᲘᲐ	18	2	10	6	15-24	16
19. ᲜᲘᲣᲔᲚᲡᲘ	17	1	11	5	11-16	14
20. ᲑᲐᲜᲤᲘᲚᲓᲘ	16	3	2	11	11-21	11

ბომბარდირები: 11 - რუბენ რამირესი (გოდოი კრუსი); 7 - მაურო მატოსი (ოლ ბოისი), სანტიაგო სალსედო (არხენტინოსი); 6 - ალექსის კასტრო (ატლეტიკო), დარიო განდინი (ატლეტიკო), ტეოფილო გუტიერესი (რასინგი), მარტინ როლე (ოლიმპო).

წუხელ: არსენალი-ბოკა, გოდოი კრუსი-კოლონი.
8 დეკემბერი: ნიუელსი-სან მარტინი, ბანფილდი-ბელგრანო, ტიგრე-ველესი, სან ლორენსო-ინდეპენდიენტე.

პრიმერა დივიზიონის მე-17 ტურს, რომელმაც ჩემპიონის ვინაობა გამოავლინა, შუა კვირაში მე-18 მიება. ამიტომ, შედეგებში მომდევნო ტურის უკვე დასრულებულ მატჩებსაც იხილავთ, თუმცა შეჯამებაში მხოლოდ იმ ტურზე შევჩერდებით, რომელშიც „ბოკა ხუნიორსის“ 25-ე ზეობა ვიხილეთ.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

3 წლისა და 5 უიღბლო ჩემპიონატის შემდეგ, არგენტინის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი („რივერ პლეიტის“ შემდეგ), „ბოკა“ დიდების ზენიტზეა - ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა ტიტული.

დასანანია, რომ „ბოკა“ ვერ ბრწყინავდა და მას უბრალოდ ღირსეული მეტოქეები არ ჰყავდა, ერთი და ისიც სანახევრო კონკურენტი „რასინგი“ იყო. დასანანია, რომ თავად აპერტურა ვერ შედგა, ჩემპიონატში დაბალი შედეგიანობაა. დასანანია, რომ ძალიან ბევრმა ვარსკვლავმა (თუნდაც **დიეგო ვალერომ, ხუან მანუელ მარტინესმა, მაურო ბოსელმა**) იმის მეათედიც ვერ აჩვენა, რაც შეუძლია...

მაგრამ ამ ყველაფერში „ასულ ი ორო“ ყველაზე ნაკლებადაა· დამნაშავე - ის ღირსეული ჩემპიონია! 33 წლის **ხუან რამონ რიკელმე** არგენტინის ხუთგზის ჩემპიონი გახდა. ახლა ლეგენდას 30 საკლუბო ტიტული აქვს კარიერაში მოპოვებული. ზოგი კი ამბობდა, ამ ფეხბურთელის კარიერას წარმატებულს ვერ ვუწოდებთო...

არგენტინის საუკეთესო მსაჯმა, **ექტორ ბალდასიმ** კარიერა „ბოკა“-“ბანფილდის“ „ოქროს“ მატჩით დაასრულა.

„ლანუსმა“ ჩემპიონატის დასრულებამდე მოიპოვა ლიბერტადორესის თასის საგზური. „ტიგრე“ უკვე ვერაფრით დაეწევა 2011 წლის საერთო ცხრილში „ლანუსს“. ამ ტურში პირველი მოგება იზეიმა „სან ლორენსოს“ ახალმა მწვრთნელმა **ლეონარდო მადელონმა.**

„ინდეპენდიენტეს“ რიგებში ვიხილეთ 1994 წელს დაბადებული ფორვარდის, **მარტინ ბენიტესის** დებიუტი. ახალგაზრდა ტალანტმა დებიუტი გოლით აღნიშნა.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

ტურში სულ 18 გოლი გავიდა, ცოტაა (1,8 მატჩში), მაგრამ მათი თითქმის მესამედი ძალიან ლამაზი გამოდგა. მასპინძლებმა 13:5 იმარჯვეს. დუბლი შეასრულეს **სანტიაგო სალსედომ** (არხენტინოს ხუნიორსი) და **დარიო ცვიტანიჩმა** (ბოკა ხუნიორსი). „ბოკას“ ნაუგებელი სერია ჩემპიონატში უკვე 27 მატჩს შეადგენს!

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲝᲙᲐ vs ᲑᲐᲜᲤᲘᲚᲓᲘ

დიახ, იყო რამდენიმე უფრო დაძაბული და საინტერესო შეხვედრა, მაგრამ ამ შეხვედრამ სეზონის უმთავრეს კითხვას გასცა პასუხი: ვინ იქნება ჩემპიონი?

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲓᲐᲠᲘᲝ ᲪᲕᲘᲢᲐᲜᲘᲩᲘ (ᲑᲝᲙᲐ)

მან კიდევ უფრო ეფექტურად ითამაშა, ვიდრე წინა ტურში (როცა ასევე ტურის გმირი გახდა). გოლები მე-10 და 44-ე წუთებზე გაიტანა, განსაკუთრებით ლამაზი მეორე იყო, ეფექტური, დარტყმა მოუმზადებლად. ცვიტანიჩი „ბანფილდის“ აღზრდილია, მან ამ გოლებით ჩემპიონობა მოუპოვა „ბოკას“, თუმცა გოლები ყოფილი კლუბის პატივისცემის ნიშნად, არ უზეიმია.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲝᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ ᲡᲐᲚᲡᲔᲓᲝ (ᲐᲠᲮᲔᲜᲢᲘᲜᲝᲡᲘ) (ᲛᲔ-2 ᲒᲝᲚᲘ)
ᲓᲘᲔᲒᲝ ᲠᲘᲕᲔᲠᲝ (ᲑᲝᲙᲐ)
ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ (ᲔᲡᲢᲣᲓᲘᲐᲜᲢᲔᲡᲘ)
ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲑᲔᲜᲘᲢᲔᲡᲘ (ᲘᲜᲓᲔᲞᲔᲜᲓᲘᲔᲜᲢᲘ)

ᲚᲘᲑᲔᲠᲢᲐᲓᲝᲠᲔᲡᲗᲐᲜ

გაირკვა ყველა გუნდი არგენტინიდან, რომლებიც ამ პრესტიჟულ ტურნირზე ითამაშებენ: „ბოკა“, „ველესი“, „ლანუსი“, „გოდოი კრუსი“ და „არსენალი“.

ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ

(ᲛᲮᲝᲚᲝᲓ XVII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ)
20. ᲝᲚᲘᲛᲪᲘᲐ - 1,145; 19. ᲗᲘᲒᲠᲔ - 1,172;

ᲒᲐᲚᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

18. ᲝᲚ ᲑᲝᲘᲡᲘ - 1,254; 17. ᲡᲐᲜ ᲚᲝᲠᲔᲜᲡᲝ - 1,268

● ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ A. ᲑᲝᲚᲝ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲘᲒᲓᲐ

ᲡᲐᲜ ᲞᲐᲣᲚᲣ-ᲡᲐᲜᲢᲝᲡᲘ	4:1

გოლები: 1:0 ლუიშ ფაბიანო (13), 2:0 სისერო (33), 3:0 ლუკას სილვა (38), 3:1 ელანო (61), 4:1 ლუიშ ფაბიანო (80)

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ-ᲒᲠᲔᲛᲘᲝ	1:0

გოლი: 1:0 დალესანდრო (61-პენ)

ᲙᲠᲣᲖᲔᲘᲠᲝ-ᲐᲢᲚ. ᲛᲘᲜᲔᲘᲠᲝ	6:1

გოლები: 1:0 როჟერი (8), 2:0 ლეანდრო გერეირო (28), 3:0 ანსელმო რამონი (33), 4:0 ფაბრისიო (45), 5:0 ველინგტონ პაულისტა (57), 5:1 რევერი (61), 6:1 ევერტონი (90)
გაძევება: ველინგტონი (77. კრუზეირო), ვერლეი (77. ატლეტიკო)

ᲐᲢᲚ. ᲒᲝᲘᲐᲜᲘᲔᲜᲡᲔ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ	5:1

გოლები: 1:0 ფელიპე (11), 2:0 მარსიო (15-პენ), 3:0 ჟილსონი (39), 3:1 ტიაგო კარლეტო (58), 4:1 ანაილსონი (71), 5:1 პაულო ენრიკე (85)

ᲐᲢᲚ. ᲞᲐᲠᲐᲜᲐᲔᲜᲡᲔ-ᲙᲝᲠᲘᲢᲘᲑᲐ	1:0

გოლი: 1:0 გერონი (73)
გაძევება: ფაბრისიო კარიოკა (90. ატლეტიკო)

ᲑᲐᲘᲐ-ᲡᲔᲞᲐᲠᲐ	2:1

გოლები: 1:0 კამაჩო (13), 2:0 ლულინია (43), 2:1 ფელიპე აზევედო (45)

ᲐᲕᲐᲘ-ᲤᲘᲒᲔᲘᲠᲔᲜᲡᲔ	1:1

გოლები: 1:0 ორლანდო (44), 1:1 ებერი (47)
გაძევება: ჟულიო სეზარი (53. ფიგეირენსე)

ᲑᲝᲢᲐᲤᲝ�გᲝ-ᲤᲚᲣᲛᲘᲜᲔᲜᲡᲔ	1:1

გოლები: 0:1 ფრედი (5), 1:1 ფელიპე მენეზესი (10)
გაძევება: ვალენსია (76. ფლუმინენსე)

ᲕᲐᲡᲙᲣ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐ-ᲤᲚᲐᲛᲔᲜ�გᲝ	1:1

გოლები: 1:0 დიეგო სოუზა (30), 1:1 რენატო აბრეუ (55)
გაძევება: ჟუმარი (70. ვასკუ), რენატო აბრეუ (90. ფლამენგო), ფელიპე (90. ვასკუ)

ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲘᲐᲜᲘ-ᲞᲐᲚᲛᲔᲘᲠᲐᲡᲘ	0:0

გაძევება: ვალდივია (47. პალმეირასი), ჟოლეესი (72. კორინთიანსი), ჟოაო ვიტორი (90. პალმეირასი), ლეანდრო კასტანი (90. კორინთიანსი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲘᲐᲜᲘ	38	21	8	9	53-36	71
2. ᲕᲐᲡᲙᲣ	38	19	12	7	57-40	69
3. ᲤᲚᲣᲛᲘᲜᲔᲜᲡᲔ	38	20	3	15	60-51	63
4. ᲤᲚᲐᲛᲔᲜ�გᲝ	38	15	16	7	59-47	61
5. ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲡᲘᲝᲜ.	38	16	12	10	57-43	60
6. ᲡᲐᲜ ᲞᲐᲣᲚᲣ	38	16	11	11	57-46	59
7. ᲤᲘᲒᲔᲘᲠᲔᲜᲡᲔ	38	15	13	10	46-45	58
8. ᲙᲠᲘᲢᲘᲑᲐ	38	16	9	13	57-41	57
9. ᲑᲝᲢᲐᲤᲝ�გᲝ	38	16	8	14	52-49	56
10. ᲡᲐᲜᲢᲝᲡᲘ	38	15	8	15	55-55	53
11. ᲞᲐᲚᲛᲔᲘᲠᲐᲡᲘ	38	11	17	10	43-39	50
12. ᲑᲠᲔᲛᲘᲝ	38	13	9	16	49-57	48
13. ᲐᲢᲚ. Გ.	38	12	12	14	50-45	48
14. ᲑᲐᲘᲐ	38	11	13	14	43-49	46
15. ᲐᲢᲚ. Მ.	38	13	6	19	50-60	45
16. ᲙᲠᲣᲖᲔᲘᲠᲝ	38	11	10	17	48-51	43
17. ᲐᲢᲚ. Პ.	38	10	11	17	38-55	41
18. ᲡᲔᲞᲐᲠᲐ	38	10	9	19	47-64	39
19. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ	38	8	13	17	51-69	37
20. ᲐᲕᲐᲘ	38	7	10	21	45-75	31

ბომბარდირები: 23 - ბორჯესი (სანტოსი); 22 - ფრედი (ფლუმინენსე); 15 - დეივიდი (ფლამენგო); 14 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), რონალდინიო (ფლამენგო), ვილიამი (ავაი).

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ 41-Ე ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲣᲗᲔᲓ ᲓᲐ 2005 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲡᲐᲜ ᲞᲐᲣᲚᲣᲡ „ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲘᲐᲜᲚᲘᲡᲛᲐ“ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ, ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲔᲡᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ᲣᲫᲚᲕᲜᲐ.

ᲕᲘᲜ, ᲡᲐᲘᲗ

მაშ ასე, 2012 წელს ლიბერტადორესის თასზე ბრაზილიას წარადგენენ: „სანტოსი“, „ვასკუ და გამა“, „კორინთიანსი“, „ფლუმინენსე“, „ფლამენგო“ და „ინტერნასიონალი“. კიდევ 8 ბრაზილიური კლუბი „კოპა სუდამერიკანაზე“ გამოვა. გავარდნენ: „ატლეტიკო პარანაენსე“, „სეარა“, „ამერიკა“ და „ავაი“.

ᲐᲕᲐᲜᲡᲘ ᲜᲔᲘᲛᲐᲠᲡ!

ყველაზე პოპულარულმა ბრაზილიურმა გამოცემა „გლობომ“ სეზონის ნომინანტები დაასახელა. საუკეთესო ფეხბურთელი გახდა „სანტოსის“ 19

ნეიმარი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

წლის ვარსკვლავბიჭუნა **ნეიმარი.** მისი საშუალო შეფასება 6,98-ია. მას მოჰყვებიან: **ფრედი** (ფლუმინენსე), **მონტილიო** (კრუზეირო), **დედე** (ვასკუ და გამა) და **რონალდინიო** (ფლამენგო). საუკეთესო მეკარედ „ბაიას“ გოლკიპერი **მარსელო ლომბა** დასახელდა, საუკეთესო მცველი დედეა, ნახევარმცველი - **პაულინიო** (კორინთიანსი), რომელსაც მალე „მილანს“ ან „რომას“ უწინასწარმეტყველებენ, საუკეთესო შემტევი ნახევარმცველი - მონტილიო; ფორვარდი - ნეიმარი.

„გლობოს“ სიმბოლური ნაკრები (3-4-3) ასე გამოიყურება: ***მარსელო ლომბა*** *(ბაია)* - ***დედე*** *(ვასკუ)*, ***როდოლფო*** *(სან პაულუ)*, ***ჟესი*** *(კორიტიბა)* - ***პაულინიო*** *(კორინთიანსი)*, ***მონტილიო*** *(კრუზეირო)*, ***ნემი*** *(ფიგეირენსე)*, ***დალესანდრო*** *(ინტერნასიონალი)* - ***ნეიმარი*** *(სანტოსი)*, ***ფრედი*** *(ფლუმინენსე)*, ***რონალდინიო*** *(ფლამენგო)*.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ

რა თქმა უნდა, **ანდერსონ აკინოზე** მოგითხრობთ - 2009/10 წლების სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი (26 გოლი) არც სერია A-ში დაკარგულა. მისმა „კორიტიბამ“ სეზონი მე-8 ადგილზე დაასრულა, „კოპა სუდამერიკანას“ საგზური მოიპოვა. თავად აკინომ კი 12 თამაშში 9 გოლი გაიტანა. როგორც ხედავთ, აკინოს თამაში ხშირად არ უწევდა (სასტარტოში სულ 7-ჯერ იყო), მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საკმაოდ ბევრი გოლის გატანაში.

● ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ. ᲐᲠᲢᲔᲠᲢᲘᲠᲐ

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲐ?

დასრულდა ურუგვაის პრიმერა დივიზიონის აპერტურას გათამაშებაც. ჩემპიონი „ნასიონალი“ გახდა, რომელმაც 15 ტურში 32 ქულა დააგროვა, ერთით მეტი, ვიდრე „დანუბიომ“. ბოლო ტურში „ნასიონალმა“ სტუმრად 1:0 დაამარცხა „ლივერპული“. მატჩის ერთადერთი გოლი კი თქვენთვის კარგად ნაცნობმა (მილანის „ინტერიდან“) **ალვარო რეკობამ** გაიტანა. 35 წლის ვარსკვლავმა ამ სეზონში (13 მატჩში) სულ 5 გოლი გაიტანა. „ნასიონალმა“ ქვეყნის ჩემპიონობა 43-ედ (!!!) მოიპოვა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ᲜᲐᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ	15	9	5	1	30-11	32
2. ᲓᲐᲜᲣᲑᲘᲝᲛ	15	9	4	2	20-7	31
3. ᲞᲔᲜᲘᲐᲠᲝᲚᲘ	15	9	3	3	30-12	30
4. ᲠᲘᲕᲔᲠ ᲞᲚᲔᲘᲢᲘ	15	8	4	3	22-17	28
5. ᲡᲝᲠᲛ ᲚᲐᲠᲒᲝ	15	8	3	4	18-16	27
6. ᲡᲝᲠᲛ	15	7	3	5	17-12	24
7. ᲓᲔᲤᲔᲜᲡᲝᲠᲘ	15	7	3	5	23-16	24
8. ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ	15	6	1	8	17-18	19
9. ᲡᲘᲚᲔᲘᲠᲘ	15	5	3	7	15-23	18
10. ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ	15	4	5	6	19-24	17
11. ᲣᲝᲜᲓᲔᲠᲠᲘᲡᲘ	15	5	2	8	23-25	17
12. ᲠᲐᲛᲑᲚᲐ	15	5	1	9	16-22	16
13. ᲤᲘᲜᲘᲢᲨᲘ	15	4	4	7	15-22	16
14. ᲠᲔᲜᲢᲘᲡᲢᲐᲡᲘ	15	4	2	9	10-21	14
15. ᲡᲘᲠᲘᲢᲝ	15	3	4	8	10-23	13
16. ᲑᲔᲚᲐ ᲕᲘᲡᲢᲐ	15	3	1	11	9-25	10

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ვარსკვლავთცვენა

კალჩოს დიდების დარბაზი

ჟიური ჟურნალისტებისგან შედგება

ეს ამბავი ალბათ ბევრად ადრე უნდა მომხდარიყო, მაგრამ... საქმე იმაშია, რომ ფლორენციაში იტალიური ფეხბურთის დიდების დარბაზი გაიხსნა, სადაც კალჩოს ყველაზე გამორჩეული პერსონები შევლენ. საგულისხმოა, რომ დიდების დარბაზის ნომინანტებს ჟურნალისტები ავლენენ, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს იტალიურ და მთლიანად, ევროპულ საფეხბურთო სამყაროში მასმედიას. ჟიურის თავმჯდომარე იტალიელ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ლუიჯი ფერაიოლო** გახლავთ, რომელიც დიდების დარბაზის გახსნაზე ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო. დასახელდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც გახსნის ცერემონიაზევე, პირველად შევიდნენ დარბაზში და ამით, კიდევ ერთხელ უკვდავყვეს თავიანთი სახელი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ ნომინანტებს და მათ კომენტარებს გავეცნოთ.

ნომინანტები. მარცხნიდან: საკი, გალიანი, კოლინა, ლიპი, ბაჯო, პლატინი

იტალიური ფეხბურთის საუკეთესო ლეგიონერი: მიშელ პლატინი

საფეხბურთო კარიერა იტალიაში

1982-1987 იუვენტუსი 147 თამაში (68 გოლი)

საკლუბო ტიტულები იტალიაში

2 სკუდეტო (1984, 1986)
იტალიის თასი (1983)
ევროპის თასთა თასი (1984)
ჩემპიონთა თასი (1985)
ევროპის სუპერთასი (1985)
საკონტინენტთაშორისო თასი (1985)

პერსონალური ტიტულები

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (1983, 1984, 1985)

როდესაც იტალიური ფეხბურთის საუკეთესო ლეგიონერზეა საუბარი, უამრავი ფეხბურთელის გახსნება შეიძლება - დანყებული „მილანის“ შვედური ტრიოდან: **ნორდალი, გრენი, ლინდჰოლმი**, დასრულებული ნებისმიერი თანამედროვე ვარსკვლავით, მაგრამ აპენინელმა ჟურნალისტებმა არჩევანი **მიშელ პლატინიზე** შეაჩერეს და ალბათ ჰქონდათ კიდეც ამის საბაბი. პლატინი ესწრებოდა დიდების დარბაზის გახსნის ცერემონიას და ბუნებრივია, სიტყვითაც გამოვიდა:

„ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ წარმოშობით იტალიელი ვარ და აქაურობას ჩემს მეორე სამშობლოდ მივიჩნევ. როდესაც საფრანგეთიდან აბარგების გადაწყვეტილება მივიღე, ინგლისში გადასვლის შანსიც მქონდა, მაგრამ არჩევანი „იუვენტუს ზე“ შევაჩერე და ეს ერთი წუთითაც არ მინანია. ტურინში გატარებული ჰერიოდი საუკეთესო გახლდათ ჩემს საფეხბურთო კარიერაში და ბედნიერი ვარ, რომ ჟურნალისტებს ეს ყველაფერი კარგად ახსოვთ. იტალიური მედია ცალკე სალაპარაკო თემაა, აპენინელი ჟურნალისტები თავისი საქმის ფანატიკოსები არიან და სწორედ აქედან მოდის მათი პროფესიონალიზმი“.

საუკეთესო იტალიელი მწვრთნელები

არიგო საკი და მარჩელო ლიპი

საკის სამწვრთნელო კარიერა

1984-1985 რიმინი
1985-1987 პარმა
1987-1991 მილანი
1991-1996 იტალიის ეროვნული ნაკრები
1996-1997 მილანი
1998-1999 ატლეტიკო (ესპანეთი)
2001 პარმა

ტიტულები

იტალიის ჩემპიონი (1988 წელს)
იტალიის სუპერთასი (1988)
2 ჩემპიონთა თასი (1989, 1990)
2 ევროპის სუპერთასი (1989, 1990)
2 საკონტინენტთაშორისო თასი (1989, 1990)

ლიპის სამწვრთნელო კარიერა

1985-1986 პონტედერა
1986-1987 სიენა
1987-1988 პისტოიეზე
1988-1989 კარარეზე
1989-1991 ჩეზენა
1991-1992 ლუკეზე
1992-1993 ატალანტა
1993-1994 ნაპოლი
1994-1999 იუვენტუსი
1999-2000 ინტერი
2001-2004 იუვენტუსი
2004-2006 იტალიის ეროვნ. ნაკრები
2008-2010 იტალიის ეროვნ. ნაკრები

ტიტულები

ნსკუდეტო (1995, 1997, 1998, 2002, 2003)
იტალიის თასი (1995)
4 იტალიის სუპერთასი (1995, 1997, 2002, 2003)
ჩემპიონთა ლიგა (1996)
ევროპის სუპერთასი (1996)
საკონტინენტთაშორისო თასი (1996)
მსოფლიოს ჩემპიონი (2006)

ტიტულები ყველაფერზე მეტყველებს და რთულია, იტალიელ ჟურნალისტთა არჩევანი ეჭვქვეშ დააყენო, თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არანაკლები დამსახურებები აქვთ **ფაბიო კაპელოს, ენცო ბეარძოტს** და **ვიტორიო პოცოს**. განსაკუთრებით ბევრი მხარდამჭერი სწორედ ამ უკანასკნელს გამოუჩნდა, რომლის თავკაცობითაც იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ყველაფერი შორეულ 1934 და 1938 წლებში მოხდა, პოცოს წარმატებებმა მეორე პლანზე გადაინია. თუმცა, აქ არა იმდენად დროზე, არამედ იმ პერიოდის პოლიტიკურ პროცესებზე და **ბენიტო მუსოლინის** გავლენაზე უნდა იყოს ლაპარაკი - ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ განსაკუთრებით 1934 წლის მუნდიალზე იტალიის ეროვნულ გუნდს მსაჯების მხარდაჭერა არ მოჰკლებიათ.

აქვე, **არიგო საკის** მოვუსმინოთ, რომელმაც მოკლე კომენტარი გააკეთა: *„ჟურნალისტების კრიტიკა არასდროს მომკლებია, განსაკუთრებულ წნეხში 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის დროს ვიყავი და ალბათ, ამას ვიმსახურებდი კიდეც. ყოველივე ამის შემდეგ, სწორედ ჟურნალისტთა დაფასება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და საამაყოა“.*

საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი

რობერტო ბაჯო

საფეხბურთო კარიერა

1982-1985 **ვიჩენცა** 36 თამაში (13 გოლი)
1985-1990 **ფიორენტინა** 94 (39)
1990-1995 **იუვენტუსი** 141 (78)
1995-1997 **მილანი** 51 (12)
1997-1998 **ბოლონია** 30 (22)
1999-2000 **ინტერი** 41 (9)
2000-2004 **ბრეშა** 95 (45)
1988-2004 **იტალიის ნაკრები** 56 (27)

სულ: 488 თამაში (218 გოლი)

საკლუბო ტიტულები

მუნდიალის ვერცხლის მედალი (1994)
მუნდიალის ბრინჯაოს მედალი (1990)
უეფას თასი (1993)
იტალიის თასი (1995)
2 სკუდეტო (1995, 1996)

პერსონალური ტიტულები

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიით (1993)
ოქროს ბურთის მფლობელი (1993)
იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი (1985, 1996, 2001)
ოქროს ბუცი (2003)

ამ ნომინაციაშიც უდიდესი კონკურენცია გახლდათ და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ჩვენ იტალიური ფეხბურთის საუკეთესო მოთამაშეზე ვლაპარაკობთ - ამ ქვეყანაში კი კალჩოს იმხელა ტრადიციები აქვს, რომ ერთი კი არა, ათეულობით სუპერვარსკვლავის დასახელება თავისუფლად შეგვიძლია. ფედერკალჩოს ოფიციალური ვერსიით, საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი **დინო ძოფი** გახლავთ, აი ჟურნალისტებმა კი ყველასგან **რობერტო ბაჯო** გამოარჩიეს და დიდების დარბაზშიც მას არგუნეს ადგილი. ბაჯო იტალიაში განსაკუთრებულად უყვართ და ეს აღიარებაც ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა. მოვუსმინოთ რობერტოს:

„ჟურნალისტებს ფეხბურთის ცოდნაში ცოტა თუ შეეჯიბრება და გამომდფინარე აქედან, ასეთი დაფასება ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, გამოგიტყდებით და საკუთარ თავს საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად არ მივიჩნევ. აქ, ჩვენთან ერთად, ის ვეტერანები არიან, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს და მათ გვერდით დგომაც კი ჩემთვის უდიდესი პატივია“.

იტალიური ფეხბურთის ლეგენდა

ლუიჯი რივა

საფეხბურთო კარიერა

1962-1963 ლენიანო 23 თამაში (6 გოლი)
1963-1976 კალიარი 315 (164)
1965-1974 იტალიის ნაკრები 42 (35)

სულ: 380 თამაში (205 გოლი)

ტიტულები

ევროპის ჩემპიონი (1968)
მუნდიალის ვერცხლის მედალი (1970)

დიდების დარბაზი იმისთვის გაიხსნა, რომ პერიოდულად იქ ახალი სახელები შევიდნენ, ამიტომ, მხოლოდ საუკეთესოების აღიარებით აპენინელი ჟურნალისტები ვერ შემოიფარგლებოდნენ. ამიერიდან, დარბაზში იტალიური ფეხბურთის ლეგენდებს შეიყვანენ და პირველი მათგანი **ლუიჯი რივა** გახლავთ, მართლაც რომ ლეგენდა, რომელიც დღეს 67 წლის არის და კვლავაც აქტიურად არის ჩართული იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებში - ამასთან, ხშირად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. ბოლოს სიტყვა სწორედ რივას გადავცეთ:

„იყო იტალიური ფეხბურთის დიდების დარბაზში, ეს რჩეულთა ხვედრია და სიმართლე გითხრათ, ძალიან აღელვებული ვარ. აქ ისეთი ფეხბურთელები მოიყრიან თავს, რომ მათ გარემოცვაში ყოფნა ერთდროულად საპატიოც გახლავთ და საპასუხისმგებლოც. მიხარია, რომ ჯერ კიდევ ფასდება ის, რასაც დიდი ხნის წინ მთელი გულით, უდიდესი ენთუზიაზმით ვაკეთებდი“.

საუკეთესო იტალიელი არბიტრი

პიერლუიჯი კოლინა

სამსაჯო კარიერა

1988-1991 სერია C1/სერია C2
1991-2005 სერია A/სერია B
1995-2005 ფიფა/უეფა

პიერლუიჯი კოლინას წარდგენა

ნამდვილად არ სჭირდება, ნლების განმავლობაში უმაღლეს დონეზე მსაჯობდა და მსოფლიოს მასშტაბით გაითქვა სახელი - თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის ყველაზე პოპულარული არბიტრი, რომელსაც ყველა კონტინენტზე ისევე ცნობენ, როგორც ნებისმიერ საფეხბურთო ვარსკვლავს. მისი სამსაჯო კარიერის პიკი 2002 ნლის მუნდიალის-ფინალური მატჩის განსჯა გახლდათ, კარიერის დასრულების შემდეგ კი ფედერკალჩოში დაიწყო მუშაობა და დღემდე სამსაჯო დეპარტამენტის ხელმძღვანელია. კოლინამ ჟურნალისტებს მოკლედ გადაუხადა მადლობა და დასძინა, რომ სანამ ცოცხალია, იტალიური ფეხბურთის სამსახურში იქნება.

საუკეთესო საფეხბურთო ფუნქციონერი

ადრიანო გალიანი

(მილანის ვიცე-პრეზიდენტი)

დიახ, ჟურნალისტებმა საფეხბურთო ფუნქციონერებიც დააფასეს, რადგან ფაქტია, რომ კალჩოს განვითარებაში მათ ძალიან დიდი როლი მიუძღვით - ადრიანო „მილანთან“ ასოცირდება და ამ კლუბში ნლებია წარმატებულად იღვწის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნლების განმავლობაში „ლეგა კალჩოსაც“ შესანიშნავად ხელმძღვანელობდა - თანაც ისე, რომ არასდროს არავის გასჩენია კითხვა მისი „როსონერისადმი“ მიკორძოების შესახებ. **ადრიანო გალიანი** ნამდვილი პროფესიონალია და ამით ყველაფერია ნათქვამი - ასე შეაფასა ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ყველა დროის საუკეთესო იტალიელი საფეხბურთო ფუნქციონერი და სიტყვა სენიორ ადრიანოს გადასცა:

„ჟურნალისტებთან ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და მიხარია, რომ მათგან ასეთი პატივი მერგო. საოცრებაა იყო იმ ლეგენდარული ადამიანების გარემოცვაში, ვისაც აქ ვხედავ - მართალია, ღმერთმა არ მომცა იმის ნიჭი, რომ ფეხბურთი უმაღლეს დონეზე მეთამაშა, მაგრამ სპორტის ამ სახეობისადმი უდიდესმა სიყვარულმა მაინც მომახვედრა ამ საოცარ სამყაროში - მადლობა ყველას, ვინც ჩათვალა, რომ დიდების დარბაზში შესვლის ღირსი ვარ“.

ლაშა ნიკლაური

ატლეტიკო



ახალი სტადიონის მაკეტი

ვეშვიდობებით კალდერონს

მადრიდის „ატლეტიკომ“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა ახალი სტადიონის მაკეტი. ახალი არენა 70 ათას მაყურებელს დაიტევს და ის „ვისენტე კალდერონს“ 2015 ნლიდან შეცვლის. „ატლეტიკოში“ მიაჩნიათ, რომ კლუბის მატჩების გარდა ახალი სტადიონი შეძლებს უმაღლესი კლასის საერთაშორისო შეხვედრების მასპინძლობას სანაკრებო და საკლუბო დონეზე. *„დღეს ჩვენი კლუბის ისტორიაში მნიშვნელოვანი დღეა. მე ვიტყოდი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კლუბის 108-ნლიან ისტორიაში. ამ სტადიონის მშენებლობით ახალ ფურცელს გადავშლით „ატლეტიკოს“ ისტორიაში და შიგ ბევრი ტრიუმფი ჩაიწერება“*, - განაცხადა მადრიდელთა პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ**.

ახალი სტადიონის ადგილას ახლა „ესტადიო ლა პეინეტაა“, რომელიც 20-ათასიანი ტევადობისაა და მძლეოსნობისთვის იყენებენ. 2005 ნელს აქ ბასკმა სეპარატისტებმა ტერაქტი მოანყვეს. მშენებლობა 2013 ნელს დაიწყება. „ვისენტე კალდერონი“ 1961 ნელს აიგო, მანამდე გუნდი „ესტადიო მეტროპოლიტანოზე“ თამაშობდა. „ვისენტე კალდერონი“ 54 960 ადამიანს იტევს.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ „ატლეტიკოს“ ლიდერმა **ხოსე ანტონიო რეიესმა** იუარა მახაჭყალის „ანუიში“ გადასვლა. 28 ნლის ნახევარმცველს დაღესტნური კლუბის გარდა თურქული „გალათასარაიც“ ეპატიჟება, რომელიც ტრანსფერში 4 მილიონ ევროს იხდის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მასუდი გერმანელი ქირურგების იმედზელაა

„ოსასუნას“ ირანელი ნახევარმცველი **მასუდ შოჯაეი** ოპერაციას გერმანიაში გაიკეთებს. აპრილში, „ატლეტიკოსთან“ მატჩში მან ტერფის მე-5 ძვალი მოიტეხა და მას მერე ვერაფრით შეძლო მოედანზე დაბრუნება. არადა, ირანის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს მას მერე სამი ოპერაცია გაუკეთეს. ნავარელთა პლეიმეიქერს ტიტანიუმის პლატინის ჩანერგვა ესაჭიროება.

მასუდი 27 ნლისაა, ის 2008 ნელს გადავიდა „ოსასუნაში“, ნავარელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. ირანის ნაკრებში მან 37 თამაშში 4 გოლი გაიტანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მასუდ შოჯაეი

უცხოური ფეხბურთი

პარი სენ-ჟერმენი

მზად სამსახურისთვის

სწორედ გუშინ ვწერდით, "პარი სენ-ჟერმენის" თავკაცი **ანტუან კომბუარეს** კლუბის შიგნით პირველი დამცველი გამოუნდდა. ლაპარაკი იყო "ლურჯ-ნითლების" პორტუგალიელ ყოფილ ვარსკვლავ **პედრო პაულეტაზე**. ის ამტკიცებს, რომ კომბუარეს ნამდვილად შეუძლია პარიზელთა მზარდი ამბიციების დაკმაყოფილება. ამისთვის კი მხოლოდ ნდობა და დრო სჭირდებოდა. გუშინდელმა "პარიზიენმა" პსჟ-ის ნახევარმცველ **ჟერემი მენეზის** ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც 24 წლის ფეხბურთელი გუნდის სახელით მთავარ მწვრთნელს 100%-იან თანადგომას ჰპირდება. *"ის ჩვენგან ერთადერთს ითხოვს, არ მივაქციოთ ყურადღება იმას, რაც პრესაში ინერება, რადგან ამჟამად კონცენტრაცია მხოლოდ ფეხბურთზე გვმართებს. ვფიქრობ, კომბუარე ნამდვილად ის მწვრთნელია, ვისაც ეს თანამდებობა უნდა ეკავოს. მან ხომ გუნდთან კოლოსალური სამუშაო გასწია. ჩვენ ნინაშე დასახული მიზნებისთვის ბრძოლა მასთან ერთად უნდა გავაგრძელოთ. ფეხბურთელები მას გვერდში ნამდვილად ბოლომდე დავუდგებით"*.

ერთი სამწუხარო ცნობა პარიზელთა ბანაკიდან: გუნდის წამყვანმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ბლეზ მატუიდიმ** "ოსერთან" მე-16 ტურის შეხვედრაში ბარძაყის ტრავმა მიიღო. მკურნალობისთვის 24 წლის ფეხბურთელს თვეზე ცოტა მეტი დასჭირდებაო - გვამცნობს პარიზელთა ოფიციალური ვებგვერდი. ასე რომ, ბლეზს 2011 წელს დარჩენილი სამივე შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. ყველა ტურნირზე ერთად ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში 16 მატჩი ჩაატარა, თანაც ყველა ძირითადში.

ამბები

ბლატერი სმაყოფილია

ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** კმაყოფილია იმით, რომ "ბარსელონას" პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ელიტურ ლიგებში გუნდების შემცირების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. კატალონიელი ფუნქციონერის თქმით, უკეთესი იქნება, თუკი ლა ლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე შემცირდება. *"რუხელს პირადად მივულოცავ ამ იდეის მოფიქრებას, როცა იაპონიაში საკლუბო ჩემპიონატის მიმდინარეობისას შეეხვედები. მის იდეას 100%-ით ვიზიარებ. ამაზე ლაპარაკი ფიფაში 15 წლის წინ დაგვიწყეთ, მაგრამ ნაციონალურმა ფედერაციებმა მხარი არ აგვიჭეს. მოხარული ვარ, რომ ისეთი დიდი კლუბის პრეზიდენტმა, როგორიც "ბარსელონაა", მსგავსი იდეა წამოაყენა,"* – განაცხადა ბლატერმა.

ჯეჟმანი მიდის

მატეა კეჟმანი ფეხბურთის თამაშს როცა ინყებდა, მას ლეგენდარული თანამემამულის **პრედრაგ მიატოვიჩის** მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 19 წლისამ მან ბელგრადის "პარტიზანის" რიგებში ჩემპიონთა ლიგაში გამოიჩინა თავი. 2000 წელს კი "ეინდჰოვენს" მიაშურა, სადაც მისი ვარსკვლავი კიდევ უფრო აკიაფდა. ერედივიზიეს 122 შეხვედრაში მან 105 გოლი გაიტანა. კეჟმანის უოლბლობა "ჩელსიში" ტრანსფერით დაინყო. სერბი ვერაფრით შეეგუა პრემიერლიგას და ლამის ყველაფერზე აიცრუა გული. "ჩელსიში" გადასვლას "ატლეტიკოში", "ფენერბაჰჩეში", "პარი სენ-ჟერმენში", "ზენიტსა" და ჩინურ "საუთ ჩაინაში" ტრანსფერები მოჰყვა. მატეას კარიერა აღარ აეწყო. 32 წლის ფეხბურთელი ამჟამად ბორისოვოს ბატე-ში ირიცხება, თუმცა ვერც აქ ხვდება ძირითად შემადგენლობაში. მოლდოველთა მთავარი მწვრთნელის, **ვიქტორ გონჩარენკოს** თქმით, მატეა სერიოზულად ფიქრობს ფეხბურთიდან წასვლაზე. თავად კეჟმანს აღნიშნულ ინფორმაციაზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

პოლონეთი-პორტუგალია თებერვალში

ამ დღეებში პოლონეთისა და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციებმა საბოლოოდ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ 29 თებერვალს ამ ქვეყნის ნაკრებები ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. მატჩი ვარშავის ნაციონალურ სტადიონზე შედგება. თამაში ახალგახსნილ 58-ათასიან არენაზე პირველი იქნება. პოლონელებს ახალი სტადიონის მშენებლობა 500 მილიონი ევრო დაუჯდათ.

ლევან ბიბილაშვილი

ვოლფსბურგი

ჰლებგა ვერ მოძოვა

ზამთარში მაგათი ბელორუსს იძვე გაუშვებს, საიდანაც მოიყვანა

ალექსანდრ ჰლებგა, როგორც მოსალოდნელი იყო, **ფელიქს მაგათის** იმედები ვერ გაამართლა. ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ იანვარში ჰლები გერმანიის 2009 წლის ჩემპიონს დატოვებს. „ვოლფსბურგერ ნახრიხთენის" ცნობით, მაგათს ჰლების გაშვება გადაწყვეტილი აქვს, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ დღეებში ბელორუსი ნახევარმცველი იმ ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობს, რომლებიც განაცხადისთვის არ განიხილებიან. შეგახსენებთ, რომ ალექსანდრ ჰლები „ბარსელონას" საკუთრებაა, „ვოლფსბურგში" კი არენდით თამაშობს. გერმანულ კლუბს იანვარში მისი ყიდვა შეეძლო, მაგრამ ფაქტობრივად გამორიცხულია, რომ „დესპოტმა ფელიქსმა" ეს ნაბიჯი გადადგას.

ზამთარში „ვოლფსბურგს" ჰლებთან ერთად, სავარაუდოდ თავდამსხმელი **სრდიან ლაკიჩიც** დატოვებს. ეს უკანასკნელი „მგლებმა" სეზონის წინ „კაიზერსლაუტერნიდან" იყიდეს, მაგრამ იმედების გამართლება ვერც მან მოახერხა. გერმანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ლაკიჩით „ჰანოვერია" დაინტერესებული.

გოტფრიდ ლენცი

ევრო 2012

ბრძოლა კომფორტისთვის

სად დაბინავდებიან ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებები, უმეტესობას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს. აქამდე გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, გუნდების უმეტესობა პოლონეთს ირჩევს. თუმცა იმ გუნდებისთვის, რომელთაც თამაშების ჩატარება უკრაინაში მოუწევთ, ნაკლებად კომფორტული იქნება უზარმაზარ მანძილებზე მგზავრობა. უკრაინა-პოლონეთი ნამდვილად არ არის ავსტრია-შვეიცარია, სადაც 4 წლის წინ ყოველი სტადიონი ლამის ყურის ძირში იყო. ყოველივეს გათვალისწინებით, ბაზრებას გუნდები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ დღეებში დონეცკს საფრანგეთის ნაკრების თავკაცი **ლორან ბლანი** ეწვევა. მას ერთადერთი მიზანი აქვს, დაათვალიეროს "შახტარის" ბაზა. ის ქალაქის იმ სასტუმროებსაც შეავლებს თვალს, რომლებიც მას უეფას კომისრებმა ურჩიეს. "სამფეროვნებს" თავდაპირველად ვარშავიდან 60 კმ-ის რადიუსში სურდათ ბანაკის დაცემა, მაგრამ კენჭისყრის შედეგების შემდეგ ამ იდეაზე უარი თქვეს.

ჰოლანდიის ნაკრებს ყველა შეხვედრის გამართვა ხარკოვის "მეტალისტის" სტადიონზე მოუწევს. მიუხედავად ამისა, ისინი საცხოვრებლად კრაკოვში წინდაწინ შერჩეულ სასტუმროში დარჩებიან და ვარჯიშითაც იქვე ივარჯიშებენ. *"ჩვენთვის სტადიონის მდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. 15 წუთით მეტს მოვუნდებით გზას, თუ ამდენით ნაკლებს, სულერთია,"* – განაცხადა **ბერტ ვან მარვიიკმა**.

ჯგუფურ ეტაპზე "ნარინჯისფრების" კონკურენტი დანია ალბათ უკრაინაში დაბანაკდება. დანიელთა თავკაცი **მორტენ ოლსენი** ნანახით კმაყოფილი დარჩა. რამდენიმე დღეა, რაც ის, ფეხბურთის ფედერაციის ნარმომადგენლებთან ერთად, სნორედ ამ ქვეყანას სტუმრობს. მისი თქმით, ლაპარაკი იმაზე, რომ უკრაინა სტუმრებს ცუდ პირობებს ახვედრებს, სიმართლისგან ძალზე შორსაა. *"როცა აქ მოვდიოდი, ცოტა განსხვავებულის მოლოდინი მქონდა. ვკითხულობდი, რომ აქ ბევრი რამე მიღებული სტანდარტებისგან შორს არის. მაგალითად ამას ამტკიცებდნენ გერმანელი და ინგლისელი ჟურნალისტები. რა თქმა უნდა, ყველაფერი არ მინახავს, მაგრამ რაც ვნახე, საკმარისია იმის სათქმელად, რომ მათი შეფასებები მეტისმეტად მუქ ფერებში იყო წარმოდგენილი, – განუცხადა ოლსენმა დანიურ გამოცემა "სპორტენს". – მკაცრ ზამთარში სანვრთნელ მინდვრებზე ლაპარაკი ნაადრევია. ეჭვი არ მეპარება, რომ ზაფხულამდე საფრის პრობლემები ყველგან ალმოიფხვრება. ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია. გეგმაში სწორედ ასე გვქონდა. უკრაინის შემდეგ პოლონეთსაც ვეწვევით და იქაურ პირობებსაც შევისწავლით"*.

ლევან ბიბილაშვილი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი, ბოლო ტური

ლიონი პლეი ოფში გასვლას ზეიმობს

A ჯგუფი

მანჩესტერ სიტი-ბაიერნი 2:0

სიტი (4-2-3-1): ჰარტი – სავიჩი, კომპანი, ლესკოტი, კლიში – ი. ტურე (81. ბალოტელი), ბერი – ნასრი – აგუერო, სილვა (83. ჯონსონი) – ჯეკო (77. დე იონგი)

ბაიერნი (3-2-3-1): ბუტი – რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, კონტენტო – ტიმოშჩუკი, ლუის გუსტავო – ალაბა, პრანიჩი, ოლიჩი – პეტერსენი (81. უსამი)

გოლები: 1:0 სილვა (37), 2:0 ი. ტურე (52)

გაფრთხილება: ოლიჩი, ლუის გუსტავო (ორივე ბაიერნი)

კუთხური: 4-2; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 15-8 (7-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 47 726

ვილიარეალი-ნაპოლი 0:2

ვილიარეალი (4-4-2): ლოპესი – ანხელი, საპატა (75. როდრიგესი), მუსაკიო, ორიოლი – დე გუზმანი, ბრუნო, სენა (73. ფოსელუ), პერესი – ნილმარი (64. კამუნასი), რუბენი

ნაპოლი (3-4-3): დე სანკტისი – კამპანარო, კანავარო, აროლიკა – მაჯო, გარგანო, ინლერი, ზუნიგა (90. გრავა) – ჰამშიკი (78. ჯემაილი), კავანი (82. პანდევი), ლავეცი

გოლები: 0:1 ინლერი (65), 0:2 ჰამშიკი (77)

გაფრთხილება: დე გუზმანი, საპატა, პერესი, ანხელი - კამპანარო

კუთხური: 5-12; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 6-10 (3-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 15 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაიერნი	6	4	1	1	11-6	13
2. ნაპოლი	6	3	2	1	10-6	11
3. მანჩესტერ სიტი	6	3	1	2	9-6	10
4. ვილიარეალი	6	0	0	6	2-14	0

B ჯგუფი

ინტერი-ცსკა 1:2

ინტერი (4-4-1-1): კასტელაცი – ნაგატომო, რანოკია, საშუელი, კიეუ (46. სარატე) – ფარაონი, ძანეტი, კამბიასო, ობი (69. ალვარესი) – კოუტინიო (46. კალდიროლა) - მილიტო

ცსკა (4-4-2): გაბულოვი – ნაბაბკინი, ა. ბერეზუცკი, ივნიშევიჩი, ვ. ბერეზუცკი – სეკუ (77. ცაუნია), შემბერასი (77. ალდონინი), მამაევი, ძაგოევი – ვაგნერ ლავი, დუმბია (90. შჩენიკოვი)

გოლები: 0:1 დუმბია (50), 1:1 კამბიასო (51), 1:2 ვ. ბერეზუცკი (87)

გაფრთხილება: კალდიროლა – შემბერასი, მამამევი, ნაბაბკინი

კუთხური: 6-8; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10-9 (9-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 25 000

ლილი-ტრაბზონი 0:0

ლილი (4-2-3-1): ლანდრო – დებუში, ბასა, შეჯუ, ბერია (84. ბონარი) – ბალმონი, მავუბა – პეიე (89. როდელენი), ჯ. კოული (69. ობრანიკი), აზარი - სოუ

ტრაბზონი (4-4-2): ზენგინი – ჩელუსტკა (33. მიერზეევსკი), კაჩარი, გლოვაცკი, ჩეხი – ბალი, სოკორა, კოლმანი, ალთინთოპი – ალანზინიო (65. ენრიკე), ალმაზი (90. იუმლუ)

გაფრთხილება: ბალმონი, შეჯუ, ბერია - სოკორა, მიერზეევსკი

კუთხური: 10-1; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-5 (5-2); **ბურთის ფლობა:** 62%-39%.

მაყურებელი: 18 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	6	3	1	2	8-7	10
2. ცსკა	6	2	2	2	9-8	8
3. ტრაბზონი	6	1	4	1	3-5	7
4. ლილი	6	1	3	2	6-6	6

C ჯგუფი

ბაზელი-მანჩესტერ იუნ 2:1

ბაზელი (4-2-2-1-1): ზომერი – შტაინჰიოფერი, აბრაამი, დრაგოვიჩი, პარკი – შაკა (83. ჩიპერფილდი), კაბრალი – ფ. ფრანი, შაქირი (92. შტოკერი) – ა. ფრანი (88. კუსუნგა) – შტრელერი.

მანჩესტერ იუნაიტედი (4-2-3-1): დე ხეა – სმოლნიგი, ვიდიჩი (44. ევანსი), ფერდინანდი, ევრა – გიგზი, ჯოუნსი – პარკი (82. მაკედა), ნანი, იანგი (64. უელბეკი) – რუნი.

გოლები: 1:0 შტრელერი (9), 2:0 ა. ფრანი (84), 2:1 ევრა (89)

გაფრთხილება: შაკა, ფრანი – ევანსი, იანგი

კუთხური: 2-7; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 9-18 (5-9); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 38 000

बენფიკა-ოცელული 1:0

ბენფიკა (4-3-3): არტურ მორაესი – რუბენ ამორიმი, გარაი, ჟარდელი, ემერსონი – გარსია, ვიტესელი, აიმარი (70. როდრიგო) – ბრუნო სეზარი (57. ნოლიტო), კარდოსო (79. სავიოლა), გაიტანი.

ოცელული (4-3-2-1): გრაპოვაცი – რაპა, კოსტინი, პერენდიხა, ილიე (21. ლიუბინკოვიჩი) – ფილიპი, ნეაგუ (70. ჰენა), გიურგიუ – ანტალი (81. ფრუნცა), იორგა – პარაშივი.

გოლი: 1:0 კარდოსო (7)

გაფრთხილება: კარდოსო – გიურგიუ, ლიუბინკოვიჩი

კუთხური: 5-1; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8-5 (3-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 65 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბენფიკა	6	3	3	0	8-4	12
2. ბაზელი	6	3	2	1	11-10	11
3. მანჩესტერ იუნ.	6	2	3	1	11-8	9
4. ოცელული	6	0	0	6	3-11	0

D ჯგუფი

აიაქსი-რეალი 0:3

აიაქსი (4-1-2-2-1): ვერმეერი – ვან დერ ვიღი, ვერტონგენი, ბლინდი, ანიტა – ენო – ერიესენი, იანსენი (76. კლაასენი) – სულეიმანი, ებესილიო – ლოდეირო (74. ბულიკინი).

რეალი (4-2-3-1): ადანი – არბელოა (67. პედრო მენდეში), რაული ალბიოლი, ვარანე, კოენტრაუ – მაპინი, გრანერო (59. ჩაბი ალონსო) – კალეხონი, კაკა, ბენზემა (54. ჰამით ალთინთოფი) – იგუაინი.

გოლები: 0:1 კალეხონი (14), 0:2 იგუაინი (42), 0:3 კალეხონი (93)

გაფრთხილება: ვერტონგენი - არბელოა

კუთხური: 5-2; **ჯარიმა:** 9-8; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 11-8 (8-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

მაყურებელი: 51 557

დინამო (ზ)-ლიონი 1:7

დინამო (4-2-3-1): კელავა – ვრსალიკო, ვიდა, ადემი, იბანიესი – კალელო, ლეკო – კოვაჩიჩი (80. პოკრივაცი), სამირი (66. ალისპაჰიჩი), ბადელი – ბექერაი (55. სიტუმი).

ლიონი (4-2-3-1): ლორისი – დაბო, ბ. კონე, ლეგრენი (54. ლისანდრო ლოპესი), სისოხო – გონალონსი, ფოფანა – ბრიანი, გურკუფი, ლაკაძეტტ (65. ედერსონი) – გომისი.

გოლები: 1:0 კოვაჩიჩი (40), 1:1 გომისი (45), 1:2 გონალონსი (48), 1:3 გომისი (48), 1:4 გომისი (52), 1:5 ლისანდრო ლოპესი (65), 1:6 გომისი (70), 1:7 ბრიანი (76)

გაძევება: ლეკო (28. დინამო)

გაფრთხილება: იბანიესი – სისოხო, ფოფანა

კუთხური: 0-6; **ჯარიმა:** 10-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 8-21 (6-15); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

მაყურებელი: 16 497

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	6	6	0	0	19-2	18
2. ლიონი	6	2	2	2	9-7	8
3. აიაქსი	6	2	2	2	6-6	8
4. დინამო (ზ)	6	0	0	6	3-22	0

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

ჯიდევაც დაიზრდებიან...

ბარსას ბავშვები: პედრომ, ტიაგომ, რივეროლამ, ფონტასმა და კომპანიამ ბატეს 4 გოლი გაუტანეს

„ბარსელონას“ აღსაზრდელებმა ბატე-ს ოთხი გოლი გაუტანეს, საერთო ჯამში კი კატალონიურმა გრანდმა ჯგუფურ ეტაპზე 20 გოლის გატანა შეძლო, რითაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ რეკორდი გაიმეორა. გარდა ამისა, სამშაბათს მთელი საბერძნეთი დორტმუნდის „ბორუსიას“ აგინებდა, დორტმუნდში კი „არსენალით“ იყვნენ იმედგაცრუებულნი, ამ ორომტრიალში მარსელის „ოლიმპიკი“ გამოვიდა გამარჯვებული. „პორტუმ“ „ზენიტის“ მეკარეს ვერაფერი დააკლო, პლზენის „ვიქტორიამ“ კი „მილანთან“ ვაჟკაცურად ითამაშა, რაც დაუფასდა კიდეც.

E ჯგუფი

ჩელსი–ვალენსია	3:0

გოლები: 1:0 დროგბა (3), 2:0 რამირესი (22), 3:0 დროგბა (76)

ბურთის ფლობა: 34%-66%; **დარტყმა**: 13-10; **კუთხურები**: 4-8

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:დიდიე დროგბა (ჩელსი)

ვილაშ-ბოაშმა ძირითადი შემადგენლობის დაყენებისას, ბევრისთვის მოულოდნელად, უარი თქვა ისეთ ფეხბურთელებზე, როგორებიც არიან **ლემპარდი, ტორესი** და **მალუდა**. გაგიკვირდებათ და, მათ გარეშე ლონდონურმა კლუბმა გაცილებით უკეთ ითამაშა – მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ფლობის მხრივ „ვალენსიას“ კოლოსალური უპირატესობა ჰქონდა: 34%-66%.

ტერი და **ლუისი** დაცვას იდეალურად ამაგრებდნენ, **მატა, რამირესი** და **სტარიჯი** წინა ხაზზე მუდმივად აქტიურობდნენ და ძალიან ეფექტურად გამოიყურებოდნენ, ცენტრფორვარდი **დროგბა** კი თითქოს თავიდან დაიბადა. ამ ყველაფერთან ერთად, **ჩეხმა** ორი აუღებელი ბურთი აიღო. ვფიქრობთ, ეს ჩამონათვალი აბსოლუტურად საკმარისია იმის ასახსნელად, თუ რატომ გაუთენდა სამშაბათს „ვალენსიას“ შავი დღე. ამრიგად, ლონდონელთა თავკაცი გათავისუფლებას გადაურჩა და მეტსაც გეტყვით: ასეთი „ჩელსისგან“ ბევრი რამ არის მოსალოდნელი. თანაც, „არისტოკრატებმა“ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მერვედფინალში შედარებით სუსტ მეტოქესთან შეხვედრის შანსი აქვთ.

...და „ვალენსია“? ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ამ გუნდმა ნელს სწორედ მესამე ადგილის დაკავება დაიმსახურა. ახალი წლიდან „ლამურები“ ევროპა ლიგაში გადაინაცვლებენ.

გენკი–ლევერკუზენი	1:1

გოლები: 1:0 ფოსენი (30), 1:1 დერდიოკი (79)

ბურთის ფლობა: 42%-58%; **დარტყმა**: 7-18; **კუთხურები**: 5-7

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ფაბიენ კამიუ (გენკი)

არ შეუძლია „ლევერკუზენს“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლითი მატჩის მოგება და რა ქნას? იცით, როდის გაიმარჯვა „ბაიერმა“ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში ბოლოს სტუმრად? 2001-2002 წლების სეზონში, როცა „ფარმაცევტებმა“ ფინალში ითამაშეს. არადა, „გენკთან“ მოგების შემთხვევაში „ლევერკუზენი“ ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდა... თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „გენკმა“ ნელს საკუთარ კედლებში არც ერთი თამაში არ ნაგო – „ვალენსიას“ და „ჩელსისაც“ ფრეები გაუგორა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	6	3	2	1	13-4	11
2. ლევერკუზენი	6	3	1	2	8-8	10
3. ვალენსია	6	2	2	2	12-7	8
4. გენკი	6	0	3	3	2-16	3

F ჯგუფი

ოლიმპიაკოსი–არსენალი	3:1

გოლები: 1:0 ჯებური (16), 2:0 ფუსტერი (36), 2:1 ბენაიუნი (57), 3:1 მოდესტო (89)

ბურთის ფლობა: 47%-53%; **დარტყმა**: 22-11; **კუთხურები**: 8-2

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დავიდ ფუსტერი (ოლიმპიაკოსი)

ბერძნებს ამ ბოლო დროს გერმანელები ისედაც არ ეხატებათ გულზე (პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზების გამო) და იოლი წარმოსადგენია, როგორ აგინებდა სამშაბათს მთელი საფეხბურთო საბერძნეთი გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას“. საქმე შემდეგშია: „მარსელს“ დორტმუნდში რომ არ მოეგო, მერვედფინალში ფრანგული კლუბი კი არა, „ოლიმპიაკოსი“ გავიდოდა. ასე კი, ბერძნული გრანდი მესამე ადგილზე დარჩა და ევროპის ლიგაში გადანაცვლებას უნდა დასჯერდეს.

ისე, ისიც აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ დორტმუნდელებსაც ჰქონდათ მაგალითად „არსენალის“ იმედი და სხვათა შორის, სანამდეც იყო იმის შანსი, რომ „ოლიმპიაკოსს“ „არსენალთან“ არ მოეგო (ბერძნები კი 36-ე წუთიდან 2:0-ს იგებდნენ), „ბორუსია“ „მარსელს“ მედგრად უტევდა და უგებდა კიდეც. მოკლედ, არსენ ვენგერის მეორე გუნდმა სამარცხვინოდ ითამაშა – თუმცა ნამდვილად არ იყო მოსალოდნელი, რომ ჩემბერლენი, კოქელინი და კომპანია „ოლიმპიაკოსთან“ იბრძოლებდნენ. ბერძნები კი მართლა მაგრად იბრძოდნენ და თავიდანვე დანებებულ ლონდონელებს შანსი არ დაუტოვეს.

პირველი გოლის დროს **სკილაჩიმ** დაუშვა კატასტროფული შეცდომა, მეორე გოლისას კი ტრავმირებული **ფაბიანსკის** ნაცვლად „მეთოფეთა“ კარში ჩამდგარმა **მენონმა** თავი სასაცილოდ გაიხადა. „არსენალის“ მხრიდან პოზიტიური მხოლოდ **ბენაიუნის** მართლაც კარგი გოლი გახლდათ და რეალურად პოზიტიურია ისიც, რომ ბერძნების მესამე გოლის მომენტში მენონი ნაღდად უშანსოდ იყო.

ბერძნები 88-ე წუთამდე მერვედფინალში გასვლას ზეიმობდნენ, მერე კი „მარსელმა“ დორტმუნდში გამარჯვების გოლი გაიტანა და ზეიმი დრამად გადაიქცა: მეომარი ბერძნები, რომლებმაც „არსენალს“, „დორტმუნდს“ და „მარსელს“ თითო თამაში მოუგეს, ბოლოს ცხარე ცრემლებით ტიროდნენ...

ბორუსია (დ)–მარსელი	2:3

გოლები: 1:0 ბლაშჩიკოვსკი (23), 2:0 ჰუმელსი (32-პენ), 2:1 რემი (45+4), 2:2 ა. აიუ (85), 2:3 ვალბუენა (88)

ბურთის ფლობა: 56%-44%; **დარტყმა**: 15-9; **კუთხურები**: 3-6

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ანდრე აიუ (მარსელი)

ბოლოს დორტმუნდელები ხელცარიელები დარჩნენ – აბსოლუტურად ხელცარიელები! ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლას ვინ ჩივის, გერმანიის ჩემპიონმა ვერც მესამე ადგილი დაიკავა, „მარსელს“ კი ჯგუფიდან გასვლის საშუალება მისცა – 88-ე წუთზე **ვალბუენას** გამარჯვების გოლი რომ არ გაეტანა, ფრანგული კლუბი ჯგუფში ჩარჩებოდა. გერმანული ფეხბურთის ისტორიაში მეორედ მოხდა ისე, რომ გერმანიის ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ადგილი დაიკავა. მანამდე ასეთი სირცხვილი „შტუტგარტმა“ ჭამა – 2008-ში...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არსენალი	6	3	2	1	7-6	11
2. მარსელი	6	3	1	2	7-4	10
3. ოლიმპიაკოსი	6	3	0	3	8-6	9
4. ბორუსია (დ)	6	1	1	4	6-12	4

G ჯგუფი

პორტუ–ზენიჯი	0:0

ბურთის ფლობა: 58%-42%; **დარტყმა**: 25-3; **კუთხურები**: 10-2

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი)

„პორტუმ“ „ზენიტი“ კედელთან მიაყენა და ბევრი, მართლა ძალიან ბევრი ურახუნა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, რაც რუსული კლუბის მეკარის, **ვიაჩესლავ მალაფეევის** დამსახურებაა, რომელმაც არაერთი მკვდარი ბურთი მოიგერია. პორტუგალიურ კლუბს ვერ უშველა იმან, რომ თავდამსხმელი **ჰალკი** „ზენიტის“ მცველებს იოლად ჩაგრავდა – საბოლოო ჯამში რუსებმა უგოლო ფრეს პირველ რიგში ბრწყინვალე მეკარის და მასთან ერთად, იღბლიანობის ხარჯზე მიაღწიეს.

„ზენიტი“ დაცვაში იდგა და „პორტუს“ მასირებულ იერიშებს უმკლავდებოდა. რაც დრო გადიოდა, პორტუგალიელები უფრო და უფრო ნერვიულობდნენ, რუსები კი, ან ცივსისხლიანად იგერიებდნენ ბურთებს ტრიბუნებისკენ, ანაც მალაფეევი ყოჩაღობდა.

აი, ასე გააღწია „ზენიტმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, „პორტუ“ კი გაისად ევროპის ლიგაზე გადაერთვება და ევროპის მეორეხარისხოვან საკლუბო ტურნირზე წინა სეზონში მოგებული ტიტულის შენარჩუნებას შეეცდება.

აპოელ–შახტარი	0:2

გოლები: 0:1 ადრიანო (62), 0:2 სელეზნიოვი (78)

ბურთის ფლობა: 41%-59%; **დარტყმა**: 7-21; **კუთხურები**: 5-7

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ურკო პარდო (აპოელ)

ცოტა არ იყოს, პარადოქსულად კი ჟღერს, მაგრამ ფაქტია: ბოლოადგილოსანს პირველადგილოსანი მაგრად შემოეჩაგრა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნიქოზიელებს ეს ოდნავადაც არ სწყენიათ, რადგან ჯგუფიდან გასვლა უკვე განაღდებული ჰქონდათ – აპოელ-მა ისტორიულ წარმატებას მიაღწია.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აპოელ	6	2	3	1	6-6	9
2. ზენიტი	6	2	3	1	7-5	9
3. პორტუ	6	2	2	2	7-7	8
4. შახტარი	6	1	2	3	6-8	5

H ჯგუფი

ბარსელონა–ბაზე	4:0

გოლები: 1:0 სერხი რობერტო (35), 2:0 მონტოია (60), 3:0 პედრო (63), 4:0 პედრო (89-პენ)

ბურთის ფლობა: 70%-30%; **დარტყმა**: 22-2; **კუთხურები**: 6-0

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ისაააკ კუენსა (ბარსელონა)

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: „ბარსელონამ“ ბატე იოლად დაჩაგრა და 4:0 გაანადგურა. საინტერესო კი ისაა, რომ **ვალდესს, დანი ალვეშს, პუიოლს, ბუსკეტსს, აბიდალს, ინიესტას, ჩავის, მასკერანოს, ფაბრეგასს, სანჩესს, ვილიას** და **მესის** არ უთამაშიათ! დააკვირდით, 11 კი არა, სულაც 12 წამყვანი ფეხბურთელი ჩამოვთვალეთ. ეს ბიჭები ტრიბუნაზე ისხდნენ და ღიმილიანი სახეებით ადევნებდნენ თვალს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა, რეალურად კი, მომავალ უქმეებზე გასამართ ელ-კლასიკოზე ფიქრობდნენ.

პეპ გვარდიოლამ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამი ისეთი ფეხბურთელი გაამწესა, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ „ბარსასა“ სასტარტოში მოხვედრა – **პედროს, ტიაგოსა** და **მაქსველს** ვგულისხმობთ. დანარჩენებიდან კი, შედარებით მეტად ნაცნობია **კუენკა**, რომელიც ამ ბოლო დროს განაცხადში საკმაოდ ხშირად ხვდება ხოლმე. 20 წლის **მონტოიას**, 18 წლის **რაფინიას**, 19 წლის **მუნიესას**, 20 წლის **რივეროლასა** და 17 წლის **დეულოფეუს** კი ევროპაში დებიუტი ჰქონდათ. ჰო, **პიკე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მოკლედ, „ბარსელონა ბ-მ“, რომელიც ესპანეთის მეორე ლიგაში მე-13 ადგილზეა, ბატე გაანადგურა.

სერხი რობერტო ძალიან **ჩავი, ერნანდეზს**, გუნდში მოსულ მატჩებიდან-ტებში **ინიესტას** სტილში თამაშობდა (3 საგოლე პასი), ტიაგო და რაფინია კი ბურთს ხანდახან ისე ეპყრობოდნენ, როგორც ამას **მესი** და **ფაბრეგასი** აკეთებენ ხოლმე. მონტოიამ კი დაამტკიცა, რომ დიდი შანსია, დანი ალვეშის ღირსეული შემცვლელი გახდეს.

ვიქტორია–მილანი	2:2

გოლები: 0:1 პატო (47), 0:2 რობინიო (48), 1:2 ბისტრონი (89), 2:2 დურისი (93)

ბურთის ფლობა: 44%-56%; **დარტყმა**: 19-13; **კუთხურები**: 8-2

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დავიდ ბისტრონი (ვიქტორია)

პაველ ვრბა - გეცნობათ ეს სახელი და გვარი? არა? ნუ ინერვიულებთ, რადგან პლზენის „ვიქტორიას“ მთავარი მწვრთნელი თითო-ოროლა ფანს თუ ეცოდინება. არადა, ეს სამწუხაროა, რადგან ამ კაცმა თავისი გუნდი „მილანთან“ მატჩისთვის ისე მოამზადა, თქვენი მოწონებული!

ჩეხები პირველივე წუთიდან მედგრად უტევდნენ და ამ შეხვედრაში მთელი სული და გული ჩადეს. მართალია, კლასში განსხვავება აშკარა იყო, მაგრამ მაინც – „ვიქტორია“ იბრძოდა. როგორც ჩანს, იტალიელები მეტოქის ასეთ აქტიურობას არ ელოდებოდნენ, რადგან **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს პირველ ტაიმში არაფერი გამოუვიდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი „როსონერიმ“ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ჩეხური კლუბის შოკში ჩაგდება მაინც ვერ შეძლო. „ვიქტორიამ“ მთელი გულისყურით თამაში განაგრძო და ბოლოს დამსახურებული გოლებიც მიიღო – 2:2.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	6	5	1	0	20-4	16
2. მილანი	6	2	3	1	11-8	9
3. ვიქტორია	6	1	2	3	4-11	5
4. ბატე	6	0	2	4	2-14	2

გოტფრიდ ლენცი

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დაზვერვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მაღთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ძვალ-პიდურების არეში

დისპოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: პეპელიძის 14
www.shine.ge

ქართული სპორტი

● ძიუდო. ოლიმპიური რეიტინგი

ქართული ძიუდოს სარეიტინგო ვნებები

ძიუდოისტთა სალიცენზიო ტურნირები დასასრულს უახლოვდება - ამ რანგის რვა შეჯიბრება დარჩა, ბოლო მათგანი კი 26-28 აპრილს ჩელიაბინსკში გასამართი ევროპის ჩემპიონატია. ამდენად, უკვე ნებისმიერი სალიცენზიო ტურნირი განსაკუთრებულ ფასს იძენს და ჩვენც ისევ ვუბრუნდებით ამ თემას, რადგან გასულ უქმეებზე სამხრეთკორეულ ჯეჯუში გამართულმა მსოფლიოს თასმა ოლიმპიურ რეიტინგებში ჩვენთვის გარკვეული ცვლილებები შეიტანა - ზოგი დადებითი, ზოგიც - უარყოფითი. ძიუდოისტებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ მოკრივეების, ბერძენ-რომაელების და ზოგიერთი სხვა სახეობის წაფორხილების ფონზე ლონდონში შედარებით სოლიდური, სრულყოფილი გუნდით წასვლის შანსი ამათ და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს რჩებათ, თორემ სხვებში თითო-ოროლა მონაწილე გვეყოლება.

ორეული ტურნირი რანგით ყველაზე დაბალს მიეკუთვნებოდა - მსოფლიოს თასია. შესაბამისად, აქ ყველაზე ცოტა ქულები გაიცემა - ჩემპიონი მხოლოდ 100-ს იღებს, ამ დროს კი 120 ქულა „დიდი პრიზის" ვერცხლის და „დიდი მუზარადის" ბრინჯაოს მედალოსნებს ეძლევათ. 100 ქულად მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გასვლაა შეფასებული, ხოლო ოლიმპიადასა და მასტერსზე არაფერს ვამბობთ. ამდენად, კორეულ შეჯიბრებას დიდი ცვლილებების გამოწვევა არც შეეძლო, მცირე და ჩვენთვის საყურადღებო კი მართლაც მოხდა.

დავიწყოთ იმ ორი წონით, სადაც ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება დღემდე პრობლემად გვრჩება. 66-ში **შალვა ქარდავა** 200 ქულით მსოფლიოს რეიტინგში 42-ეა, ოლიმპიურში, სადაც გამოხშირვის პრინციპი მოქმედებს ანუ მსოფლიოს რეიტინგისგან განსხვავებით, წონაში ქვეყნიდან მხოლოდ ერთი მონაწილე იგულისხმება, - 28-ე. აქ დადებითი ისაა, რომ თუ აქამდე ქარდავა ევროპულ კვოტაში მეოთხე იყო, ახლა მესამეა. ეს იმან გამოიწვია, რომ ჰოლანდიელ **იესპერ დე იონგს** ერთ-ერთი ტურნირის შედეგი გაუნახევრდა (მოცემულ მომენტში ერთ წელზე უფრო ადრე გამართული შეჯიბრების ქულებს 50% აკლდება) და ქულებიც ჩამოაკლდა. ახლა ევროპულ კვოტაში ჩვენი მთავარი კონკურენტები ლატვია და ისრაელი არიან. ლატვიელ **დენის კოზლოვსს** 242 ქულა აქვს, ებრაელ **გოლან პოლაცკის** - 220. ამდენად, ქარდავას ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად არც ისე დიდი ძალისხმევა სჭირდება. მთავარია, ტრავმა მოიშუშოს და ჭიდაობა შეძლოს. ამავე წონაში ახალგაზრდა **ლაშა შავდათუაშვილზეც** ვთქვათ, რომელმაც ასაკის გამო ჯერ მხოლოდ ერთი სალიცენზიო შეჯიბრების ჩატარება მოასწრო - ამსტერდამის „დიდ პრიზზე" გამოვიდა და 24 ქულა მოიპოვა. ჯერჯერობით ის მსოფლიოს რეიტინგში 129-ეა, თუმცა რამდენიმე სალიცენზიო ტურნირში წარმატებით გამოსვლით შეუძლია საგზურის მოპოვება. სხვა საქმეა, რომ ეს უმძიმესი ამოცანაა.

73-ში **ნუგზარ ტატალაშვილის** მდგომარეობა ცოტათი გაუარესდა - სალიცენზიო რეიტინგში უკან დაიხია, თუმცა ჯერაც შედის ევროპის 2-კაციან კვოტაში. მის ანგარიშზე კვლავაც 268 ქულაა, რაც მსოფლიოს რეიტინგში 34-ე ადგილს შეესაბამება, ოლიმპიურში კი 23-დან 25-ზე გადაინაცვლა. საბედნიეროდ, ევროპულ კვოტაში კვლავაც პირველია, ფეხდაფეხ კი ისევ ესტონელი ევროპის მესამე პრიზიორი **კინტერ როტბერგი** მისდევს. კორეულ ტურნირამდე ჩვენებური სალიცენზიო სიაში ზუსტად 23-ე იყო და ერთი ადგილი აშორებდა სალიცენზიო ზონას, თუმცა ჯერ ევროპული კვოტის იმედად ისევ ვართ. ოღონდ აქ ისიც შევნიშნოთ, რომ ამ გზით ფედერაციას მხოლოდ ერთი საგზური გადაეცემა. ამდენად, 66-ში და 73-ში რომელიმე 22-ში თუ ვერ შევიდა, იმ 2-კაციან კვოტაში რომც მოხვდნენ, მაინც ერთ ლიცენზიას მოგვცემენ.

დანარჩენ ხუთ წონით კატეგორიაში კვლავაც შევინარჩუნეთ ადგილი ოლიმპიურ რეიტინგში. იმათგან 60 და 90 ილოგრამებში სულაც წამყვან პოზიციებზე ვართ - **ამირან პაპინაშვილი** (60) 788 ქულით მსოფლიოს მასშტაბით კვლავაც მე-6 ადგილზეა, ოლიმპიურში - მე-5-ზე. აბსოლუტურად უცვლელია

როგორც ამბობენ, დღეში 12 შეხვედრას ჭიდაობს მიყოლებით, შეუსვენებლად. ვნახოთ, როგორ აღიდგენს ფორმას, მისცემს თუ არა მრავალგზის ნატანჯ-ნაოპერაციები ორგანიზმი ჭიდაობის საშუალებას. 60 კილოში 22-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანიც** შედის - მე-20 ადგილი, მსოფლიოში კი 24-ეა. 22 კაცში რამდენიმე მონაწილის ყოლა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ღმერთმა დაიფაროს, თუ ლიცენზირებულმა სპორტსმენმა ტრავმა მიიღო, მისი შეცვლის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგცემენ, ის სათადარიგოც თუ მოხვდა 22-ში.

ჯერჯერობით ოლიმპიური რეიტინგის შუაში ვართ 100-ში, სადაც სალიცენზიო ზონაში 2 კაცი გვყავს, მათ შორის დაწვნაურებული კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ყორყოლიანია**. ბოლო მონაცემებით მან საერთაშორისო რეიტინგში ცოტათი უკან დაიწია - 620 ქულით ახლა მე-12-დან მე-14-ზე გადაინაცვლა, თუმცა ოლიმპიურში კვლავაც მე-12-ეა. მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს** რეიტინგში მომხდარმა ცვლილებებმა არგო - ქულა კვლავაც 478 დაურჩა, თუმცა საერთაშორისოშიც და ოლიმპიურშიც თითო ადგილით წინ წაინაცვლა - შესაბამისად, 22-ე და მე-18-ეა. ამ წონაში ბევრი რამე უახლოეს ორ უქმეებზე გაირკვევა, როცა ცირეკიძე ტოკიოში ძიგორო კანოს „დიდ მუზარადზე" იჭიდავებს, მერე კი ისიც და ყორყოლიანიც ჩინურ ქინგდაოში „დიდ პრიზზე" გამოვლენ. აქ ორივე მონაწილის ამოცანა 8 საუკეთესოში შესვლა და ოლიმპიადაზე განთესილებში მოხვედრაა, თუმცა იქამდე ცირეკიძეს 16 საუკეთესოში შეღწევის სურვილიც ამოძრავებს, რაც 14-15 იანვარს ალმატიში მასტერსზე გამოსვლის უფლებას მისცემს. ეს მის საგაისო კალენდარსაც განსაზღვრავს - თუ ყაზახეთში იასპარეზებს, 28-29 იანვარს თბილისის მსოფლიოს თასს გამოტოვებს და თებერვალში გასამართი პარიზ-დიუსელდორფის შეჯიბრებებისთვის მოემზადება, თუ არადა თბილისშიც იხილავს ადგილობრივი ქომაგი. ცირეკიძეს სამასტერსო 16-ეულისგან სულ რაღაც 12 ქულა აშორებს, რისი ამოქაჩვაც მისი დონის ფალავანს უპრობლემოდ შეუძლია, თუმცა, ცხადია, გულხელდაკრეფილნი არც მისი კონკურენტები იქნებიან.

81-სა და +100-ში 22-კაციან ზონაში თითო მონაწილე გვყავს და ისინიც ცხრილის ბოლოსკენ არიან. 360-იანმა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) საერთაშორისოში ერთი ადგილით წინ წაინია - 27-ეა, მაგრამ სალიცენზიოში ასევე ერთი ადგილით უკან დაიხია და მე-20-ეა. 370-იანი მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** საერთაშორისო რეიტინგში უკვე 23-ეა, ოლიმპიურში - მე-16, ორივეში თითო საფეხურით წინ წაიწია.

ასეთია სადღეისო ვითარება, თუმცა უახლოეს ორ კვირაში მოსალოდნელია ჩვენი მდგომარეობის გაუარესება - როგორც გითხარით, იაპონიასა და ჩინეთში ორი უმნიშვნელოვანესი ტურნირი ტარდება, სადაც ბევრი ქულაც გაიცემა. მათი შედეგები ბევრ რამეს შეცვლიან, თუმცა 60-ში, 90-სა და 100-ში ვერაფერს დაგვაკლებენ, აი, სხვა წონები კი საფიქრალია. ძალზე ცუდია, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში თითო-ოროლა მონაწილე გვეყოლება.

ირაკლი თავაძე

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

● ქადრაკი

განაცხადი ხუთშაბან ერთ საგზურზე

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში შესანიშნავად თამაშობს ახალგაზრდა დიდოსტატი სოფიკო გურამიშვილი, რომელმაც გუშინ მე-6 ტურში მაკა ფურცელაძე დაამარცხა და უმაღლესი ეშელონის ხუთიდან ერთ-ერთ საგზურზე მყარი განაცხადი გააკეთა.

ლიდერს კვალში მიჰყვება ბათუმელი დიდოსტატი ნინო ბაციაშვილი. გუშინ მან შავი ფიგურებით ალექსანდრა ვახანიას აჯობა და 5 ქულას მოუყარა თავი. დანარჩენი შეხვედრები: ინგა ჭარხალაშვილი - მირანდა მიქაძე 0,5:0,5, ანა შამათავა - სოფიო გვეტაძე 0:1, ნათია ჯალაბაძე - ინგა ხურცილავა 0,5:0,5, სოფიო ნიკოლაძე - ლიკა კობეშავიძე 0,5:0,5, მადონა ბოკუჩავა - სოფიკო ტერელაძე 1:0, ნინო ხომერიკი - ანა გავაშელი 1:0, თამარ ხმიადაშვილი - ნატო იმნაძე 1:0, თეკლა მაჭარაშვილი - სალომე ხაჟომია 0:1.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ჭარხალაშვილი (4,5) - გურამიშვილი (5,5), ბაციაშვილი (5) - ხმიადაშვილი (4), გვეტაძე (4,5) - ვახანია (4), ფურცელაძე (4) - ხომერიკი (4), მიქაძე (4) - ბოკუჩავა (4), ხაჟომია (4) - ნიკოლაძე (3,5).

შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ბოლო აკორდის წინ

ესპანურ ნავალმორალ-დე-ლა-მატაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. **კონსტანტინე შანავა** 6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერთა შორის იყო, მაგრამ მე-7 ტურში შავი ფიგურებით პერუელ ხულიო გრანდასთან დამარცხდა და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. **თორნიკე სანიკიძე** რუს ოლეგ კორნეევს დაუზავდა და მონაგარს ნახევარი ქულა შესძინა. ასევე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ერთპიროვნული ლიდერი სერგეი ფედორჩუკი (უკრაინა) - ჰენრიკ ტეშკე (გერმანია), ვიტალი კოზიაკი (უკრაინა) - სალვადორ დელ რიო (ესპანეთი), ბოგდან ლალიჩი (ხორვატია) - ნამიგ გულიევი (აზერბაიჯანი). მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: აზერ მირზოევი (აზერბაიჯანი) - ფერნანდო პერალტა (არგენტინა) 0:1, ალექსანდრ ფიერი (ბრაზილია) - ორელვის პერესი (ესპანეთი) 0:1.

მერვე ტურში შანავამ უკეთ ითამაშა და ლალიჩი დაამარცხა, სანიკიძე კი ისევ ნახევარ ქულას დასჯერდა, ამჯერად - დანიელ ბარიასთან (ჩილე).

ერთპიროვნულმა ლიდერმა ფედორჩუკმა თეთრებით კოზიაკს აჯობა და 7 ქულით, ფაქტობრივად, პირველობა გაინაღდა. მართალია, უკრაინელის უახლოესმა მდევარმა გრანდამ ქულა გაიყო პერალტასთან და 6 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ფინიშზე წარუმატებლობის შემთხვევაშიც ფედორჩუკი პერუელს უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრებს.

ბოლო ტურის წინ, როგორც აღვნიშნეთ, 7 ქულით ფედორჩუკი ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვს და მეორე ადგილზეა გრანდა. 6-მა მოჭადრაკემ 5,5-5,5 ქულა მოაგროვა, მათ შორის - შანავამ, ხოლო სანიკიძე 5 ქულით მე-12 ადგილზეა.

ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ოლეგ კორნეევი (5,5) - სერგეი ფედორჩუკი (7), ხულიო გრანდა (6) - ორელვის პერესი (5,5), მანუელ პერესი (5,5) - ფერნანდო პერალტა (5,5), ჰენრიკ ტეშკე (5,5) - კონსტანტინე შანავა (5,5)... თორნიკე სანიკიძე (5) - რობერტ ალომა (5).

ვაჟა დანელია

ჯობავას პოკერი

მილანში კრესპის საერთაშორისო მემორიალში მოჭადრაკეებმა ოთხი ტური მოილიეს. კვლავ წარმატებით ითამაშა საქართველოს ვაჟთა ნაკრების ლიდერმა **ბაადურ ჯობავამ**, რომელმაც შავი ფიგურებით როლანდ სალვადორს (ფილიპინები) აჯობა და უდანაკარგოდ მეწინავეობს. უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 ტურში საკმაოდ უშეღავათო ორთაბრძოლები გაიმართა: 20-დან 17 შეხვედრა შედეგიანი გამოდგა: ნიკოლა სედლაკი (სერბეთი) - ალექსანდრ გოლოვიჩი (მაკედონია) 1:0, ალესიო ვალსეკი (იტალია) - სინიცა დრაჟიჩი (სერბეთი) 0:1, დრაგან კოჩისი (ჩერნოგორია) - დარკო დორრიჩი (ხორვატია), 0,5:0,5, ვადიმ შიშკინი (უკრაინა) - ანდრეა სტელა (იტალია) 1:0, იური სოლოდოვნიჩენკო (უკრაინა) - ფაბრიციო ბელი (იტალია) 1:0, ფრანჩესკო მონტანი (იტალია) - ალბერტო დავიდი (ლუქსემბურგი) 0:1, ვლადიმირ მალანიუკი (უკრაინა) - პაოლო ვეზოსი (იტალია) 1:0, მიროლიუბ ლაჟიჩი (სერბეთი) - მარკო სბარა (იტალია) 1:0.

მე-5 ტურში მეწინავეები ასე დაწყვილდნენ: ჯობავა (4) - შიშკინი (3,5), დრაჟიჩი (3,5) - სედლაკი (3,5), დორრიჩი (3) - სოლოდოვნიჩენკო (3), დავიდი (3,5) - სალვადორი (3), ლაჟიჩი (3) - მალანიუკი (3), მარტინეცი (3) - კოსიჩი (3).

ვაჟა დანელია

ქართული სპორტი

● ქართულ-აფხაზური სპორტი

ვიქტორ სანეევი და აკოფ კერსელიანი

მძლეოსნობა

საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში განსაკუთრებით გამორჩეულია აფხაზეთში დაოსტატებულ სპორტსმენთა წვლილი. მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა სოხუმელი **ვიქტორ სანეევის** სახელი, რომელიც სამგზის დაეუფლა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს და ერთხელაც ვიცე-ჩემპიონი გახდა. ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორია **საიდა გუმბა.** შემთხვევით არ იყო ამ ერთი თვის წინათ, ჩვენი ახალი რუბრიკის პრემიერა სწორედ ამ ორი ბრწყინვალე სპორტსმენის სახელს რომ დავუკავშირეთ. მათ გარდა ქართულ-აფხაზურ სპორტს არაერთი წარმატება მოუტანეს აგრეთვე აფხაზეთის მძლეოსნებმა **გიორგი შხვაცაბაიამ, ვიქტორ ალექსანდროვმა, ანატოლი კოსტინმა, იაშა წულუკიძემ, ოლეგ ლაკერბაიამ, ივანე სანგულიამ, ოთარ ზუხბაიამ, ვლადიმერ ჩხაიძემ, ალექსანდრე ბარგანჯიამ, მარინა ფოტიდიმ, ტატიანა ბელოვამ, ოლგა ვიქტოროვამ, ელენა გოლოტვინამ, ტატიანა რევამ** და სხვებმა.

მძლეოსანთა ბრწყინვალე თაობების აღზრდას ემსახურებოდნენ საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელები **აკოფ კერსელიანი** (ვ. სანეევის მწვრთნელი), **თამაზ გედია** და სხვები.

საქართველოს VII სპარტაკიადაზე აფხაზეთის მძლეოსანთა ნაკრები თბილისის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. ვაჟები 4X100 მ. ესტაფეტაში მეორე ადგილზე გავიდნენ (ა. ჩოლოკუა, ნ. კუტიევი, ბ. მარღანია, გ. ზილფონი). ქალებმა კი 4X100 მ. ესტაფეტა მოიგეს (მ. ფოტიდი, ტ. ბელოვა, ო. ვიქტოროვა, რ. ალტუხოვა), ქალები პირველები იყვნენ 4X400 მ. ესტაფეტაშიც (რ. ალტუხოვა, ტ. რევა, ე. გოლოტვინა, ე. პოლტორაკოვა), მ. ფოტიდმა 100 მ. თარჯრბენიც მოიგო. ტატიანა ემხვარმა სიმაღლეზე ხტომაში დაიკავა მეორე ადგილი, ოლგა ვიქტოროვა 100 მ რბენაში გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი, 200 მეტრზე კი მეორე იყო.

აფხაზეთის 20-მდე მძლეოსანს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. ვიქტორ სანეევი სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი - „ოქროს პრიზის“ მფლობელი გახდა, მისი მწვრთნელი აკოფ კერსელიანი - საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

თორნიკე გაჩეჩილაძე

რუბრიკას უძღვება
ალექსანდრე ჯინორიძე

მე - პელეს ნათლია!

სამწუხაროდ, ქართული მხატვრული კინო (სატელევიზიო) არ არის განებივრებული სპორტულ თემაზე შექმნილი ფილმების დიდი რაოდენობით, მაგრამ რაც შექმნილია, მაღალი დონის ნაწარმოებებია. ერთი მათგანია „მე - პელეს ნათლია!“

საშუალო და უფროსი თაობის ქართველი (და არა მარტო ქართველი) მაყურებელი კარგად იცნობს ამ სურათს და ჯეროვნადაც აქვს შეფასებული. ახალგაზრდებსაც ვურჩევთ ამ ფილმის ნახვას.

ფილმი უნიკალურია თავისი ისტორიით: იგი დაიგეგმა საბჭოთა საქართველოში, ხოლო ეკრანებზე გამოვიდა დამოუკიდებელ ქვეყანაში, ასეთი რამ პირველი ქართული მხატვრული ფილმის („ქრისტინე“), გადაღების შემდეგ არ მომხდარა. რაც შეეხება თავად სურათს: მასში მოთხრობილი ისტორია არის ერთგვარი საშუალება საბჭოთა სინამდვილისგან თავის დაღწევისა. ვირტუალურად, მაგრამ მაინც. **ედსონ არანტეს დუ ნასიმენტოსთან (პელესთან)**, გმირის ურთიერთობაც ამდაგვარადაა წარმოდგენილი. სოცყოფით დატანჯული რიგითი ინკასატორი თავის ზღაპრულ სამყაროს მოიგონებს, რომლის მთავარი გმირი პელეა. საფეხბურთო მიუნჰაუზენის (**კახი კავსაძე**) მოგონილი თავგადასავალი შეწყდება მისი ბოძთან შეჯახების შემდეგ, მაყურებელს კი დიდხანს ემახსოვრება ის ისტორიები, რომელიც მან ეკრანზე იხილა.

ფილმის რეჟისორი გახლავთ **მიხეილ ჭიაურელი-უმცროსი,** რომელიც სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმის შედეგად XX საუკუნის ქართული სპორტული კინოს საუკეთესო რეჟისორად დასახელდა. სცენარისტები მის გარდა არიან **რევაზ ჭეიშვილი, ლევან ჭელიძე** („პირველი მერცხალის“ ავტორი) **დევი ივანოვ-ჩიქოვანი,** ოპერატორი **გიორგი გერსამია.**

ოლიმპიადა წარმოგიდგენთ
ქართული სპორტის ქრონიკა

ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

ალექსანდრე ანპილოგოვი

დაიბადა 18.01.1954, თბილისი. **ხელბურთი.** თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“ (1970-85) და გერმანიის „ლანდცხუტში“ (1987-92), სადაც ჯერ მოთამაშის, შემდეგ კი მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა. მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1976, ითამაშა 6 მატჩი, გაიტანა 13 გოლი), მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1980, ითამაშა 6 მატჩი, გაიტანა 29 გოლი), მსოფლიოს ჩემპიონი (1982), მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), სსრკ თასის მფლობელი (1978), სსრკ ჩემპიონატის სამგზის მესამე პრიზიორი (1977, 80, 81), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975). 1974-84 წლებში სსრკ ნაკრებში ითამაშა 217 მატჩი (572 გოლი). იყო საბერძნეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი (2000-01). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი.

სათავეები

რაგბი

რაგბი (ინგლ. Rugby, ქალაქი ინგლისში). გუნდური სპორტული თამაში ოვალური ბურთით. გადმოცემით რაგბი დაიბადა 1823 წლის 7 აპრილს. 16 წლის მოსწავლემ უილიამ უებ ელისმა, რომელიც ინგლისის ქალაქ რაგბის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა, წესი დაარღვია, ბურთს ხელი სტაცა და მეტოქის კარისკენ გაიქცა, რითაც დასაბამი დაუდო სპორტის ახალ სახეობას. სადღეისოდ ეს ვერსია ოფიციალურად უარყოფილია, მაგრამ რაგბის მთავარი ჯილდო, მსოფლიოს თასი, მაინც ელის ის სახელს ატარებს, რაგბის კოლეჯის კედელს კი ისევ ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: დაე, ეს დაფა გვახსენებდეს უილიამ უებ ელისის დიდებულ საქციელს, ვინც გაბედა წესის დარღვევა, ხელში აიტაცა ბურთი და გაიქცა. ასე წარმოიშვა თამაში რაგბი 1823 წელს. სინამდვილეში თანამედროვე რაგბისა და ფეხბურთის წინამორბედი, მართლაც ერთი თამაში იყო სახელწოდებით Football. თამაში ხელითაც შეიძლებოდა და ფეხითაც.

მსოფლიოს თასი, იგივე მსოფლიოს ჩემპიონატი დაწესდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს დაარსებიდან 100 წლის შემდეგ.

საქართველოში რაგბის რამდენიმე საჩვენებელი მატჩი 1919, 1940 და 1948 წლებში გაიმართა. პირველი ქართული კლუბი 1959 წლის 15 ოქტომბერს დააფუძნა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფრანგმა ემიგრანტმა **ჟაკ ასპეკიანმა.** 1961 წლის დეკემბერში **გივი მრელაშვილის** თაოსნობით შეიქმნა პირველი ოფიციალური ორგანო თბილისის რაგბის საქალაქო სექცია, რომელიც 1964 წელს თბილისის რაგბის ფედერაციად გადაკეთდა.

პირველი შეჯიბრება - თბილისის პირველობა, ოთხი გუნდის მონაწილეობით გაიმართა 1962 წელს. 1963 წელს საქართველოს დედაქალაქში ჩატარდა პირველი საკავშირო ტურნირი პროფკავშირების პირველობა, რომელშიც თბილისის „განთიადმა“ III ადგილი დაიკავა. 1966 წელს **გიორგი ყუფარაძისა** და **შალვა ქურციკიძის** თაოსნობით ქუთაისში დაარსდა რაგბის პირველი გუნდი. 1966 წელს სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ (მწვრთნელი გივი მრელაშვილი) II ადგილზე გავიდა. 1967 წელს გაიმართა პირველი უცხოური გუნდის ტურნე საქართველოში. იმავე წელს პირველმა ქართულმა გუნდმა მოაწყო ტურნე უცხოეთში. 1967 წელსვე ჩატარდა საქართველოს I ჩემპიონატი.ქართველმა მორაგბეებმა მსოფლიოს სარაგბო ელიტაში დაიმკვიდრეს ადგილი.

საქართველოს რაგბის კავშირი. დაფუძნდა 1991 წლის 27 მაისს. რაგბის საერთაშორისო საბჭოში გაერთიანდა 1992 წლის 27 თებერვალს.

ქართული რაგბის მოთავეები

ევროპის ფურცლებზე

XIX საუკუნეების საქართველოში ეკლესია-ტაძრების ეზოები და მიმდებარე ტერიტორია სპორტულ ცენტრებად იქცა. სვეტიცხოვლობის, ალავერდობის, პირველმაისობის, ნაგომრობის, ზღუდრობის, გიორგობის, აღდგომისა და სხვა დღესასწაულები უხვად რთავდნენ ცხენოსნობას, ბურთაობას, ჭიდაობას და სხვა ეროვნულ სახეობებს.

23 აპრილს გიორგობა ვიუქმეთ. ვთამაშობდით და ხალისიანად ვაგორებდით ბურთს ჩვენი საყდრის გალავანთან“...

გაზ. „ივერია“. 1897.
სოფ. ოფშკვითი.

■ ■ ■

ვისაც კარგი ბურთის თამაში უნახავს, რომელშიც ცხენოსნებიც ღებულობენ მონაწილეობას, იმან იცის, რომ ამგვარი ბურთის თამაში ნამდვილი ომია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა და რაზმების თავ-თავის დროზედ მიშველებაც გამარჯვების მოსაპოვებლად.

„ივერია“, 1894.



თარიღი

8 – 14 დეკემბერი

08. 1956 წ. მელბურნში დამთავრდა XVI ოლიმპიური თამაშები.

08. 1967 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ირანში ტურნირის მსვლელობისას 1:0 მოუგეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს. გოლი **კახი ასათიანმა** გაიტანა.

09. 2006 წ. ევროპის წლის საუკეთესო მწვრთნელად ძიუდოში შოთა ხაბარელი დასახელდა.

09. 1928 წ. დაიბადა **მაკა ჩახნაშვილი** - ჩოგბურთი.

09. 1909 წ. დაიბადა **გიორგი სიხარულიძე** - საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1975 წელს.

10. 1951 წ. დაიბადა **შოთა ხინჩაგაშვილი** - ფეხბურთი.

10. 1986 წ. დაიბადა **მათე ღვინიანიძე** - ფეხბურთი.

11. 1975 წ. დაიბადა **მამია ჯიქია** - ფეხბურთი.

12. 1973 წ. თბილისის „დინამომ“ უეფას თასის გათამაშების მერვედფინალის განმეორებით მატჩში ლონდონში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ 1:5 წააგო (შინ 1:1).

12. 1976 წ. დაიბადა **ირაკლი ხოშტარია** - კალათბურთი.

12. 1970 წ. დაიბადა **დავით ყიზილაშვილი** - ფეხბურთი.

13. 2008 წ. „ლელომ“ რაგბიში საქართველოს თასი მოიპოვა. ფინალში 28:9 მოუგო „აკადემიას“.

ვიქტორინა

1. ვინ იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის კაპიტანი?

ა - მიხეილ ყაველაშვილი
ბ - კახა კაჭარავა
გ - გელა კეტაშვილი

2. ვისი სახელით ასპარეზობს საერთაშორისო სარბიელზე ჩოგბურთში ეკა წიკლაური?

ა - გერმანიის
ბ - რუსეთის
გ - უკრაინის

3. რომელი ქართველი კალათბურთელი თამაშობს ბელგიის „პეპინსტერში“?

ა - ნიკა მეტრეველი
ბ - კახა შენგელია
გ - თორნიკე შენგელია

4. რომელი ქართველი მორაგბე გახდა სატრანსფერო სკანდალის სუბიექტი?

ა - გოდერძი შველიძე
ბ - მამუკა გორგოძე
გ - გიორგი ჯიმშელიძე

5. ოლიმპიურ თამაშებში რომელ წელს და სად გაიარეს პირველად სპორტსმენებმა სქესზე შემოწმება?

ა - 1964 წელს ტოკიოში
ბ - 1968 წელს მეხიკოში
გ - 1972 წელს მიუნხენში

ვიქტორინის პასუხები: 1 - ბ, 2 - ბ, 3 - ბ, 4 - ბ, 5 - ბ

პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი მსოფლიოს ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში საქართველოდან არის თბილისელი **დავით გურგენიძე.** ეს წოდება მან 1977 წელს მოიპოვა ხორვატიაში.

პირველმა ქართველ ალპინისტ ქალთაგან ჰიმალაის მწვერვალი ამა დაბლამი (6856 მ.) დალაშქრა **სოფო თვარაძემ** 2003 წლის 24 მაისს.

პირველად შეჯიბრება თხილამურებით (5 კმ რბენა და მთიდან სწრაფდაშვება) საქართველოში ჩატარდა ბაკურიანში 1934 წლის თებერვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰალათბურთი

● საქართველოს ნაკრები. მეტოქეები. ლატვია

აინარს ბაგაცკისი: ჯგუფის ფავორიტი საქართველოა

კვირას გაირკვა, რომ ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებს ლატვია, ბოსნია, ჰოლანდია და რუმინეთი დაუპირისპირდებიან. წილისყრის შედეგებზე ვრცლად მსჯელობას უახლოეს დღეებში დაგპირდით. დღეს ყველაზე კარგად ნაცნობ მეტოქე ლატვიაზე შევჩერდებით, რომელსაც „სოხუმის“ ყოფილი თავკაცი **აინარს ბაგაცკისი** წვრთნის.

ლატვიელების საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობის ისტორიაზე მოკლედ გეტყვით. ეს ნაკრები ევროპის პირველი ჩემპიონია - 1935 წელს ოქრო მოიგო, რასაც 1939 წელს ვერცხლი მიამატა და მას მერე დიდი ხნით მოუწია უქმობამ. მიზეზი გასაგებია - ლატვია სსრ კავშირმა შეიერთა. საბჭოეთის დაშლის შემდეგ მდიდარი ტრადიციების მქონე ბალტიისპირელებმა გამონახეს რესურსი, ძლიერი ნაკრები შეკრიბეს და 1993 წლიდან დღემდე ევრობასკეტი მხოლოდ ორჯერ გამოტოვეს (1995 და 1999 წლებში). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რვა ჩემპიონატში ლატვიელებმა საუკეთესო შედეგი 2001 წელს უჩვენეს - მერვე ადგილზე გავიდნენ. მას მერე დაღმასვლა დაეწყოთ და პირველი ჯგუფური ბარიერის გადალახვა ერთხელაც ვერ მოახერხეს. სიტუაციის გამოსწორება მწვრთნელ აინარს ბაგაცკისს დაევალა, რომელიც გუნდს აახალგაზრდავებს. თუმცა უარს არც ერთ-ორ გამოცდილ კალათბურთელზე ამბობს, რომლებთან ერთადაც ახალგაზრდები პროფესიულად უნდა გაიზარდონ.

სწორედ ასეთმა ნაკრებმა დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე. მიუხედავად კლასში სხვაობისა, ლატვიელებმა სერბეთს, საფრანგეთს, იტალიასა და გერმანიას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს.

როგორი გუნდი ეყოლებათ ბალტიისპირელებს მომავალ ზაფხულს? ფედერაციამ ჩემპიონატის შემდეგ ბაგაცკისს მადლობა გამოუცხადა და კონტრაქტი გაუგრძელა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არჩეულ გეზს არ უღალატებს - 2012-შიც ახალგაზრდა გუნდი ეყოლება. დაუბრუნდება თუ არა NBA-ში მოასპარეზე მეფარე **ანდრის ბიედრინსი**, ჯერ ძნელი სათქმელია. სტრატეგიაც მეტნაკლებად ცნობილია: გასულ ზაფხულს ორ ამხანაგურ მატჩში ლატვიელებმა ქართველებთან აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გააკეთეს. პირველ შეხვედრაში ფარქვეშ უბადლოდ მოთამაშე **ზაზა ფაჩულიას** ვერ აჯობეს (83:79 საქართველოს სასარგებლოდ), ხოლო მეორეში 84:73 დაგვამარცხეს. პირველ მატჩში ქართველთა კაპიტანმა სანაკრებო რეკორდი დაამყარა - 42 ქულა ჩააგდო. ასეთი შედეგის საჩვენებლად ზაზას 29 წუთიც ეყო.

მიუხედავად იმისა, რომ ლატვიელები წილისყრისას მესამე კალათაში იყვნენ განთესილნი, მათთან იოლი გასეირნება არ გველის. თუ ამხანაგურ მატჩებს არ ვენდობით, თვალსაჩინოებისთვის ერთი ანგარიშიც გამოდგება: 80:81 - **დირკ ნოვიცკის** გერმანიამ ევრობასკეტზე ბალტიისპირელები დიდი გაჭირვებით დაამარცხა.

სიკვდილის ჯგუფს არ ჰგავს

წილისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე ლატვიის მთავარ საკალათბურთო საიტზე გამოქვეყნდა მწვრთნელის, აინარს ბაგაცკისის ინტერვიუ, რომელშიც იგი საქართველოზე ვრცლად ლაპარაკობს.

- იოლი მეტოქეები ნამდვილად არ შეგვხვდა, თუმცა, არც იმ "სიკვდილის ჯგუფს" ჰგავს, რომელშიც წინა შესარჩევში მოვხვდით (ჩერნოგორია, ფინეთი, იტალია, ისრაელი). ახლა, ყველაზე ძლიერად F ჯგუფი მიმაჩნია, სადაც კენჭისყრამ იტალია და თურქეთი გაამწესა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მშვიდი ზამთრის ძილი გველის - ჩვენს ჯგუფშიც ძლიერი მეტოქეები არიან.

22 აგვისტო: ლატვია-საქართველო. ამ მატჩში ზაზამ 42 ქულას მოუყარა თავი

- რა რეაქცია გქონდათ, როცა ლატვიის ნაკრების მეტოქეების ვინაობა შეიტყვეთ?

- ჩვენი მოწინააღმდეგეებიდან საქართველოს ნაკრების შესახებ ყველაფერი ვიცი. ბოსნიელებს გამოცდილი გუნდი ჰყავთ და ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, მათი ლიდერები შესარჩევ ტურნირს როგორ ფორმაში შეხვდებიან. რუმინელებს მხოლოდ უნივერსიადის დონეზე დავპირისპირებივარ და ვიცი, რომ ხშირად პროვოკაციებს მიმართავენ. ასევე, მათ მთავარ კლუბს ორი წლის წინათ ვეთამაშე, როცა „კრასნოიარსკს“ ვავარჯიშებდი. ჰოლანდიელთა შესახებ კი ინფორმაცია ნაკლებად მაქვს.

- საქართველოს ნაკრები ევრობასკეტზე მეორე ეტაპზე გავიდა. მას მერე ამ ქვეყანაში ორი თვე იმუშავეთ. როგორი რეზონანსი გამოიწვია ქვეყანაში კალათბურთელთა წარმატებამ?

- შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, თუმცა, ამ ქვეყანაში ფეხბურთს წამყვანი სპორტის როლი კარგა ხანია აღარ უჭირავს. კალათბურთი ძალიან პოპულარული გახდა, რასაც ხელს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერა უწყობს. ქართველმა კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული თამაშისთვის მილიონ დოლარზე მეტი მიიღეს და დარწმუნებული ვარ, ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ახლაც მაქსიმუმს გააკეთებენ. შესაძლოა, მეტოქის რიგებში თაობათა ცვლა მოხდეს, მაგრამ ქართველებს კარგი ახალგაზრდებიც ჰყავთ. მათთან თამაში ძნელი იქნება.

- ქართველები ფავორიტებად მიგაჩნიათ?

- დღესდღეობით, ჯგუფში პირველობის საუკეთესო შანსი საქართველოს აქვს. ცხადია, ყველაფერი ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ მათთან მოედანზე წასაგებად გავალთ. საკუთარი ძლიერი მხარეები ლატვიის ნაკრებსაც გააჩნია, ამდენად, არა მარტო საქართველოსთან, ნებისმიერ სხვა მეტოქესთანაც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

- ლატვიის ნაკრებისგან რას უნდა ველოდეთ?

- წლეულს ლამაზად ვთამაშობდით, მაგრამ ვაგებდით. ეს უნდა დავივიწყოთ. არ დავეთანხმები ზოგიერთ უცხოელ მწვრთნელს, რომელიც ამბობს, რომ ლატვიელებს წაგებულის ფსიქოლოგია გვაქვს. სწორედ თამაშით უნდა დავამტკიცოთ, რომ ისინი ცდებიან. გვაკლდა რამდენიმე მოთამაშე, რომელთა დაბრუნებას მომავალ წელს ვიმედოვნებთ. ნაკრებში საუკეთესოებმა და მონდომებულებმა უნდა ითამაშონ.

- თქვენ მიერ აღებულ გეზს ხომ არ უღალატებთ?

- 2011 წელს ძალიან ახალგაზრდა გუნდი გვყავდა და ვთვლი, რომ წარმატებით ართმევდა თავს დასახულ ამოცანას. 2012-სთვის კალათბურთელებს ერთი წელი და გამოცდილება მოემატებათ, უკეთესადაც ითამაშებენ.

- კრისტაფს ვალტერსის დისკვალიფიკაციას ვადა 2012 წლის სექტემბერში გასდის. მის ამნისტიაზე ხომ არ ფიქრობთ?

- იგი ევროლიგასა და ესპანეთის ჩემპიონატში სტაბილურობით გამოირჩევა. ჩვენი გუნდისთვისაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, მაგრამ დღეს „ამნისტიაზე“ ვერაფერს ვიტყვი. ეს საკითხი უამრავი ასპექტისგან შედგება, რაც განხილვის გარეშე არ უნდა გადაწყდეს.

საქართველო-ლატვია

ამხანაგური მატჩები

24.08.2011

ვენტსპილსი, ლატვია

ლატვია-საქართველო 84:73

16:24, 26:15, 26:17, 16:17

ლატვია: ბერტანსი (8ქ), ფრეიმანისი, იურევიჩუსი (10ქ), კუკსიკსი (12ქ), ჟერომანოვსი (10ქ), შტრელნიეკსი (13ქ), ბერზინსი (9ქ, 6მ), შელაკოვსი (6ქ, 6მ), მარეკს მეიერსი (6ქ), მარტინს მეიერსი (10ქ, 5მ).

საქართველო: გამყრელიძე (16წთ), ვ. ბოისა (14წთ, 5ქ), ა. ბოისა (10წთ, 6მ), ფაჩულია (20წთ, 18ქ, 6მ), ცინცაძე (20წთ, 4ქ, 3ჯ), შერმადინი (18წთ, 3ქ, 4მ), მარკოიშვილი (15წთ, 7ქ, 3ჯ), სანიკიძე (23წთ, 9ქ, 6მ), ცქიტიშვილი (16წთ, 8ქ), შენგელია (17წთ, 8ქ, 5მ), ჰეინსი (22წთ, 8ქ), შარაბიძე (2წთ, 1ქ), ფარლალავა (7წთ, 2ქ).

22.08.2011

რიგა, ლატვია

ლატვია-საქართველო 79:83

20:13, 24:21, 19:25, 16:24

ლატვია: დაი. ბერტანსი (9ქ), ფრეიმანისი, ბლუმსი (25ქ), კუკსიკსი (12ქ), ჟერომნავსი (3ქ), ვაიროგსი (2ქ), შტრელნიეკსი (16ქ), ბერზინსი (2ქ), შელაკოვსი (5ქ), ბლაუსი (1ქ), დავ. ბერტანსი, მეიერსი (4ქ).

საქართველო: გამყრელიძე (8წთ), ვ. ბოისა (23წთ, 3ქ), ფაჩულია (29წთ, 6მ, 3ჯ, 42ქ), ცინცაძე (27წთ, 3ჯ, 2ქ), შერმადინი (10წთ, 5მ), მარკოიშვილი (27წთ, 5მ, 13ქ), სანიკიძე (28წთ, 8ქ), ცქიტიშვილი (17წთ, 9ქ), შენგელია (12წთ, 4ქ), ჰეინსი (18წთ, 2ქ).

27.08.2009

რიგა, ლატვია

ლატვია-საქართველო 72:80

19:22, 15:22, 17:20, 21:16

საქართველო: ცინცაძე (22წთ, 5ქ, 3ჯ), ელისი (30 წთ, 10ქ, 3ჯ), სანიკიძე (28წთ, 5ქ. 7მ), ცქიტიშვილი (24წთ, 9ქ, 7მ), ფაჩულია (25წთ, 14ქ, 8მ), ვ. ბოისა (23წთ, 18ქ), შერმადინი (7წთ, 3მ, 2დ), გამყრელიძე (25წთ, 14ქ, 3ჯ), ა. ბოისა (13წთ, 5ქ), ტულუში (2წთ).

ევრო 1999-ის შესარჩევი

25.02.1998

ვენტსპილსი

ლატვია-საქართველო 99:63

58:35, 41:28

საქართველო: მაისურაძე (26წთ, 10ქ, 2ჯ), სტეფანია (18წთ, 13ქ, 3მ), ხოშტარია (26წთ, 0ქ, 2ჯ), ბეჟანიშვილი (28წთ, 4ქ, 4მ, 5ჯ, 1ჩ), გოგობერიშვილი (19წთ, 2ქ, 3მ, 1ჩ), ვაშაკიძე (21წთ, 2ქ, 6მ, 2ჯ, 1ჩ), შენგელია (29წთ, 18ქ, 8მ, 1ჯ, 2ჩ), ჯაფარიძე (17წთ, 9ქ, 1მ), ბოისა (16წთ, 5ქ, 5მ, 1ჩ)

24.02.1999

თბილისი

საქართველო-ლატვია 96:98

38:50, 58:48

საქართველო: მაისურაძე (10წთ, 2ქ, 2მ), ბოისა (28წთ, 17ქ, 6მ, 1ჯ, 1ჩ), ხოშტარია (14წთ, 4ქ, 1მ), აბრამიძე (30წთ, 12ქ, 3მ, 2ჯ, 1ჩ), ბერძენიშვილი (18წთ, 18ქ, 7მ), ჯაფარიძე (28წთ, 12ქ, 4მ, 1ჩ), ოთიურიძე (11წთ, 7ქ, 2მ, 1ჯ), ქარაბაკი (27წთ, 6ქ, 7მ, 1ჯ), ჩხეიძე (34წთ, 18ქ, 4მ)

აინარს ბაგაცკისი: 2012-ში შევხვდებით

● ევროთასი

პირველი მარცხი

ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ესპანურმა „გრან კანარიამ“ თურქეთში „ბანვითთან“ 54:79 დათმო.

კუნძულელთა შემადგენლობაში ქართული პასპორტის მქონე ორივე კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა 10 ქულამდე ვერც ერთი ავიდა. **მარკიზ ჰეინსმა** 26 წუთში 6 ქულა, 5 პასი, 1 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. მან 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 5 სამქულიანიდან მიზანს ვერც ერთმა მიაღწია.

ტორინ გრინმა 22 წუთი ითამაშა, 5-დან 1 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და 7 ქულას თითო მოხსნა-პასი მიამატა.

ერთადერთი, ვინც კანარელთაგან 10-ქულიანი ზღვარი გადალახა, **ხუან პალასიოსი** იყო (13 ქულა).

ნაგების მიუხედავად, „გრან კანარია“ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა - 3 გამარჯვება და 1 მარცხი. ასეთივე შედეგი აქვს რუსულ „ლოკომოტივს“, რომელსაც ესპანელებმა შინ აჯობეს. მესამეა „ბანვითი“ 2-2 მოგება-ნაგებით. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის.

გრინისა და ჰეინსის გუნდი მომდევნო მატჩს 13 დეკემბერს რუსეთში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ჩუბინიძესთან

უმაღლესში გადასვლა კარგია, მაგრამ პირობებია ცუდი...

დრო იყო, ბათუმი ქართული რაგბის ცენტრად რომ გადაიქცა. ადგილობრივი „დათვები“ 1999-2002 წლებში ორჯერ საქართველოს ჩემპიონი, ორჯერ კი თასის მფლობელი გახდა. შემდეგ „დათვების“ ადგილას ახალი გუნდი „ბათუმი XV“ ჩამოყალიბდა, რომელმაც 2009 წელს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა მომდევნო სეზონი ბათუმელებისთვის წარუმატებელი გამოდგა და უმაღლეს ლიგას დაემშვიდობნენ. მაგრამ მხოლოდ ერთი წლით. ზღვისპირელებმა ამ სეზონში გიორგი ჩუბინიძის თავკაცობით პირველ ლიგაში თოთხმეტივე შეხვედრა მოიგეს და უმაღლეს ლიგას დაუბრუნდნენ. გასულ სეზონზე და ბათუმურ გუნდში არსებულ ვითარებაზე „ბათუმი XV“-ის მთავარ მწვრთნელს გიორგი ჩუბინიძეს ვესაუბრეთ.

- თავიდან თქვენს სამწვრთნელო კარიერაზე ვთქვათ. ორი წლის განმავლობაში „აიას“ წვრთნიდით, შემდეგ უცხოეთში განაგრძეთ მოღვაწეობა. საზღვარგარეთ რომელ გუნდებში მუშაობდით და „ბათუმი XV“-ში როდის დაინიშნეთ?

- ქუთაისის „აიადან“ პოლონეთში წავედი, სადაც კრაკოვის „იუვენიას“ მოთამაშე მწვრთნელი ვიყავი. შემდეგ ჰოლანდიაში გადავედი და „ამსტელვეენ 1890“ –ის მოთამაშე მწვრთნელი გავხდი. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ქუთაისის „აიაში“ გუნდის მენეჯერის თანამდებობაზე დავინიშნე. ამასობაში „ბათუმი XV“-ის ვარიანტიც გამოჩნდა. ჩემამდე ბათუმელები ლევან მგელაძის ხელმძღვანელობით უმაღლეს ლიგაში მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ გუნდი დაიშალა. ლევან მგელაძესთან ერთად „ბათუმიდან“ 15-20 მოთამაშეც წავიდა. გუნდი თავიდან გახდა დასაკომპლექტებელი. მოთამაშეები ახალგაზრდული შემადგენლობიდან გადმოვიყვანეთ, მაგრამ ბევრმა იმედები ვერ გაამართლა, ამას მორაგბეთა ტრავმიანობაც დაერთო და პირველ ლიგაში ჩამოვქვეითდით.

- უმაღლესი ლიგის საგზური პირველივე ცდაზე მოიპოვეთ, თანაც პირველ ლიგაში თოთხმეტივე შეხვედრა მოიგეთ.

- წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ გუნდი რამდენიმე მორაგბემ კიდევ დატოვა. სამაგიეროდ, თორნიკე აშვეთიას, ბექა ფრუიძის, ზვიად ოდიშარიას, გრიგოლ ცირეკიძის, თორნიკე ხელაძის, ბაკურ ჩუბინიძის და თემო სოხაძის შემადგენლობით კარგი შევსება მივიღეთ. ეს მორაგბეები გუნდს კარგად შეეწყვნენ. სხვა მხრივ კვლავ ახალგაზრდა მორაგბეებით გვინევდა ფონს გასვლა. ერთი თორნიკე აშვეთიაა გამოცდილი, რომელსაც უცხოეთში მაღალ დონეზე აქვს ნათამაშები, დანარჩენები კი უმეტესად ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები არიან. პირველ ლიგაში თამაში არ გაგვჭირვებია, მხოლოდ „ჯიქებმა“ გაგვიწია ღირსეული წინააღმდეგობა, თუმცა ისიც ორივე შეხვედრაში დავამარცხეთ (24:15, 11:6). სხვა გუნდების ძლევა არ გაგვჭირვებია.

- პირველ ლიგასა და უმაღლეს ლიგას შორის დიდია სხვაობა?

- პირველი ლიგა უმაღლესს ბევრად ჩამოუვარდება. ძალიან კარგია, რომ უმაღლესში 10 გუნდის თამაში გადაწყდა. საცოდაობა იქნებოდა, პირველ ლიგაში „ჯიქები“ რომ დარჩენილიყო ან „ყოჩები“ გავარდნილიყო. პირველი ლიგა ძალიან დაბალი დონისაა და იქ 40 წლის გამოცდილ მორაგბესაც კი შეუძლია, საუკეთესო იყოს.

- ადრე ბათუმში რაგბის ბუმი იყო. ახლა როგორი დამოკიდებულებაა სპორტის ამ სახეობის მიმართ?

- სამწუხაროდ, ახლანდელ მდგომარეობას სახარბიელო არ ეთქმის. სავარჯიშო პირობების მხრივ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. სტადიონზე გასახდელები მოუწესრიგებელია, არა გვაქვს წყალი და სათამაშო ინვენტარის სიმწირესაც განვიცდით.

- ახალ თაობაში თუ არიან საინტერესო მოთამაშეები?

- ახალგაზრდების წარმოჩენასაც პირობების უქონლობა აბრკოლებს. გვინდოდა ახალგაზრდული გუნდი B ლიგაში გამოგვეყვანა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ბავშვმა ხომ უნდა გამოიცვალოს სადმე, ან თამაშის შემდეგ შხაპი ხომ უნდა მიიღოს?! ამის საშუალება არ არის და შტანგის დარბაზში პატარებს ვერ ვავარჯიშებთ.

- გუნდს ვინ აფინანსებს, ამ მხრივაც ხომ არ გაქვთ პრობლემები?

- არა, ფინანსურად ყველაფერი რიგზეა. „ბათუმი“ ქალაქის მერიის კლუბია და ამ მხრივ პრობლემა არ გვქონია, მაგრამ გასახდელებისა და სავარჯიშო პირობების უქონლობა გუნდზე ცუდად მოქმედებს.

- როგორ რაგბის თამაშობს „ბათუმი“ და რა შეცვალეთ თქვენი მისვლის შემდეგ?

- რა უნდა შევცვალო, როცა გუნდიდან ყოველ სეზონში 25 მორაგბე მიდის და ყოველ თამაშში ახალ-ახალი მოთამაშეების გამოცდა მიწევს?! რა სათამაშო სტილსა და ტაქტიკაზეა ლაპარაკი, როცა არ ვიცი, მომდევნო თამაშზე ესა თუ ის მოთამაშე მეყოლება თუ არა?! ვცდილობ, გუნდი გაშლილად ვათამაშო, მაგრამ თუ მორაგბეთა გახშირებული მიგრაცია არ შეწყდა, ვერაფერს გავხდები.

- უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეთ და მაინც ჭირს მორაგბეების შენარჩუნება?

- სამწუხაროდ, როგორც ვიცი, ბევრი აპირებს წასვლას. სასელექციო საქმიანობას მწვრთნელი კახა კუნჭულია წარმართავს, რომელიც განსაზღვრავს, ვინ გაუშვას გუნდიდან და ვინ დაიმატოს. ასე რომ, რა ბირთვი გვეყოლება საგაზაფხულოდ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

- მთავარი მწვრთნელი ხართ და გუნდის დაკომპლექტებაში არ მონაწილეობთ?

- შემიძლია ამა თუ იმ მორაგბეს გავუწიო რეკომენდაცია, მაგრამ სელექციის მწვრთნელი მას როგორ მიიღებს, ეს სხვა საკითხია. გუნდთან კონტრაქტი 2011 წლის ბოლოს მიმთავრდება, თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი აქვთ, მაგრამ სავარჯიშო პირობები და სასელექციო მუშაობა თუ არ შეიცვალა, აზრი არა აქვს იქ დარჩენას.

- რაში ხედავთ გამოსავალს, რა უნდა შეიცვალოს იმისთვის, რომ ქართულ რაგბიში პრობლემებს ბოლო მოეღოს?

- შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა კლუბი სახელმწიფომ დააფინანსოს. ქვეყნის ბიუჯეტი ამას ვერ გასწვდება, მაგრამ საკანონმდებლო პოლიტიკა ისე უნდა შეიცვალოს, რომ სპონსორს კლუბში მისვლის და ფულის ჩადების სურვილი გაუჩნდეს. დიდ პრობლემას გვიქმნის მორაგბეების ჯარში გამოძახებაც. ჩემი აზრით, უმაღლეს ლიგაში რომ ბიჭი თამაშობს, ის სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან უნდა გათავისუფლდეს. ჯარს რომ მოივლის და ორი სეზონი გაუცდება, ის მოთამაშე რაგბისთვის უკვე დაკარგულია. ძალიან პერსპექტიული ბიჭი იყო ბადრი ევგენიძე და მასზე დიდ იმედებს ვამყარებდით, მაგრამ ჯარში გამოიძახეს, სეზონი გაუცდა, ფორმიდან ამოვარდა და ახლა საჭირო კონდიციები რომ დაიბრუნოს, ძალზე დიდი დრო დასჭირდება.

დავით კოხრეიძე

გიორგი ჩუბინიძე (შუაში)

ლეგიონერები

დიმიტრი ბასილაია

აურზაური ბასილაიას გამო

საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ვალანს დაჟენში ნლეულს, მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ორიოდე თვით ადრე ჩაირიცხა. მან ახალ ზელანდიაში „ბორჯღალოსანთა“ რიგებში შესანიშნავად ითამაშა და ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

ეს, ცხადია, შეუმჩნეველი არავის დარჩენია. ყველაზე მეტად კი ქართველი მორაგბით შოტლანდიური „ედინბურგი“ დაინტერესდა, რომლის ხელმძღვანელობასაც ბასილაიას ხილვა თავის რიგებში დაუყოვნებლივ სურს. თუმცა, ამის გაცხარებული წინააღმდეგია „ვალანს დაჟენის“ პრეზიდენტი **ბერნარ დელბრელი**, რომელიც აცხადებს, რომ ქართველ მორაგბეს არსად გაუშვებს.

„ვალანს დაჟენის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ამ საკითხს ვრცელი წერილი მიუძღვნეს. გთავაზობთ ამონარიდს:

„ჩვენი გუნდის ახალწვეულმა მსოფლიოს თასზე ბრწყინვალედ ითამაშა და მთხოვნელთა რიგი დაუდგა. ყველაზე მეტად ედინბურგი აქტიურობს, რომელმაც ახლახან „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში პარიზული „მეტრო რასინგი“ დაამარცხა.

ედინბურგელთა ასეთი ცხოველი ინტერესი, „ედინბურგის“ მწვრთნელის მაიკ ბრედლის პიროვნებით შეიძლება აიხსნას. ის კარგად იცნობს ინგლისის ნაკრებისთვის ლელოს გამტან ბასილაიას, ვინაიდან შოტლანდიაში გადაბარგებამდე საქართველოს ნაკრებში მუშაობდა.

ერთი სიტყვით, როგორც უნდა იყოს, „ვალანს დაჟენის“ ხელმძღვანელობას არავითარი სურვილი არ აქვს ნიჭიერი კავკასიელი სხვა ქვეყანაში გაუშვას.

ჩვენ მას გუნდიდან არ გავუშვებთ, ვინაიდან კლუბთან კონტრაქტი აქვს, რომელიც კანონითაა დაცული. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ზაფხულში მას ხელი გავუმართეთ, რაც ახლა შევახსენეთ კიდეც. დიდი იმედი გვაქვს, რომ ბასილაია „ვალანს დაჟენთან“ ერთად წარმატებულად იასპარეზებს და მერე, თუ რომელიმე პროფესიული ფრანგული კლუბისგან შეთავაზება ექნება, რატომაც არა, წავიდეს და ითამაშოს - თქვა ბერნარ დელბრელმა.

ამ დროისთვის, როგორც ჩანს, ორივე მხარეს ჰყოფნის გონიერება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 26 წლის მორაგბისთვის „ედინბურგი“ უმაღლესი დონის რაგბის თამაშის შესანიშნავი საშუალებაა. იმედი გვაქვს, რომ ბასილაია სეზონის ბოლოსაც საინტერესო იქნება უმაღლესი რანგის პროფესიული გუნდებისთვის.“

შეგახსენებთ, რომ დიმიტრი ბასილაიას „ვალანს დაჟენი“ ფედერალ 1 დივიზიონის D ჯგუფში ასპარეზობს და 23 ქულით პირველ ადგილზეა.

ბესიკ ჯანგავაძე

კოლელიშვილის მორიგი ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სათადარიგო გუნდების გათამაშებაში A ჯგუფს სათავეში ისევ ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი - „კლერმონი“ და „ტულონი“ უდგას.

ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონმა“ მე-7 ტურში შინ გაანადგურა“აჟენი“ - 40:0. „უმცროს ვულკანებს“ შორის კოლელიშვილი კვლავ გამორჩეული იყო, მან მეტოქეს ერთი ლელო გაუტანა.

„კლერმონის“ ქომაგები კლუბის ვებ გვერდის ფორუმზე კოლელიშვილის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებენ. ერთმა ისიც კი დაწერა, რომ ქართველი მესამეხაზელი კანადელ ჯიმი კუდმორისა და მამუკა გორგოძის ნამყენი არისო.

ლევან ჩილაჩავასა და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ ასევე შინ, ოღონდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „ბაიონი“ - 30:24 და ახლა 24 ქულით მე-2 ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ორივე ქართველი **ბერნარ ლაპორტმა** ძირითად გუნდში იხმო და ინგლისში, „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშების მორიგი ტურის მატჩში, „ნიუკასლთან“ სათამაშოდ იახლა.

დავით ლოსაბერიძის „პომ“, რომელიც 9 ქულით მერვე ადგილზეა, სტუმრად წაადგა კატალონიურ „პერპინიანთან“ - 7:57.

A ჯგუფი

პერპინიანი-პო 57:7, ტულონი-ბაიონი 30:24, ბურგუენი-ლიონი 0:16, მონპელიე-ტულუზი 20:16, კლერმონი-აჟენი 40:0

საბურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 28 ქულა, 2. ტულონი - 24, 3. პერპინინი - 22, 4. ბაიონი - 19, 5. აჟენი - 17, 6. მონპელიე - 13, 7. ბურგუენი - 12, 8. პო - 9, 9. ლიონი - 8, 10. ტულუზი - 5.

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

დერონ უილიამსი

პოლის ამბავი ორ დღეში გაირკვევა

დალასი დერონ უილიამსის გაფორმებას აპირებს

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ იმის თაობაზე, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი სეზონის წინ ყველაზე მოთხოვნადი კალათბურთელები არიან "ნიუ ორლეანის" გამთამაშებელი **კრის პოლი** და "ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**.

საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად კალათბურთელები და მათი კლუბები მოსალოდნელ ტრეიდებზე. „ნიუ ორლეანის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ პოლის მომავალი კარიერის შესახებ გადაწყვეტილებას პარასკევამდე მიიღებს. ჟურნალისტთა ვერსიით, ამ მცველთან მიმართებაში ყველაზე სარფიანი ნინადადებები „გოლდენ სტეიტმა" და „კლიპერსმა" გააკეთეს. თავად კრისი „კლიპერსის" ვარიანტისკენ იხრება.

რაც შეეხება დუაიტ ჰოვარდს, მას ჯერ არ უცნობებია კლუბის ხელმძღვანელობისთვის თავისი უახლოესი გეგმების შესახებ. ექსპერტთა აზრით, „სუპერმენი" კარიერის გასაგრძელებლად ახალ ადგილს საწვრთნელი ბანაკების გახსნის შემდეგ განსაზღვრავს.

■ ■ ■

როგორც იცით, NBA-ის ჩემპიონმა „დალას მავერიქსმა" რამდენიმე კალათბურთელს არ გაუგრძელა კონტრაქტი. შესაძლოა, ეს ნაბიჯი „კოვბოების" სამომავლო გეგმებს უკავშირდება. კერძოდ, „დალასის" ხელმძღვანელობას სურს განტვირთოს სახელფასო ბიუჯეტი იმისთვის, რომ გაიფორმოს „ნიუ ჯერსის" გამთამაშებელი **დერონ უილიამსი**. ამ უკანასკნელმა უკვე განაცხადა, რომ არ აპირებს „ნეტსთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას.

გია თვალაბეიშვილი

● კრივი



კოკოა კიდი

დიდების დარბაზში

ნიუ-იორკში, კანასტოტაში მდებარე „კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზმა" ახალი წევრები დაასახელა. ზოგი მათგანი ცოცხალია, ზოგიც გარდაცვლილი. ცოცხალთაგან დაფასდნენ **ტომას ჰერნსი** (61-5-1), **მარკ „ძალიან მჭრელი" ჯონსონი** (44-5), სახელგანთქმული მწვრთნელი **ფრედი როუჩი,** რინგის გამომცხადებელი **მაიკლ ბაფერი**, ანალიტიკოსი **ელ ბერნსტაინი** და ჟურნალისტი **მაიკლ კაცი**.

მათ გარდა, დიდი ხანია „დიდების დარბაზს" იმსახურებდნენ **კოკოა კიდი** ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ბიჭი კოკოა" (176-56-10), ბუზის წონაში ტიტულის ყოფილი პრეტენდენტი, **ნიუსბოი ბრაუნი** (57-13-5), ვერცხლისწყალივით მოძრავი **ლიო ჰოუკი** (79-10-6) და მძიმე წონაში ტიტულის მაძიებელი **ჯეიკ კილრეინი**. დაფასდა რამდენიმე პრომოუტერიც. ბუნებრივია, თითოეულმა მათგანმა დარბაზის წევრობა სხვადასხვა „ნომინაციაში" მიიღო - კოკოამ თანამედროვე კატეგორიაში, შემდგომმა ტრიომ კატეგორია „ძველთაგანში", ხოლო პრომოუტერებმა არასაშეჯიბრებოში.

„ჩვენ ძალიან აღელვებულები ვართ - თქვა „დარბაზის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ედუარდ ბროფიმ** - და ერთი სული გვაქვს, როდის გადავცემთ გამარჯვებულებს 2012 წლის „კლასის" ჯილდოებს".

53 წლის ტომას ჰერნსმა თქვა: „ეს დიდი პატივი და მიღწევაა. საუცხოოა იმის შეგრძნება, რომ ამდენი წლის შრომისა და ამდენი ბრძოლის შემდეგ დამაფასეს. ტანშიც კი მაჟრჟოლებს".

„ძალიან მჭრელი": „ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი მომენტია. „დიდების დარბაზის" წევრობა მოკრივესთვის უდიდესი მიღწევაა. მთელი ჩემი კარიერა აქეთკენ მქონდა მიმართული და უმთავრესი ოცნებაც ეს იყო. დღეს ნატვრა ამიხდა".

ფრედი როუჩი: „ყველას, ვინც მე ხმა მომცა, მთელი გულით დიდ მადლობას ვუძღვნი და ვულოცავ მათ, ვინც ჩემთან ერთად გაიმარჯვა. კარიერა ედი ფატჩთან ერთად დავიწყე და დღეს „დიდების დარბაზში" მის გვერდით ვარ. ლეგენდების მარაქაში გავერიე. ასე ჩემი შრომა და ნიჭი არასდროს დაუფასებიათ".

„დიდების დარბაზის" რიგით 23-ე დაჯილდოვება 2012 წლის 7-10 ივნისს გაიმართება.

ილია ბაგუნაშვილი

● კალათბურთი

კრის ბოში: დალასთან წაგება შემთხვევითობა იყო

„მაიამი ჰიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა კრის ბოშმა ისე მტკივნეულად განიცადა „დალასთან" ფინალურ სერიაში წაგება, რომ მთელი ზაფხული სატრენაჟორო დარბაზიდან არ გამოსულა. ყოფილმა ტორონტოელმა ფიზიკურად ძალიან მოუმატა და სრულ მზადყოფნაში ხვდება ახალ სეზონს, რომელიც, მისი აზრით, ტრიუმფალური იქნება „მაიამისთვის".

ESPN-ისთვის მოცემულ ინტერვიუში ბოში „მავერიქსთან" მარცხს შემთხვევითობას უწოდებს და აცხადებს, რომ ეს ახალი სეზონის პირველივე დღეს დამტკიცდება, როცა ყოფილი ფინალისტები ერთმანეთში მატჩით გახსნიან მორიგ რეგულარულ ჩემპიონატს.

- კრის, მოყევით, რა აზრები გიტრიალებდათ გონებაში ლოკაუტის დროს? გჯეროდათ, რომ სეზონის გადარჩენა მოხერხდებოდა?

- ყოველთვის ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და აზრადაც ვერ გავივლებდი, რომ სეზონი, რომელსაც ასე ელოდა გულშემატკივარი მთელს მსოფლიოში, ჩაიშლებოდა. რა თქმა უნდა, იყო მომენტები, რომლის დროსაც მეც დეპრესია მქონდა, მაგრამ სრულ უიმედობას არ მივცემივარ. დარწმუნებული ვიყავი, რომ გონიერი ადამიანები, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მივიდოდნენ სწორ გადაწყვეტილებამდე. საბოლოოდ, ასეც მოხდა. მე კი ამაყი ვარ იმით, რომ ამ პერიოდში უსაქმოდ არ ვყოფილვარ – მუდმივად სავარჯიშო დარბაზში ვიყავი და ამით უკვე მოვუტანე სარგებლობა ჩემს გუნდსა და საკუთარ თავს.

- როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ უკვე სასტარტო შეხვედრაში მოგიწევთ "დალას მავერიქსთან" დაპირისპირება, რომელმაც შარშან ცხვირწინ აგაცალათ საჩემპიონო ბეჭდები?

- ირონიულად. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა პირველ დღეს სპეციალურად დანიშნეს, რათა ოდნავ შერყეული რეიტინგი აემაღლებინათ. ამ მხრივ ლიგის პოზიცია გასაგებია – მათ უნდა აღადგინონ NBA-ის მიმართ საყოველთაო ინტერესი, თუნდაც ამგვარი პროვოკაციული მეთოდით. პირადად მე ეს არ მაღელვებს. პირიქით, დამატებით მოტივაციას მაძლევს - უნდა დავამტკიცოთ, რომ წლის მთავარ სერიაში შემთხვევითობას ჰქონდა ადგილი.

- თქვენი აზრით, "ჰიტი" ტიტულის მთავარი ფავორიტია?

- ერთმნიშვნელოვნად. და თუ პირველ სეზონში ჩავარდნა შეიძლება მოთამაშეებს შორის შეუთამაშებლობას დავაბრალოთ, ამჯერად მხოლოდ ჩემპიონობის მოპოვებაზე ვიქნებით კონცენტრირებული. არასოდეს მეშინოდა ამის ხმამაღლა თქმის. რა თქმა უნდა, ვალდებულნი ვიყავით ხუთი თვის წინ მოგვეგო ტიტული, მაგრამ იმ მარცხიდან გარკვეული დასკვნები გამოვიტანეთ და ეს ჩვენს სამომავლო ტრიუმფს კიდევ უფრო რეალურს ხდის.

- როგორ უყურებთ "მაიამის" მიმართ მრავალრიცხოვან კრიტიკას?

- მინდა ვუთხრა ამ "მწერლებს", რომ ახალ სეზონში სამუშაო აშკარად მოაკლდებათ. რაც შემეხება მე, კრიტიკა მიყვარს კიდეც. შეიძლება ითქვას, ადეკვატურად აღვიქვამ მას და მეტი სპორტული აზარტი მიპყრობს. მე ხომ უბრალოდ არ გავდივარ მოედანზე – ყოველთვის ვცდილობ დავამტკიცო, რომ მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ვარ ლიგაში. ეს ყოველთვის იყო ჩემი მიზანი. აღარ ვარ შეშინებული ახალბედა, რომელიც 2003 წელს "ტორონტოში" სათამაშოდ მივიდა. ახლა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ საკუთარ ძალებში.

- "დალასთან" ფინალურ სერიას თავიდან უყურეთ?

- სამჯერ თუ ოთხჯერ. თითოეული მატჩი ყურადღებით შევისწავლე - ჩემი მონანილეობით თითქმის ყველა ეპიზოდზე ვჩერდებოდი. საკუთარ თავს დათვურ სამსახურს გავუწევდი, თუ ამ მატჩებს დავივიწყებდი და ისე მოგაჩვენებდით თავს, თითქოს ეს კოშმარული თამაშები არასოდეს ჩატარებულა. ასე კი მშვიდად, სხვადასხვა რაკურსით შევისწავლე საკუთარი შეცდომები და ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთ რამეს აღარ გავიმეორებ. არასოდეს.

- მაგრამ ბევრ სპეციალისტს უკვე აღარ სჯერა თქვენი პროგრესის. მათ მიაჩნიათ, რომ ბოშის კონტრაქტი მძიმე ტვირთად აწევს გუნდს...

- მანახეთ ეს ადამიანი და პირადად დავუმტკიცებ, რომ ის არასწორად მსჯელობს. დიახ, გასული სეზონი წარუმატებელი იყო. გეთანხმებით, რომ 50 პროცენტი სიზუსტე საშუალო მანძილიდან და დაახლოებით 10 მოხსნა მატჩში – ეს ის არ არის, რისთვისაც "ჰიტის" ხელმძღვანელობამ ამიყვანა. ეს ჩემთვისაც მიუღებელია. მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაზე უარეს მაჩვენებლად დარჩება ჩემს კარიერაში. დღეს, როგორც არასდროს, მზად ვარ ახალი სეზონისთვის და იქ სულ სხვა კრის ბოშს იხილავთ. გპირდებით.

- თქვენი აზრით, სჭირდება თუ არა გუნდს გაძლიერება?

- მე მჯერა ჩვენი ბიჭების და ვიცი, რომ თითოეული მათგანი ყველაფერს გააკეთებს გამარჯვებისთვის. რა თქმა უნდა, მცირე ცვლილებები არ გვაწყენ-

გია თვალაბეიშვილი

კალენდარი მზად არის



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ 2011-12 წლების სეზონის სრული კალენდარი გამოაქვეყნა. მისი მიხედვით, თითოეული გუნდი რეგულარულ ჩემპიონატში 66 შეხვედრას ჩაატარებს. სეზონი 25 დეკემბერს ხუთი შეხვედრით გაიხსნება, მათ შორის, ერთ-ერთი მატჩია - „ლეიკერსი"-"ჩიკაგო". კალიფორნიელებს პირველ სამ დღეს სამი თამაშის გამართვა მოუწევთ.

წლევანდელ სეზონში შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო გუნდები - „დალასი" და „მაიამი" ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს: 25 დეკემბერსა და 12 მარტს.

კალენდრის სხვა საინტერესო თავისებურებანი:

- „ტორონტოს" მისთვის სარეკორდო 19 მატჩის ჩატარება მოუწევს იანვარში;

- „კლივლენდი" 8-28 თებერვალს ზედიზედ ცხრა საშინაო შეხვედრას ჩაატარებს;

- „ფილადელფია" სეზონს ხუთი გასვლითი შეხვედრით დაიწყებს.

რეგულარული ჩემპიონატი 26 აპრილს დასრულდება, მთლიანი სეზონის ფინიში კი 26 ივნისს არის დაგეგმილი.

გია თვალაბეიშვილი

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ლიდერებმა სინქრონულად წააგეს

დანიელ სედინმა ჰეთ-თრიკი შეასრულა

რეგულარულ ჩემპიონატში მოულოდნელად უკლო თამაშს დასავლეთი კონფერენციის ერთ-ერთმა ფავორიტმა „დეტროიტ რედ უინგზმა". შვიდმატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ, ამ გუნდმა დღეს დილით ზედიზედ მეორე მატჩი წააგო - ამჯერად სტუმრად დამარცხდა „სენტ ლუისის" წინააღმდეგ.

პირველ პერიოდში ორივე გუნდის მეკარეები დამაჯერებლად თამაშობდნენ და ანგარიში არ გახსნილა, მეორე პერიოდში კი „დეტროიტი" პირველად და უკანასკნელად გავიდა ამ მატჩში წინ - გოლი **ფრანცენმა** გაიტანა. "სენტ ლუისმა" დიდი ხანი სიხარული არ აცალა მეტოქეს და ორ წუთში **ალექს სტინმა** თანაფარდობა აღადგინა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში მესამე პერიოდის სანყისი ორი წუთი, როცა **ჰოვარდის** კარში ორი შაიბა შევარდა. მეკარე **ბრაიან ელიოტის** წყალობით, „სენტ ლუისმა" თითქმის ბოლომდე შეინარჩუნა ორშაიბიანი უპირატესობა. ერთადერთი, რაც „დეტროიტმა" შეძლო, ერთი საპასუხო შაიბის გატანა იყო, რომელიც **ქლირის** ანგარიშზეა, მაგრამ მეტის გაკეთების საშუალება სტუმრებს იმავე ელიოტმა არ მისცა.

"დეტროიტის" ამ წაგებამ ინტრიგა დაუმატა ცენტრალურ დივიზიონში პირველი ადგილისთვის ბრძოლას. "ჩიკაგოს" 36 ქულა აქვს, ხოლო "რედ უინგზსა" და "სენტ ლუისს" - 33-33 ქულა.

■ ■ ■

სეზონში მერვე გამარჯვებას მიაღწია ჩემპიონატის უმიდო აუტსაიდერმა „კოლამბუსმა", რომელმაც სტუმრად მოულოდნელად დაამარცხა „მონრეალი" და ამ გუნდს პლეი ოფის ზონაში შესვლის შანსი მოუსპო.

„კოლამბუსი" ორჯერ იგებდა და ორჯერვე მონრეალელებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. სტუმრებს შეეძლოთ ძირითად დროში მოემთავრებინათ საქმე, მაგრამ საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე „მონრეალის" ამერიკელმა ფორვარდმა **ბრაიან ჯონტამ** მეორედ აღადგინა ამ მატჩში თანაფარდობა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა, ბულიტების სერიაში კი „კოლამბუსის" მეკარე **სტენფორდმა** ორი დარტყმა მოიგერია, მისმა თანაგუნდელმა **რიკ ნეშმა** კი **კერი პრაისს** გაუტანა და სტუმრებმა 3:2 გაიმარჯვეს, თუმცა კვლავაც ბოლო ადგილზე არიან რეგულარულ ჩემპიონატში.

■ ■ ■

აშკარა კრიზისში იმყოფება სეზონის ერთ-ერთ ფავორიტად მონათლული „ტამპა ბეი", რომელმაც დღეს დილით ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო. „ლაითნინგმა" სტუმრად უშანსოდ წააგო შეხვედრა აღმოსავლეთის ერთ-ერთ აუტსაიდერთან - „ნიუ იორკ აილენდერსთან". ამ უკანასკნელმა აშკარად მოუმატა თამაშს და ბოლო შვიდ მატჩში მეოთხედ მოიგო.

მართალია, ანგარიში „ტამპა ბეიმ" გახსნა, მაგრამ „აილენდერსმა" პირველივე პერიოდში მიაღწია სოლიდურ უპირატესობას - ხუთწუთიანი ინტერვალით ნიუიორკელმა კლუბმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და პირველ შესვენებაზე ორშაიბიანი უპირატესობით გავიდა.

მეორე პერიოდში გუნდებმა პაუზა აიღეს და გოლი არ გასულა, ხოლო მესამე 20-წუთეულის სტარტზე **დავიდ ულსტრიომის** მიერ გატანილმა შაიბამ ბრძოლის ყოველგვარი სურვილი მოუსპო „ტამპა ბეის". 21 წლის შვედისთვის ეს იყო სადებიუტო შაიბა NHL-ში.

ანგარიში 4:1 გახდა და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში შეწყვიტა 13-მატჩიანი უგოლო სერია 2009 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა **ჯონ ტავარესმა**.

■ ■ ■

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ვინიპეგში. ადგილობრივმა „ჯეტსმა" შინ დაამარცხა სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „ბოსტონი", რომელსაც ბოლო 15 მატჩში 14 მოგება ჰქონდა აქტივში.

ამჯერად ბოსტონელმა მწვრთნელმა კარის დაცვა ფინელ **ტუკა რასკის** მიანდო და სკანდინავიელს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ის მეტოქის 33 დარტყმას გადაეღობა, მაგრამ ორ შემთხვევაში ვერ შეძლო საკუთარი გუნდის გადარჩენა.

გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა „ვინიპეგის" მეკარე **პაველეცს**, რომელმაც 39 დარტყმა მოიგერია. ერთადერთი შაიბა მან მესამე პერიოდში **შონ ტორნტონისგან** გაუშვა, რის შემდეგაც ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ „ვინიპეგს" წუთზე ოდნავ მეტი დასჭირდა იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გასულიყო ამ მატჩში წინ – შუა ზონაში შაიბა მოიპოვა **ლიტლმა**, სლალომით გაიარა ნახევარი მოედანი და ულამაზესი გოლი გაიტანა. ანგარიში აღარ შეცვლილა და ამ მოგებით „ვინიპეგი" ერთ ქულამდე მიუახლოვდა პლეი ოფის ზონას, თანაც ამ გუნდს სამმატჩიანი მოგებათა სერია აქვს. „ბოსტონმა" კი დაკარგა აღმოსავლეთის ლიდერის "პიტსბურგის" გასწრების შანსი.

■ ■ ■

13 გოლი გავიდა "კალგარისა" და "კაროლინას" შეხვედრაში, აქედან შვიდი შაიბა მესამე პერიოდზე მოდის. განსაკუთრებით აღსანიშნავია "ჰარიკეინზის" ბრძოლისუნარიანობა. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე "კაროლინა" ორ შაიბას აგებდა, მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით შეცვალა და კიდევ ერთი გოლი გაუშვა, თუმცა მაინც გამონახა ძალები და ბოლო 30 წამში ორი შაიბა გაქვითა, მაგრამ მეტის გასაკეთებლად დრო არ ეყო. შესანიშნავი იყო "კალგარის" პირველი ტრიო - **მორისონი-იოკინენი-იგინლა**, რომელმაც ჯამში 10 ქულა დააგროვა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა "ანაჰაიმის" მწვრთნელის რანგში **ბრიუს ბუდრომ**. "დაქსმა" კალიფორნიულ დერბიში კინალამ ხელიდან გაუშვა "ლოს ანჯელესთან" გამარჯვება – მეტოქეს ორშაიბიანი ჩამორჩენის გაბათილების საშუალება მისცა. ამასთან, "ლოს ანჯელესი" ძალიან ბევრს უტევდა და მესამე პერიოდში **ჰილერის** კარში 23 ზუსტი დარტყმა შეასრულა! მაგრამ "იხვებმა" ბოლო წუთზე **ბობი რაიანის** გოლით მაინც მოიპოვეს საჭირო გამარჯვება.

აგრძელებს დამაჯერებლად ქულების დაგროვებას "მინესოტა". ამჯერად "ველურებმა" სტუმრად მოუგეს გამოცდილ "სან ხოსეს" – 2:1. პირველ წუთზე ანგარიში გახსნა **ჯო პაველსკიმ**, რის შემდეგაც "მინესოტას" კარში დებიუტანტი **მეტ ჰეკეტი** ჩადგა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ "მინესოტას" მესამე ვარსკვლავური მეკარე ეზრდება. ჰეკეტმა 34 დარტყმა მოიგერია და თავის გუნდს ზედიზედ მეხუთე მატჩში მოაგებინა. ასევე აღვნიშნავთ "მინესოტას" კაპიტნის **მიკო კოივუს** კარგ თამაშს, რომელმაც ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ კი **ბუშარს** გაატანინა გამარჯვების გოლი.

ტორონტო-ნიუ ჯერსი 2:3 (OT)

0:2, 1:0, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 კოვალჩუკი-7 (სიკორა-7, ენრიკე-12), 0:2 კლარკსონი-8 (პარიზე-10, ელიაში-13), 1:2 კესელი-17 (ლუპული-19, შენი-9), 2:2 ფრატენი-3 (გრაბოვსკი-6, ფრენსონი-4), 2:3 კლარკსონი-9 (ზუბრუსი-6).

ატლანტა-ტამპა ბეი 5:1

3:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 სან ლუი-9 (ბ. კლარკი-4, სტემკოსი-14), 1:1 ტავარესი-9 (მოულსონი-7, ოკსოპო-5), 2:1 მ. მარტინი-3 (უოლასი-1, რისონერი-4), 3:1 იურჩინა-1 (ნილსენი-7, შტრაიტი-12), 4:1 ულსტრიომი-1 (ბეილი-5, სტაიოსი-4), 5:1 მოულსონი-14 (ტავარესი-14, შტრაიტი-13).

მონრეალი-კოლამბუსი 2:3

1:1, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 პროსპალი-7 (ა. ჯონსონი-5, უმბერგერი-5), 1:1 ა. კოსტიციინი-8 (კამალერი-8), 1:2 უმბერგერი-4 (ნიკიტინი-8, პალსონი-5), 2:2 ჯონტა-8 (პლეკანეცი-17, ემელინი-1).

ბულიტები გაიტანეს: ნეში (კოლამბუსი).

სტ. ლუისი-დეტროიტი 3:2

0:0, 1:1, 2:1

გოლები: 0:1 ფრანცენი-13 (ჰუდლერი-11, ჰოვარდი-1), 1:1 სტინი-9 (არნოტი-8), 2:1 ბეკსი-10 (ოში-10, არნოტი-9), 3:1 ბერგლუნდი-6 (კ. სტიუარტი-6, პერონი-1), 3:2 ქლირი-6 (ჰუდლერი-12, კრონვალი-5).

ნეშვილი-ფინიქსი 2:3

1:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 პიატი-4 (კორპიკოსკი-6, ბ. გორდონი-8), 1:1 ჰილენი-2 (კ. სმიტი-14, ერატი-9), 1:2 რეი უიტნი-10 (ვრბატა-11, ჰანდფაღლი-11), 2:2 შ. უებერი-6 (რ. სატერი-13, ჰორნკვისტი-5), 2:3 იენდლი-4 (დოუნი-10, შლემკო-8).

ვინიპეგი-ბოსტონი 2:1

0:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 ლედი-9 (ოდუია-6, პაველეცი-1), 1:1 შ. ტორნტონი-2 (პეი-2, გ. კემპბელი-6), 2:1 ლიტლი-8.

კალგარი-კაროლინა 7:6

2:0, 2:2, 3:4

გოლები: 1:0 იგინლა-8 (ო. იოკინენი-10, ბ. მორისონი-1), 2:0 სტემმნიაკი-7 (კომო-3, ბოუმისტერი-8), 3:0 ბ. მორისონი-2 (ო. იოკინენი-11), 3:1 ტლუსტი-6 (ბულიტი), 3:2 ბრენტი-3 (ე. სტაალი-10, ტ. კაბერლე-6), 4:2 რ. ბურკი-9, 5:2 ბ. მორისონი-3 (იგინლა-9, ბროდი-4), 5:3 ტ. რუუტუ-8 (მაკპეინი-7), 6:3 ბეკლუნდი-2 (სტემმნიაკი-5, ტანგეი-14), 6:4 ე. სტალი-6, 7:4 იგინლა-9 (ბ. მორისონი-2, ო. იოკინენი-12), 7:5 ლარიუზი-7 (ბრენტი-4, პონიკაროვსკი-4), 7:6 ე. სტალი-7 (მაკპეინი-8, ტ. კაბერლე-7).

ვანკუვერი-კოლორადო 6:0

1:0, 1:0, 4:0

გოლები: 1:0 დ. სედინი-10 (ბაროუზი-5, ჰ. სედინი-20), 2:0 ჰანსენი-8 (ბიეკსა-11, ჰოჯსონი-8), 3:0 დ. სედინი-11 (ჰ. სედინი-21, ჰამჰუისი-14), 4:0 ჰანსენი-9 (ედლერი-16, ბალარდი-3), 5:0 დ. სედინი-12 (ბაროუზი-6, ჰ. სედინი-22), 6:0 ედლერი-4 (ჰოჯსონი- 9, შნაიდერი-1).

ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 3:2

2:0, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 რაიანი-8 (სელიანე-17), 2:0 პერი-12 (გეტცლაფი-15, ბელესკი-3), 2:1 ვოინოვი-4 (პენერი-3, კოპიტარი-16), 2:2 ჯასტინ უილიამსი-4 (სოტლი- 6), 3:2 რაიანი-8 (სელიანე-18).

სან ხოსე-მინესოტა 1:2

1:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 პაველსკი-12 (დ. ბოილი-10), 1:1 მ. კოივუ-5 (პიტლი-10, უელმანი-2), 1:2 ბუშარი-5 (მ. კოივუ-18, სპარჯონი-8).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი	
ინგლისი	
ჩემპიონშიფი	
ჰალი-ბირმინგემი	2:1
ესპანეთი	
გრანადა-მალიორკა	2:2
გერმანია	
რეგიონალლიგა (დას)	
ელვერსბერგი-კოგლენცი	3:0
პოლანდია	
ექსელსიორი-ალკმაარი	0:0
საბერძნეთი	
დოქსა-ოფი	0:1
თურქეთი	
ესკისეჰირი-ანთალია	1:0
ძარაბუძი-გაზიანთეფი	0:0
გალათასარაი-ფენერბაჰჩე	3:1
ევროლიგის თასი	
აია-ნეა სალამისი	2:4
პარეკლისიასი-ანაგენისი	3:1
ანორთოსისი-პაეკ	6:0
ოლიმპია-დოქსა	3:2
რუმინეთის თასი	
რაპიდი-პანდური	2:0
ჩერნოგორია	
ბერანი-ბოკელი	1:0
ბუდუჩნოსტი-ლოვჩენი	4:0
გრბალი-სუბიესკა	2:0
მლადოსტი-რუდარი	0:2
პეტროვაცი-მოგრენი	1:2
ზეტა-დეჩიჩი	1:0
კალათბურთი	
ევროლიგა	
ცსკა-ზაგრები	87:74
ძალგირისი-პანათინაიკოსი	59:64
ეფესი-მილანი	84:70
ბილბაო-კანტუ	64:67
პროკომი-ოლიმპია	67:52
ნანსი-ფენებრაჰჩე	53:73
ევროჩემპიონები	
ოლინი-აალსტი	92:86
პარდუბიცე-პროსტეევი	98:84
ლეიდენი-გოტინგენი	80:71
ხელბურთი	
მს. ჩემპიონატი	
ქალები	
ჩერნოგორია-ჩინეთი	42:15
რუსეთი-ჰოლანდია	35:26
ნორვეგია-ანგოლა	26:20
ესპანეთი-ყაზახეთი	27:18
პოლი	
კალ	
ავანგარდი-დინამო (მნ)	1:3
მეტალურგი (მ)-ლევ პოპრადი	2:1
იუგრა-ცსკა	3:2
სკა-ს. იულიაევი	4:5 (ო)
ატლანტი-ნეფტიხიმიკი	2:4
დინამო (რ)-აკ ბარსი	1:3
ფინეთი	
ილვესი-კერპეტი	3:0
კალპა-ბლუზი	3:2
ლუკო-იოკერიტი	1:3
ჰპკ-სეი პა	2:3 (ო)
ესეტი-ტპს	3:4
იუვიასკიულა-ჰელიკანსი	0:1 (ბ)
ჩეხეთი	
კარლოვი ვარი-პარდუბიცე	0:4
შვეიცარია	
იუგრონდენი-ბრიუნესი	5:2

TV პროგრამა

8 დეკემბერი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-რენი.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
18:30 იტალიის შოუ.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. არსენალი-ბოკა ხუნიორსი.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი.
23:00 გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
00:30 არგენტინა. XVII ტურის მიმოხილვა.
01:00 იტალიის შოუ.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-რასინგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. როჯერ ფედერერი—ნოვაკ ჯოკოვიჩი. დუბაი. საემირეობი.
14:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლეჩე.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ალსტერი-კლერმონი.
18:45 სუპერკოლაჟი.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. ინდივიდუალური შეჯიბრი. დუსელდორფი. გერმანია.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:15 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. რეალი-მაქაბი (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.
16:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
19:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტულუზა-გლოსტერი.
21:20 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. გალათასარაი-მონტეპასკი (LIVE).
23:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

A ჯგუფი

ჩერნოგორია-ანგოლა	28:26 (14:13)
ნორვეგია-ისლანდია	27:14 (14:7)
გერმანია-ჩინეთი	23:22 (7:12)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ნორვეგია	3	2	0	1	98-61	4
2. ჩერნოგორია	3	2	0	1	74-72	4
3. ანგოლა	3	2	0	1	84-81	4
4. გერმანია	3	2	0	1	78-75	4
5. ისლანდია	3	1	0	2	60-76	2
6. ჩინეთი	3	0	0	3	67-96	0

B ჯგუფი

რუსეთი-ავსტრალია	45:8 (21:4)
ყაზახეთი-ჰოლანდია	20:32 (8:18)
ს. კორეა-ესპანეთი	26:29 (12:13)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუსეთი	3	3	0	0	112-54	6
2. ჰოლანდია	3	2	0	1	112-69	4
4. ესპანეთი	3	2	0	1	85-81	4
3. ყაზახეთი	3	1	0	2	76-72	2
5. ს. კორეა	3	1	0	3	81-87	2
6. ავსტრალია	3	0	0	3	32-135	0

C ჯგუფი

ტუნისი-კუბა	32:29 (18:11)
რუმინეთი-იაპონია	28:28 (13:12)
საფრანგეთი-ბრაზილია	22:26 (17:10)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბრაზილია	3	3	0	0	95-67	6
2. რუმინეთი	3	2	1	0	91-83	5
3. საფრანგეთი	3	2	0	1	88-65	4
4. ტუნისი	3	1	0	2	77-84	2
5. იაპონია	3	0	1	2	103-133	1
6. კუბა	3	0	0	3	48-70	0

D ჯგუფი

შვედეთი-ურუგვაი	31:14 (13:7)
დანია-ხორვატია	23:19 (10:8)
არგენტინა-კოტ დ'ივუარი	19:25 (8:14)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დანია	3	3	0	0	90-42	6
2. შვედეთი	3	3	0	0	96-50	6
3. ხორვატია	3	2	0	1	100-58	4
4. კოტ დ'ივუარი	3	1	0	2	69-93	2
5. არგენტინა	3	0	0	3	43-93	0
6. ურუგვაი	3	0	0	3	39-112	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ნოლემ აგასის გაასწრო

ნოვაკ ჯოკოვიჩი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ერთი სეზონის განმავლობაში მოპოვებული ჰონორარების რაოდენობით ახალი რეკორდი დაამყარა, - იტყობინება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) ოფიციალური ვებგვერდი.

წელს სერბმა ჩოგბურთელმა კორტზე 12 619 803 დოლარი გამოიმუშავა და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** (2007 წელი) და ესპანელი **რაფაელ ნადალის** (2010) რეკორდი დაამხო. თავის დროზე, ამ ჩოგბურთელებმა სეზონის განმავლობაში 10.1 მილიონი დოლარი მიიღეს.

გარდა ამისა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა კარიერაში მოპოვებული თანხის ოდენობით უკან ჩამოიტოვა ლეგენდარული ამერიკელი **ანდრე აგასი**. 2011 წლის შემდეგ სერბის მონაგარმა 32.8 მილიონს მიაღწია, იმ დროს, როცა აგასიმ მთელი კარიერის განმავლობაში 31.1 მილიონი დოლარი მიიღო.

ამ სიაში პირველ ადგილს როჯერ ფედერერი იკავებს (67.4 მილიონი). 2011 წელს ერთი საფეხურით წინ წაიწია რაფაელ ნადალმა (45 მილიონი), რომელმაც უკან ჩამოიტოვა ამერიკელი **პიტ სამპრასი** (43.2 მილიონი). ხუთეულში შედიან ჯოკოვიჩი და აგასი.

კარიერა

1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	67 429 935
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	45 064 377
3. პიტ სამპრასი (აშშ)	43 280 489
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	32 882 760
5. ანდრე აგასი (აშშ)	31 152 975
6. ბორის ბეკერი (გერ)	25 080 956
7. ევგენი კაფელნიკოვი (რუს)	23 883 797
8. ივან ლენდლი (ჩეხ/აშშ)	21 262 417
9. სტეფან ედბერგი (შვედ)	20 630 941
10. ენდი როდიკი (აშშ)	20 088 103
11. გორან ივანიშევიჩი (ხორ)	19 878 007
12. ენდი მიურეი (ბრიტ)	19 147 391
13. მაიკლ ჩანგი (აშშ)	19 145 632
14. ლეიტონი ჰიუიტი (ავსტრა)	19 004 446
15. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	14 832 949
16. გუსტავო კუერტენი (ბრა)	14 807 000
17. იონას ბიორკმანი (შვედ)	14 600 323
18. მარატ საფინი (რუს)	14 373 291
19. ჯიმ კურიე (აშშ)	14 034 132
20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპ)	13 798 919

2011 წელი

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	12 619 803
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	7 668 214
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)	6 369 576
4. ენდი მიურეი (ბრიტ)	5 180 091
5. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	3 173 969
6. დავიდ ფერერი (ესპ)	3 113 904
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	2 576 813
8. მარდი ფიში (აშშ)	1 882 091
9. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	1 692 912
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 571 007
11. ჟილ სიმონი (საფ)	1 347 752
12. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	1 323 835
13. მიკაელ ლოდრა (საფ)	1 210 799
14. ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 196 499
15. ჯონ ისნერი (აშშ)	1 170 432
16. მარინ ჩილიჩი (ხორ)	1 139 799
17. იურგენ მელცერი (ავსტრია)	1 133 482
18. მარსელ გრანოლერსი (ესპ)	1 132 893
19. გაელ მონფილსი (საფ)	1 094 353
20. ენდი როდიკი (აშშ)	1 061 404

ბრიტანეთს ჯუდის ჩააბარებენ

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანის **ენდი მიურეის** დედა - **ჯუდი მიურეი** მოლაპარაკებებს აწარმოებს ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციასთან. თუ მხარეები შეთანხმებას შეძლებენ, ჯუდი ფედერაციის თასზე ბრიტანეთის ქალთა ნაკრების კაპიტანი გახდება. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ეს პოსტი დატოვა **ნაიჯერ სირსმა**, რომელმაც სერბ ჩოგბურთელთან **ანა ივანოვიჩთან** დაიწყო თანამშრომლობა. მას შემდეგ ბრიტანეთის ნაკრების დამრიგებლის პოსტი ვაკანტურია.

"ამ მომენტისთვის განვიხილავთ ჯუდი მიურეისთან თანამშრომლობის პერსპექტივას. ტურნირი 30 იანვარს დაიწყება და შევეცდებით უახლოეს პერიოდში მივაღწიოთ შეთანხმებას, - წერს ასოციაციის პრესსამსახური. – თუ კაპიტანი ჯუდი გახდება, მას დიდი გავლენა ექნება მწვრთნელებსა და ახალგაზრდა მოთამაშეებზე".

ჯუდი მიურეი

ჯემალმა ქურდები დაიჭირა

ჯემალ ჩაკვეტაძე

რუსულ პრესაში გამოქვეყნდა იმ საქმის სენსაციური დეტალები, რომელიც ჩოგბურთელი **ანა ჩაკვეტაძის** ქალაქგარეთ მდებარე სახლის გაქურდვას ეხება.

2007 წლის დეკემბერში მძარცველებმა ჩაკვეტაძის სახლში შეაღწიეს, თოკით დააბეს ჩოგბურთელი და მისი მშობლები და დაახლობით 6 მილიონის ოდენობის თანხა და ძვირფასი ნივთები გაიტაცეს. მოგვიანებით, კრასნოგორსკის რაიონის მილიციამ დააკავა ჯგუფი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო რამდენიმე ყაჩაღობაში და მალე ერთ-ერთმა დაკავებულმა – **სერგეი ჟერნოსეკმა** აღიარა ჩაკვეტაძის სახლის გაქურდვა.

მაგრამ, სავარაუდო დამნაშავის სიტყვებით, მან ეს აღიარება სამართალდამცავების ზეწოლის ქვეშ გააკეთა. ანა ჩაკვეტაძის მამამ – **ჯემალ ჩაკვეტაძემ** ასევე განაცხადა, რომ მას აიძულეს ამოცნობისას სწორედ ამ მამაკაცისთვის დაედო ხელი.

ამის შემდეგ უფროსმა ჩაკვეტაძემ გადაწყვიტა დამოუკიდებლად გამოეძია ეს საქმე და მოწმის დახმარებით გავიდა მოლდოვას მოქალაქეთა ჯგუფზე, რომელმაც მოაწყო კიდეც ეს ძარცვა. თუმცა მოლდოვის სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯემალ ჩაკვეტაძეს აცნობეს, რომ საქმეს მსვლელობას მხოლოდ რუსი სამართალდამცავების მოთხოვნის შემდეგ მისცემენ.

ფლავიას დედა ერთი წლით ჩასვეს

ფლავია პენეტა

იტალიური ჩოგბურთის ვარსკვლავის **ფლავია პენეტას** დედა – **კონჩეტა პენეტა** ერთ წელიწადს ციხეში გაატარებს. სწორედ ეს სასჯელი გამოუტანა იტალიის სასამართლომ ამ ქალბატონს არაგანზრახ მკვლელობის გამო.

როგორც იტალიური პრესა იტყობინება, ჩოგბურთელის დედის ფერმაში ორი მანქანა აფეთქდა, რის გამოც ფერმის ერთ-ერთი მოსამსახურე დაიღუპა. კონჩეტა პენეტას მოუწევს დაზარალებული ოჯახისთვის კომპენსაციის სახით 150 ათასი ევროს გადახდა.

ველოსპორტი

100 ათასად გაყიდული რბოლა

რუსული ველოსპორტის ერთ-ერთი ლიდერი **ალექსანდრ კოლობნევი** სერიოზულ სკანდალში გაეხვია - ის კოლეგისგან ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი. როგორც ამბობენ, რუსმა 2005 წელს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ შეგნებულად წააგო პრესტიჟული რბოლა – "ლიეჟი-ბასტონი". შვეიცარიულმა ჟურნალმა L'Illustre-მა დაწერა, რომ კოლობნევმა 100 ათასი ევრო მიიღო ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვისგან**, სანაცვლოდ კი დაჰპირდა, რომ არ შეებრძოლებოდა საფინიშო სპურტის დროს.

ალექსანდრ კოლობნევი

L'Illustre-ს წყაროდ მოჰყავს სპორტსმენების მიმოწერა ელექტრონულ ფოსტაზე. კერძოდ, რბოლის დასრულების შემდეგ კოლობნევმა შვეიცარიის ბანკში საკუთარი ანგარიშის რეკვიზიტები გაუგზავნა ვინოკუროვს.

ყაზახმა იმავე გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში უარყო რბოლის "ჩაწყობის" ბრალდება – მისი თქმით, კოლობნევს ასი ათასი ევრო ვალში მისცა. ვინოკუროვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს მისი პირადი საქმეა და დაამატა - ამ გზით სხვებს ხშირად ვეხმარებიო. მანვე ისიც თქვა, რომ ეს ისტორია ვიღაცის მიერ მისი სახელის გასატეხად არის შეთხზული.

კოლობნევი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების პრიზიორია. 2011 წლის ზაფხულში, ტურ დე ფრანსის მსვლელობისას მის ორგანიზმში აღმოაჩინეს აკრძალული პრეპარატი - ჰიდროქლოროტიაზიდი. რუსმა განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, საიდან მოხვდა ეს ნივთიერება მის ორგანიზმში.

რუსეთის ფედერაციამ კოლობნევს მხოლოდ ფულადი ჯარიმა და გაფრთხილება აკმარა, თუმცა ამ დღეებში ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა აპელაცია შეიტანა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში და კოლობნევისთვის უფრო მკაცრი სასჯელი მოითხოვა.

რალი

საინსი ბრუნდება?

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ლეგენდარულ ესპანელ **კარლოს საინსს** ჩემპიონატში დაბრუნების შანსი გაუჩნდა. ცნობილი ავტომრბოლი რალისთვის "ფოლკსვაგენ პოლოს" მოდელის მომზადებაშია ჩართული და არ არის გამორიცხული, რალიში გერმანული გუნდის მანქანით დაბრუნდეს.

"ფოლკსვაგენის" სპორტული განყოფილების შეფმა კრის ნისენმა ესპანელს "ფოლკსვაგენ პოლოს" მანქანით 2013 წლის ჩემპიონატში რამდენიმე ეტაპის გამართვა შესთავაზა. ეს წინადადება იმით არის გამოწვეული, რომ საინსს ჯერ არ მიუღია მსოფლიოს რალიში კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილება.

ჯერჯერობით უცნობია ამ სიტუაციაზე თავად კარლოსის კომენტარი. აღვნიშნავთ, რომ სწორედ 2013 წელს არის დაგეგმილი "ფოლკსვაგენის" სრულფასოვანი დებიუტი რალის მსოფლიოს ჩემპიონატში.

სამთო-სათხილამურო სპორტი

ამჯერად გამოცდილებამ იძალა

ტედ ლიგეტი

სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება ამერიკის კურორტ ბივერ კრიკში გაგრძელდა, სადაც მამაკაცებმა ამ სეზონში მესამედ გაითამაშეს პირველობა გიგანტურ სლალომში.

წელს ამ დისციპლინაში მოულოდნელ პროგრესს მიაღწია 20 წლის ფრანგმა **ალექსის პინტურომ**, რომელიც ერთხელ უკვე ვიხილეთ პოდიუმზე და ამჯერადაც ჰქონდა სამეულში მოხვედრის რეალური შანსი. პირველი ცდის შემდეგ მან ლიდერობა იგდო ხელთ და ფავორიტის სტატუსიც მოიპოვა.

მაგრამ მეორე ცდის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. პინტურომ ტრასაზე უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფრანგი პოდიუმის მიღმა დარჩენილიყო.

მეორე ცდა ყველაზე კარგად გამოცდილ ამერიკელ **ტედ ლიგეტის** გამოუვიდა. ის ერთადერთი იყო, ვინც იმ დღეს წუთსა და 20 წამზე ნაკლები დრო აჩვენა და ამის წყალობით, ორი ცდის ჯამში პირველობა მოიპოვა.

ლიგეტი ფავორიტთაგან ერთადერთი იყო, ვინც ეს სტატუსი დაამტკიცა. სხვა გამოცდილი მოთხილამურეები ექვსეულშიც ვერ ვიხილეთ. სამაგიეროდ, გაიბრწყინეს ახალგაზრდებმა - ნორვეგიელი **ჩეტილ იანსრუდი** მეორე იყო ორი ცდის ჯამში, მესამეზე კი 23 წლის ავსტრიელი **მარსელ ჰირშერი** გავიდა, რომელმაც სამი დღის წინ ზუსტად ეს დისციპლინა მოიგო.

მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში ლიგეტიმ მეორე ადგილზე გადაინაცვლა - ამერიკელი 45 ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ ნორვეგიელ **აქსელ ლუნდ სვინდალს**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა